ჩვენს სიძველეთსაცავებში შემონახული საბას ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხები საშუალებას იძლევა მისი ავტორის ლექსიკოგრაფული, ღრმად მეცნიერული მუშაობის საფუძვლების გასათვალისწინებლად. როგორც ვამოიჩვენებ, ორმოცი წლის მანძილზე მას შეუქმნია ლექსიკონის სამი ძირითადი რედაქცია და თვითული მათგანის რამდენიმე შეგვებულ-შესწორებული ცალი.

ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობაზე ვადაწერილი საბას ლექსიკონის ასზე მეტი ნუსხაც უშეგულია, მისი პოპულარობის მაუწყებელია. ამჟამად ჩვენი განხილვის საგანია ერთი მათგანი.

იგი ყურადღებას იპყრობს, უპირატეს ყოვლისა, მხატვრული გაფორმებითა და ფრონტისაზე წარმოდგენილი მინიატურით. ამ მინიატურაზე გამოსახულია ლექსიკონის ავტორი სულხან-საბა ორბელიანი, ხოლო მისი შემსრულებელია საბას თანამედროვე ალექსი გრიგოლ მხატვრის ძე მესხიშვილი.

ამ ორი მოსაზრების დამტკიცებას ეძლევა წინამდებარე ნარკვევი.

დღემდე სულხან-საბა ორბელიანის სამი სურათი იყო ცნობილი. ერთია ახალგაზრდობისა<sup>1</sup>, რომლის დედანი ღაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩერდინის სახელო-

ბის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში (საბინისის კოლექცია № 13); მეორეა — საბას მინიატურული პორტრეტი ვახტანგ VI-სთან ერთად მისკენ გაუწედილი წიგნით<sup>2</sup> („ქილილა და დამანათი“). იგი მომდინარეობს საბას სიცოცხლეში გადაწერილ (1719-1722 წწ.), მისივე რედაქციის „ქილილა და დამანას“ ნუსხიდან, რომელიც ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისგულია (p-2); მესამე სურათი, თვითი წვერითა და მხრებზე დაფენილი თმით პირველად რ. ერისთავმა წამოგვარა 1884 წელს მის მიერ გამოქვეყნულ საბას ლექსიკონს. ამ უკანასკნელის დედანზე არაფერია ცნობილი.

ლექსიკონის ის ნუსხა, რომელშიაც საძიებელი მინიატურაა მოთავსებული, მოკლე რედაქციისა და გადაწერილია 1730 წელს ალექსი მხატვრის ძის მიერ. იგი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ქ. შ. წერეთლის გამაგრკულეულ საზოგადოებრივ ფონდში (S-4748). ამ მოხვედრამდე მისი მხოლოდელი ყოფილა პეტრე შიკაშვილი, ხოლო უფრო ადრე — ლექსიკონის მწესველისა და მომხატვრის შვილისშვილი, მგალობელი იოველ ალექსიშვილი.

ლექსიკონის ეს ცალი, როგორც აღვნიშნეთ, ყურადღებას იპყრობს დიდი გემოვნებით შესრულებული ლექსიკონის სათაური ასოებითაც. მათ გამოსახატავად მხატვარი ხმარობს მხოლოდ სინგურს, ხოლო მეორე ფერს — თეთრს იღებს ქალღმერთის ფონის გამოყენებით. ამ ორი ფერის შენამევა ფოთლოვანი ორნამენტებისა და ფრინველთა თავების, უფრო იზვიათად ცხოველთა და ადამიანის გამოსახულებათა კომბინაციებთან, ასომწურლობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ამ ლექსიკონის ორი ანდერძი აქვს დართული<sup>3</sup>. ერთის გაღვესილი ნაწილი შესრულებულია მწესიერად გამოყენილი ხვეული ასოებით, რომლის ფორმაცა და შინაარსიც ალექსის არა მარტო მწერალ-მწიგნობრობას ამჟღავნებს, არამედ მხატვრობასაც:

„ღაიწურა ცელითა მხატვრის ძის ალექსისათა:


მონისა ღვთისა კეთილთაა,  
მწერალ-მწიგნობარ-მგალობელისა“.

ალექსის შესახებ მუნქს, მაგრამ საკულისხმო ცნობებს ეპოულობთ ითანე ბატონიშვილის „კალმასობაში“:

„ალექსი, დეკანოზი ანისხატისა, ესე იყო მეცნიერი კაცი. მოძღვარი სულიერი ანტიონი კათოლიკოსისა, მწერალი ტყუერისა და მხედრულისა, რომელიც ღირს ქებისა არს ნაწერი მისნი. ამან მრავალნი საღმთრო წერილი და ბატონიანი ვარდასაწერნა და ამან კეთილად აღზარდნა

<sup>2</sup> გამოქვეყნებულია გ. ლეონიძის მიერ, იხ. „სიბრწე-სიცურეობა“, 1928.

<sup>3</sup> ესანებ (ფ. 240-ბ) ენება ლექსიკონის ბოლოს, თავისებულ ფერტიტებზე 1737 წელს მისამდე დართულ აქოლას და ამსებზე (ამ უკანასკნელის კიდებზე აღნიშნულია ზოგადი ისტორიული პირის დაბადება-გარდაცვალების თარიღი).



შვილი თვისი: გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაც ასწავლეს სამცხენოე წერილი, სიღმრთონი და მგალობლობა. ამათვე ისწავეს ქუვეურისა და მხედრულისა წერა, განა მხედრულს წერას შინა ჯერეთუც, არც ძველად და არც ახლად არც თქმულად უკეთეს ამბავსა და მეტადერ სოლომონ დეკანოზისა. ევთვივე, ძენი ამანთი: მიქელა — გიორგის შვილი; დიმიტრი, იოელი და ტარასი — სოლომონის შვილინი. პირველი მწერალი მკედრულისა ქელისა, ხოლო მგალობლობისა შინა სრული ი ი ვ ლ და კეთილდაცა სწავლული მსცხოვრობდნ ჯერეთუც<sup>4</sup>.

მამასამდე ალექსი ცნობილი ყოფილა, როგორც მეცნიერი კაცი, შესანიშნავი მწერალი ნუსხურისა და მხედრული ხელით, მრავალი ძეგლის გადამწერი, შვილია აღმზრდელი მწიგნობრებად, მწერალიცა (მწესველებად), მგალობლებად და სხვ. ამ ცნობებზე XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის ალექსის შესახებ ავსებს მიხეივ, იმავე ლექსიკონში მოთავსებული მეორე ანდერძი. აქ გადმოცემულია ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ალექსი მესხიშვილის ცხოვრებიდან.

...დაღვლებს სისხლი ჩემი წინაშე მართლმასაყლოისა მიმართ შორის ჩემსა და შორის ნათესავთა ჩემთა, რომელთა შემამინებს წინაშე უსჯულოთა, რამეთუ ყუეს შექმულგება ურთიერთის ესრეთ, რამეთუ ა მას მრავალი განი მივეთა აქუს და სხვაცა. მრავალი სიტყუით დაარწმუნეს უსჯულოთა და განუკითხავად სიუღლისა მიძეს. არამდე უსჯულოთა ქნ მიქსა. სისხლი ვიჯივდ. მცირედ ვეთვი ჩემი ტანჯავა, რამეთუ აქ არ აღიწერებოდა და ვეძიებდი ჩემთა. მრავალი ძიერი და განსაძლევი მოაწიეს ჩემზედა... ქორიონკონს უიქ<sup>5</sup> [1730 წ.].

სამეფო განძის მითვისების მიწერა ალექსისათვის, შესაძლოა, შეთხზული ზრადლება იყო, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ცნობით, იგი მაინც ქონებრივად ძლიერ პირად ჩანს, რაც, უნდა ვიფიქროთ, კიდევ მეტად გაზრდიდა მის გავლენიანობას.

არ ანდობის შემცველი ლექსიკონი ალექსის გადაუწერია სწორედ მამის, როცა იგი ზემოთ მოტყობილი მისის გამომტყვიანობა იმყოფებოდა, ე. ი. 1730 წელს. აქვე (ანდერძში) ჩანს საბავს თანამედროვე ზოგიერთი წრის შეხედულებანი ლექსიკონზე, რაც მეტად საუკუნისხმობა, მაგრამ აშუქავს ჩვენ განხილვით ალექსის მოღვაწეობას, როგორც ხელოვანისას, რაც მჭიდროდა დაკავშირებული იმწიგნობრობა-მწერლობასთან<sup>6</sup>.

ალექსი მხატვრის ძეს არა ერთი თხზულება გადაუწერია მშვენიერი კალიგრაფიული ნუსხურითა და მხედრულით: XVIII საუკუნის დაბდეგს — „გამინი“, 1730 წელს — საბავს ლექსიკონი, 1736 წელს „ვისრამიანი“ და „წმიდათა ცხოვრება“, 1743 წელს — „ოთხთავი“, 1752 წელს — „ხრონოგრაფი“, 1758 წელს — „თვენი“, 1760 წელს — „ტიბიონი“ და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ხელნაწერები გრძელად აღწული და ყოფილ მაგავსს შემოქმედსაც მწესხელის ანდერძი, რომელზეც იგი (ალექსი) დაიწვებით თავის თავს მხატვრის ძედ იხსენიებს. ასე მაგალითად: „ა. დასწორდა წიგნი ესე ქესა უად [1736 წ.]. თვესა იანვრისა ოცსა, ქელითა მხატვრის გრიგოლის ძის... ალექსისათა“<sup>7</sup>.

ბ. „...ქელათა მხატვრის მღვდლის ძე, მღვდელი დეკანოზი ალექსი... აწ მეც, მადლმან და სახიერებამან მისმან აღმძრა გულსმოდგნებულ და შეწვენითა ღუ...“

თისათა ავწერე ცხოვრება და მოქალაქობა წმიდათა და ქართველთა მნათობთა... დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს ამბობას შვიდს ოცდათექვსმეტსა, ქესა უად<sup>8</sup>.

გ. „იესო ტკბილი, უთხე სულსა ჩემსა ფრიალ ცოდვილსა მწერალსა ამისსა მხატვრის ძესა ალექსის, ქეს ულა“<sup>9</sup> [1743 წ.].

დ. „...მატიანე ესე, რომელსა წერად ძელგვაც ტფილურთა მოქალაქე ქმნის დეკანოზის მხატვრის გრიგოლ მღვდლის ძემან დეკანოზან ალექსიმ. რამეთუ უფროსად ღამით ვნუსხევი, რამეთუ ფრიალ მასწავლებდნ...“<sup>9</sup>

ე. „...და ამას საწადელსა და სასურველსა წიგნსა წერად ძელგვაც ტფილურთა მოქალაქე ქმნის მხატვრის ძე გრიგოლ მღვდლის, დეკანოზის ძემან, თუ უფროსმან მღვდელ-დეკანოზმან ალექსიმ. რომელსა ფრიალ შრომა დადო...“<sup>10</sup>

დასახელებული თხზულებები გადაწერილია 1730-1760 წწ. ალექსის მოწიფლობისა და მსოფიანების პერიოდში, მაგრამ მას მწერალ-მწიგნობრობა ბევრად უფრო ადრე დაუწყია. მაგალითად, ჭაბუკ კალიგრაფის «გამინი» (S — 1096) იმ დროს დაუწესებია, როცა იგი თავისი ცხოვრების 17 წელს ითვლიდა. ხელნაწერი შემკულია მინიატურებითა და გრაფიკულად შესრულებულია ზოლიაკობით. მწესხელის მისი გადაწერის თარიღი არ ვეჭვობინებს, მაგრამ თავის ვინაობას, მხატვრულად გაფორმებული ამ წიგნის სხვადასხვა გვერდზე ასე გადმოცემს:

ა. „ღმერთო, შეიწყალე ალექსი მხატვრის შვილი“.

ბ. „ალექსიმ დიკანოზან, ჩვიდმეტის წლისმან დაღვნაზე ქამნი ესე“.

გ. „ღმერთო, შემეწყალე კერძო დიკანანი ალექსი ცოდვილი“.

ალექსის ხელით დანუსხული აღნიშნულ ხელნაწერთაგან მხოტულია: „გამინი“, ლექსიკონი, „წმიდათა ცხოვრება“ და „ოთხთავი“.

„წმიდათა ცხოვრება“ (H — 2077) გადაწერილია ღამაზი ნუსხურით და შემკულია ქართველ მოწამეთა და მამათა 26 მინიატურით. წა მამათა შორის ყურადღებას იპყრობს პეტრე [იბერისა] და ილიაორი ქართველის ჩაცმულობა. მათი კაბავა და წამოსამამიფ ფერადია, მაშინ როდესაც აქვე წამოვადგენილი სხვა მამები ფერად კაბებში და შავ წამოსამამებში არიან შემოსილინი. შესამოსილი ერთი დეტალი პეტრე ქართველსაც განასხვავებს ილიაორი ქართველისაგან. მას (პეტრე იბერს) თეთრი, ოქროსფერი ჯვრებით შემკული, წინ გრძალად დაშვებული იმფორი აქვს მოხვეული.

პეტრე იბერის მდიდრული სამოსელი აიხსნება მისი ხარისხით (მაიუმის ეპისკოპოსი) ერთის მხრეც და წარჩინებულ წარმოშობით (მეფის ძე) მეორის მხრეც. საყურადღებოა ილიაორი ქართველის ჯვრებით შემკული მხოლოდ მომწიგნობრული და კიდევბავცელი ოლარით. ცხავა მამების შესამოსელი (ოლარა) ამგვარ პერსპექტიულ წარმოსახვას მოკლებულია.

ზემოთ მოხსენებული, 1743 წელს ალექსის მიერ მშვენიერი ნუსხურით გადაწერილი „ოთხთავი“ მხოტულია მხატვრებელთა მინიატურებითა და თავსამკაულებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მინიატურებს ივროპული ნიმუშების გადვლდა ეტყობა, ფერებითა და წრის მანერით ისინი მაინც ახლო დგას, ზემოხსენებულ „წმიდათა ცხოვრების“ მინიატურებთან. იმალება კითხვა: ამ ორი ხელნაწერის

<sup>4</sup> იხ. იონაე ბატონიშვილი, კალმოსობა, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. II, 1948, გვ. 200 და H — 2134 (490r-v).

<sup>5</sup> მწერალი, ამ შემთხვევაში იხმარება მწესხელის მნიშვნელობით.

<sup>6</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა კოლექცია H, ტომი II, № 716, „ვისრამიანი“.

<sup>7</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა კოლექცია H, ტ. V, 2077, „წმიდათა ცხოვრება“.

<sup>8</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა კოლექცია H, ტომი IV, № 1666, „ოთხთავი“.

<sup>9</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა კოლექცია H, ტ. IV, № 1671, „ხრონოგრაფი“.

<sup>10</sup> იხ. იმავე მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, კოლექცია A, ტ. IV, 1954, № 1093, „თვენი“.



მხატვრობაც ხომ არ გკუთვნის მათ მწსუხველს ალექსი მხატვრის ძეს?

როგორც ანდრეებში ვხედავ, მართალია, ალექსი თავის თავს მხოლოდ მწერლის (მწესბედილის) სახელით იხსენიებს, მაგრამ ყოველთვის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი ხელოვან-მხატვრის ძეა. იოანე ბატონიშვილის ცნობის მიხედვით ალექსის შვილების შესახებ, რომ მათ, მამამ-ალექსმა, თვით შეცნობდა და მრავალი თხზულების გადასწავრბა, თავის სამ შვილს შესასწავლა მიუზიარებდა, კარგი ხელით წესხვა და გალობა, გვაძლავს უფლებას ვიფიქროთ, რომ ალექსისაც შეეძლო ესწავლა მამისაგან მხატვრობა. ის გარეგნულია, რომ იგი თავისთვის მხატვრობა არ იხსენიებს, აიხსენება იმით, რომ მას, როგორც ჩვეულებრივ იყო მიღებული, მხატვრობა გადასწავრა ნაკლებ მნიშვნელოვან საქმიანობად მიიჩნა. მართლაც, იმეიათად თუ შეგვიფიქროთ ხელნაწერებში მხატვრის სახელი, მამის, როცა მწსუხველის სახელი — მუღამ აღნიშნულია.

მხატვრები ზოგჯერ, ისიც იმეიათად, თავის ვინაობას, მიფარვით, მოხატულობის რომელსავე კუნძულში მიაწერდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს ალექსის მიერ გადაწერილი საბას ლექსიკონი, რომლის მოხატულ სათაურ ასოებში, სახელოზობრ ს-ს მიგრან ფეხში თეთრი ფონისა და სინკურის შეხამებით გამოყვანილია სახელი ალექსი (პგ. 125-8). ხოლო მ-ში — ე ღ ღ თ ა ალ ე ქ ს ს ქ ს თ ა (პგ. 139-26), რაც უშეძველია გულისხმობს მხატვარს და არა გადაწერს.

ამავე ლექსიკონის ერთ-ერთ ანდრეში ალექსი გვაუწყებს:

„დაწერა ქელითა მხატვრის ძის ალექსისათა“, ამ ცნობას იგი აკრძებებს მხატვრულად შესრულებული ხეყული ასოებით:

„მონისა ღვთისა ქელოვანისა, მწერალ-მწიგნობარ-მგლოვლისა“.

თვით რომ გადასწავრა, ალექსი ამას წერს ჩვეულებრივი მხატვრული, ხოლო, რომ იგი ხელოვანია, ე. ი. მხატვარი. ამას ხელოვნებითე შესრულებულ ასოხეყულში გამოხატავს<sup>11</sup>.

მასხადამე, მისგან გადაწერილია და მოხატულ ერთადერთ ნუსხის ანდრეში ალექსი თავის თავს უფიქრებს ხელოვანს და აქვე მიფარვით ამბობს, რომ მოხატული ასოები შესრულებულია „ქელითა ალექსისათა“.

აზრივად, ჩვენს წინ წარმოგვა გრიგოლ მხატვრის ძე და თვით მხატვარი ალექსი. მისგან თავისი თავის ხელოვნად აღიარება აქვე, ამასთან შესანიშნავი გემოვნებით და ხელოვნებით გაფორმებული სათაური ასოების დამხატვარ დასახელება, იქნეს არ ზაღებს, რომ ამავე ხელნაწერის ფრონტისპისზე წარმოდგენილი მინიატურის ავტორიც იგი — ალექსი მესხიძეა.

დასამტკიცებელია, წაუყრებლად მინიატურაზე<sup>12</sup> არის თუ არა ლექსიკონის ავტორის სულხან-საბა ორბელიანის გამოსახულება?

მინიატურაზე მოცემულია მთელი ტანით ბერის ტიპიურ ტანსაცმელში შემოსილი ფიგურა. მას მწკნევე ჩრდილებით აღნიშნული თამბაქოს ფერი კაბა აცვია. ბერის რუხ წამოსახებას აქვს შავი, მზერაზე გადმოხული, მოსირბელი საყელო. წამოსახების კიდე შეშველია წითელი, მწკნევე და თეთრი თვლებით. საყელოს ქვევით დაშვებულია შავი ოლარი, რომელზედაც ჯერებია გამოსახული. სიანტეფიკოსა მისი აქროსაქტულად გადამოქცობს ხერხი — ხოლო მომრავალებული და კიდევმეშვეცილი (ოლარის ანალოგური გამოსახებას ვხვდებით ილარიონ ქართველის ზემოთ-

დასახელებულ მინიატურაზე, H — 1077. მისი ამგვარად გადამოქცობის მომენტი შესაძლოა აიხსნას ევროლოგისა და ენოლოგის გავლენით).

შუა საუკუნეების ხელოვნებაში, ამა-თუ-იმ წმინდანს იკონოგრაფიულ ტიპს, ჩვეულებრივ, განასხვავებდნენ თმისა და წვერის მოყვანილობით. ამ მხრივ საყურადღებოა ჩვენი მინიატურა: ბერს გრძელი და ორად გაყოფილი ვიწრო წვერი აქვს, თმა კი კუთლულებად ეცემა მხრებზე და ფარავს მას. ბერის თავი შემოულია ბურქი, ოქროსფერი ნიშით. მარცხნივ გაწვდილ ხელში მისი უკავია გადაშლილი წიგნი, რომლის ფურცლებზე სამ სტრიქონად მოთავრული ასოებით წერია: „შენ მხოლოდ ხარ უკავად ყდ ძლიერი, რნ ეგ“... ხოლო მარჯვენა ხელში უჭირავს კალამი (ბატის ფრთა).

მინიატურის მარჯვენა ნაწილში, ე. ი. ბერის წინ, მოცემულია პირობითი არქიტექტურის ნაწილი, მაღალი ოთხკუთხა სვეტი, რომლის კაპიტელზე მოთავსებულია ღვთისმშობლის ხატი. ღვთისმშობელი წარმოდგენილია ნახევარი ტანით — ოსტანტირის ტიპით, ყრმით ხელში. ჩარჩო, რომელშიც ჩანს მთელი ღვთისმშობლის გამოსახულება, შეფერილია ოქროსფერად. მხატვარს გადმოცემული აქვს მობატული ოქროვედური ხატი, შემკული ხეზე გაჭედილი ორნამენტით.

სვეტის წინ დგას ორმაგი მაგალი, ერთი მისი ნაწილი, თითქმის, სვეტის სივანეშივე თავსდება და გაწყობილია ირიბი ზადის მოტივით. მაგილის მჭორ მოტივით ნაწილი სამფება და საშუკრიანი. მასზე აღავთა კაპიტელი, საწილო, სახაზავი, ფარგალი, მელნისა და ფერების გასახვებელი შურჭელი და სხვ. მაგილის პირიზონტულ ხაზზე, პირობითად, დგას სტროლიბი (ასტროლიბი) შეფერილი რუხი, ცისა და ვარისფერით. მას შემოდან ადგას დიდი ფარგალი. სტროლიბის მარჯვნივ მოთავსებულია აღმოსავლური ტიპის ვაზა ფერადი ყვავილებით. ბერი დგას მიწაზე, რომელიც აღნიშნულია მოყვანისფრო ხაზებითა და მწკნევე ზაღებით.

მინიატურის ზემო ნაწილში, ფიგურის ორავ მხარეს წარმოდგენილია ცის ორი სეგმენტი, ცისარტყელას მსგავსი კონცენტრული ფერადი ზოლებით. ორივე სეგმენტი შემკულია ყვითელი ხაზებით გამოსახული მზის სიხვიით და ნაკისრული ხეშუქა დრულებით. ცის ამგვარ გამოსახულებას ადგილი აქვს ალექსის მიერვე გადაწერილ, დასახელებულ ოთხთავში, იოანე მახარებლის მინიატურაზე (H — 1666).

ალექსიურ მინიატურა რომ სულხან-საბა ორბელიანის გამოსახულებას წარმოადგენს, ამას ცხადყოფს მისი ანალოგი:<sup>13</sup>

1. მინიატურაზე გამოსახული ბერის ტანსაცმლის მდიდრული შემკულობა (თვლებით მოოჭვილი ზოლი მოსახამის კიდვე) მითითებს სწორედ იმაზე, რომ იგი წარჩინებული პირი უნდა ყოფილიყო.

მართლაც, საქართველოს მსაჯულის, დიდი ორბელის ძე, აომრბელი ვახტანგ VI-სა, ამასთან მთავრული არჩილ მეფისა და გიორგი XI-სა — სულხან-საბა, მისი თანამედროვე მხატვრის ალექსი მესხიძის გაგებით, ცხადია, ჩვეულებრივი ბერისაგან განსხვავებულად უნდა წარმოსახულიყო.

2. შუა საუკუნეების ხელოვნებაში ნიშნის გამოსახება თავზე არ წარმოადგენს მხოლოდ წმინდანის დამახასიათებელ უშეძვე ნიშანს. ქართული ტარები მოხატულია ისტორიულ პირთა სურათებით, რომლებშიც წმინდანებად არ ყოფილან აღიარებული, მაგრამ მათი თავები ნიშნითა შემკულია. ასე მაგალითად: გიორგი III, გიორგი ლაშა (ბეთანია), დემეტრე I (მაცხერისი), გამებს და მარებს დაღანები (ზობი, XIV ს.). იმერეთის მეფენი და მათი ოჯა-

<sup>11</sup> მოთარეული ასოხეყლის უბღლო ნიშნულს წარმოადგენს დასახელებული „აფენის“ (A — 1093) ერთ-ერთი ანდრე (ე. გ. 728 ა), შესრულებული ალექსისავე ხელით 1758 წელს.

<sup>12</sup> მინიატურის ჩარჩოს ქვევით წარწერილია: როგორც ჩვეულებრივ, აქვე გამოყოფილია არე, მაგრამ იგი გამოყენებულია დანაშნულისამებრ.

<sup>13</sup> მინიატურული პორტრეტის მხატვრული ანალოზისათვის კონსულტაცია მივიღეთ თინათინ ვერსალაძისაგან.



# საბასეული ატლასი

ბორის კანდელაკი



ართველი ხალხი ზემით აღნიშნავს გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწის, უდიდესი სწავლულის, ლიტერატორის, ლექსიკოგრაფის, დიპლომატისა და მოგზაურის — სულხან-საბა ორბელიანის დაბადების სამასწლიანობას.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ქართველი მოიგავე — სულხან ორბელიანი, როგორც თვითონ წერს, „დიდი ორბელის შვილის ყაფლანის-ძის, საქართველოს ბეჭედმთავრის და მოსამართლეთ უზუცესის პატრონის ორბელ ვახტანგის პირში იყო“. წარჩინებულ ფეოდალთა ეს გვარი საორბელოს ანუ „მეწინავე სადროშოს“ (ქვემო ქართლი) ფლობდა. სულხანი ქ. დმანისის მახლობლად სოფ. ტანძიაში დაიბადა და ბავშვობაც იქ გაატარა. მის წვრთნადა მცხეთელი ზედგენიძე და გიორგი იაშვილი. „წერილდენე სასუთად და ნებიერიად, ვითაც შევრის თავდათა ძეთაო“ — ამბობს სულხანი. მის აღზრდაში მონაწილეობა მიუღიათ მის მამიდაშვილებს გიორგი XI და არჩილს, ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) მეგვიდრეებს.

1712 წ. ვახტანგ VI ახლავს ისპაანში შაათანს.

შაჰმა ვახტანგ VI რჯულის გამოცვლა მოსთხოვა და რადგან უარი მიიღო, იგი ქირმანს გადაასახლა. სულხან-საბა დაბრუნდა საქართველოში. გორში შეხვდა ფრანგ მისიონერს რიშარს, კარგი პატივი სცა, სამეგრელოს გზით შვე-ზღვამდე მიიქცა და იქ განუხლებს: „დიდი ხანია ხელმწიფის (ლოუდოვიკო XIV) ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არ მექნება... თან წამოყვანეო“ (ლ. მენაბდე სულხან-საბა ორბელიანი. მოზოგრაფია გვ. 49) ქორინიკოს ჩიჯე (1713) ავეციტას იზ (17) საფრანგეთს წავიდა. სწორედ აქედან იწყება სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში. ამავე პერიოდს ეკუთვნის ქ. ნიურენბერგში იოან ბარტიტას ნომინის გამოცემული გეოგრაფიული ატლასი MPCC XI 1711 წლის თარიღით, ზომით 32×45 სმ. იგი ჩასმულია ქართულ ორნამენტებიან სქელ ყდაში. ეტყობა, ხელიდან ხელში გადასვლისა და დავეჯილა. საქართველოში ატლასისათვის გაუკეთებიათ ყვითელი ფერის მავარი ყდა. ამ ატლასის ისტორია ასეთია: სამუსულო ნივთების დამცველს და საითუად შემნახველ ადამიანს, აშკამბად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგეს — გიორგი ნათიძეს ამ ოცდაათი წლის წინათ, 1929 წ. ჰქონია ბედნიერება გაეგო მღვდელმთავარ და ისტორიკოს კალისტრატე ცინცაძისაგან, რომ სიონის ტაძარში აღედგე შემონახულია სულხან-საბა ორბელიანის დროინდელი გეოგრაფიული ატლასი ფრანგულ ენაზე. ატლასი მხატვრული გემოვნებით არის გაფორმებული, წარწერები მოკემულია შვიი ფერით, ზღვები, ტემები, მთები და სახელმწიფო საზღვრები წითელი, ვარდისფერი, ყვითელი და სხვა ფერით.

ატლასში მოცემულ ქალაქებს, ზღვებს, მდინარეებსა და მთებს ფრანგულად წარწერილი სახელწოდებებისათვის ერთად სულხან-საბა ორბელიანის ხელით ქართულად აქვს მიწერილი შესაფერისი დასახელება. კალისტრატე ცინცაძისა და გიორგი ნათიძის ნათქვამი ადასტურებელი იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა



საბასეული ატლასი მისივე მინაწერებით.

ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ. ატლასზე მინაწერი ზოგიერთი ქართული სახელწოდება და საბას მარშრუტი ზუსტად ეთხვევა სულხან-საბა ორბელიანის ხელნაწერს და არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ ეს წარწერები საბას ეკუთვნის. ყველა ქართული წარწერა გაკეთებულია წითელი მელნით (ქვეყნის მხარეები, ქალაქები, ზღვები, მდინარეები, მთები და სხვ.)

ატლასი კალისტრატე ცინცაძემ ჩააბარა გიორგი ნათიძეს. „მე და კალისტრატე. — ამბობს გიორგი ნათიძე, — ამ ატლასის წამოღების დროს დიდხანს ვესაუბრობდით. მან გამოითქვა აზრი, რომ ატლასი უღვეოდ საბას მიერ არის გამოტანილი საზღვარგარეთიდან, და რატომ უნდა იყოს ცვლესიანი, როდესაც შეიძლება ინახებოდეს მუზეუმში, სადაც მეცნიერებისა და მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდებაო“. მოწონებთა და დიდი სიყვარულთა გადმომცა კალისტრატემ ეს ატლასი.

ამ დღიდან მოყოლებული ატლასი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

აი გიჟირავთ ხელში ეს ყვითელიკანია წიგნი, რომელსაც გადაჰყავდა შორეულ ეპოქაში, ორნამენტის საუკუნის იქით, იმ დღეებში, როდესაც სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკე მისიონერ რიშართან ერთად იმოგზაურა ევროპაში. 1714 წლის აპრილში იგი ვერსალის სასახლეში ეახლა ლოუდოვიკო XIV-ს, საფრანგეთის მეფეს. როგორც პირველი, ისე მეორე შეხვედრის დროს თარჯიმანის როლს ასრულებდა აბატი რიშარი. მეფესთან საბას შესათანხმებულმა ჰქონდა შემდგომი საკითხები: 1. მისიონერის გავაზენა საქართველოში, 2. საქართველოს ტერიტორიის სავაჭრო გზად გამოყენება საფრანგეთის მიერ, 3. ვახტანგ VI-ის ტყვეობიდან განთავისუფლება.

საბამ კათოლიკობა მიიღო. პოლიტიკური მიზნით იგი განუღვა ბერძნულ ეკლესიას და როგორც გიორგი XI და ვახტანგ VI, დასავლეთის ორიენტაციის იზიარებდა, როგორც პოლიტიკურ, ისე სარწმუნოებრივ საკითხებში. საბამ ლოუდოვიკო XIV-ს გადასცა ვახტანგ VI-ს წერილი და თვითონაც სთხოვა ვახტანგ მეფის ირანელთა ტყვეობიდან გამოსახსნელად 300,000 კეულ.

სამაგიეროდ სულხან-საბა ლოუდოვიკო XIV-ს დაიბრუნა, რომ ქართველებს და ზოგიერთ სხვა ტომებს აფხაზეთ-



საბასელო ატლასის თავფურცელი

სა და ჩერქეზეთში კათოლიკობაზე მოაქცევდა და ფრანგ ვაჟებს სატრანზიტო გზას მისცემდა საქართველოდან ირანში. ამ მიზნით საბამ წარუდგინა საფრანგეთის მო-ნარქეს მის მიერ სპეციალურად შედგენილი რუკა, რომ მას წარმოედგინა ქაქოლა და იმ ქვეყნების შესახებ, რომლებზეც ლაპარაკი იყო ვახტანგ მეფის წერილსა და საბას თხოვ-ნაში. როგორც გეოგრაფი დო. გ. ზარდალიშვილი წერს (1951 წლის ქ. „დროშას“ № 1 გვ. 19) „რუკა შედგენი-ლია თვით სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ამას ამტკი-ცებს რუკის მარჯვნივ, ზედა კუთხეში მოთავსებული წარ-წერა, რომ ეს არის კასპიის ზღვისპირა მოსაზღვრე ქვეყ-ნების რუკა. დაიბეჭდა მეფის ბრძანებით (იგულისხმება რუკის ფრანგული თარგმანი ლიუდოვიკო XIV-ის ბრძანე-ბა). რუკა თარგმნილია ფრანგულ ენაზე აკადემიკოს გეოგრაფის გალოზ დე-ლილის მიერ, გამოცემულია 1723 წლის 15 აპრილის თარიღით“. დე-ლილს რუკა უთარ-გმნია საბას პარიზში ჩასვლიდან 9 წლის შემდეგ. დოც. გ. ზარდალიშვილის ცნობით სულხან-საბა ორბელიანის ნაწერი ლუვრს გადაეცა, სადაც, ალბათ, დღემდე ინახება, მაგრამ სულ სხვაა ეს ატლასი, სადაც საბას ხელით არის აღნიშნული იმ ქალაქების სახელები ქართულად, სადაც მას გაუგებია. ამ ისიც: გორი — კონსტანტინეპოლი — ტანტიბე ქალაქი (საფრანგეთი) — პარიზი — ნისი (იტა-ლიის ავლიკია) — რომი, ნისიდან გაიარა — ლაფრან-გა — მონაკო — მანტო — სენერემი — ფორტე — მი-ორი — ონელი — დინა — არასიო — არბეჟოვანია — ფინი-ნორი — ლიონილია — საინა — ჯენევია (ქენევა) — პორტუგუენი — ალიკორნა — ფომინიო — ფორტო ლონ-გონე — ფორტე ერკოლე — კონსტანტინე — ჩიფთაე-თია — რომი. რომის პაპის სახელმწიფოში საბას მოგზაუ-

რობის მარშრუტი ასეთია: რომი — ოსტრიკო — ნარმა-თერნა — სპოლეტო — ფოლინის — ვალნიორა — ტორ-ლეტინო — მაჩერთო — რალანატო — ნირეტო — ლო-რენტა — ტოლენინო — ვაზანოლი — ფოლინო — ასია-პერუჯა.

კრანდუკის სახელმწიფოში საბას მარშრუტია: არეცო — ფლორენცა — ფისა — ალიკორნა, საბა სამშობლოში დაბ-რუნებულა შემდეგი მარშრუტით: ალიკორნა — მისინა — სიკილია — პალერმო — მისინა — გოსტა — სირაკუზა — მალთა — მორა — ნელა — პონტო — ქიო (სახიზი) — მიტილინი — ზმირინის ზღვა — ბიტილიმი — დარდანე-ლი — კალი პოლიმარმარის ზღვა — კონსტანტინეპო-ლი — შავი ზღვა — ათინა — ხოფა — ჩხალა — გონია — ნიკალის ზევი — არტანუჯი — არტანი — აპოცი — თბი-ლისი <sup>1</sup>.

სამგზავრო მარშრუტებთან დაკავშირებით საბას ხე-ლით რუკაზე აღნიშნულია გზის გასწვრივ მდებარე ქვეყ-ნები, ზღვები, ქალაქები, მდინარეები და ა. შ.

ლიუდოვიკო XIV სულხან-საბა ცარიელი დაპირებით გამოისტუმრა. ამის შემდეგ სულხან-საბა რომის პაპს ეს-ტუმრა. პაპმა იგი კარავა მდილო, რომის წყალთან ორი ეტლი მიართვა.

„აგი დროაო, წყლით ნუ წამოიყვანთო, პაერმა არ აწ-ყინოსო“. — უთქვამს რომის პაპს. ივლისსა და ავგუსტოში თუ იმ წყალში დაიძინა კაცმა, აწყენს. ზუთი ეჯი იყო იქე-დან რომი. რომის წმინდა პაპს თვისი ძმისწული კარდი-ნალი აღბან და თავისი ეტლი მოგვებენო“ <sup>2</sup>.

რომის პაპმა მიიღო სულხან-საბა, მიუალერსა, მოიკით-ხა და დაიარდა: „ჩემი სისხლი რომ მთხოვო ვახტანგისა და შენის ქვეყნის სასარგებლოდ, იმასაც დასაქცევად მოგ-ცემო — მე შენთვის დემთვის ვებეჭევიო, დიდი დღე მოგ-ცესო. შენით მრავალი საქმე მინდა გავაკეთო“ <sup>3</sup>. არც პა-პისაგან მიუღია სულხან-საბას რეალური დახმარება.

სულხან-საბამ დიდი ყურადღებითა და ინტერესით და-თვალიერა „მარადიული ქალაქის“ ღირსშესანიშნოაზანი, როგორც არის ანტიკური პერიოდისა და ქრისტიანობის ძეგლები, ვატკინა და მისი ბიბლიოთეკა, მწიროთა მიმდებ-ბი სასახლე და სხვა. ქალაქების გარდა, ის დაინტერესე-ბული იყო ქვეყნის ბუნებით. ის აღტაცებამო მიიღოდა რომის, ფლორენციისა და ტოლენინოს მიდამოების პეი-ზაჟებით, ნეაპოლის მიდამოებით. პარიზში მას აინტერე-სება ხალხი, მისი ზნე-ჩვეულება, არქიტექტურის ძეგლე-ბი, პარიზის მიდამოები, ვერსალი თვისი პარკებითა და ბაღებით, ხელოვნების ძეგლები, საცკლესიო და პოლიტი-კური საკითხები.

სწორი იყო აბატი რიშარი საფრანგეთის მინისტრ ტრუსის მისამართით დაწერილ წერილში საბას შესახებ: „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო“ <sup>4</sup>. მართლაც, ორნა-ხევარი საკუთნის წინათ სულხან-საბა ორბელიანის სახით ევროპა გაცემო საქართველოს.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სათბილეო კრებული, 1959 წ. საბას მარშრუტი.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი — მოგზაურობა ევროპაში, 1940 წ. გვ. 16 — 17 ორბელიანის რედაქციით.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>4</sup> ეს წერილი კონსტანტინეპოლიდან პარიზშია გავგზავნილი 1713 წ. 17 ნოემბერს. იხ. გ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 312.

# სულხან-საბა ორბელიანის ერთი არაკის უცხოური პარალელები

ალექსანდრე ლლონტი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი



აბა ორბელიანის იგავ-არაკებს სამი წყარო საზარდოებს. მათი ძირითადი ნაწილის სიუჟეტები აღებულია ქართული ზეპირშემოქმედებიდან, მეორე ნაწილის წყარო მოხეტიალედ სიუჟეტებია, მესამე ნაწილი კი დიდებული ავტორის გონების ნაყოფია. სამივე წყარო ორგანულადაა შერწყმული „სიბრძნე სიცრუეში“ და შექმნილია ერთი ფართო სიუჟეტის ნაწარმოები. ქართული ზეპირშემოქმედების წიაღიდან საბას აუღია არა მარტო ადგილობრივი მასალა, არამედ თვით მოხეტიალედ სიუჟეტებიც, რომლებიც დიდი ხნის წინათ შეუთვისებია ჩვენს ხალხურ ეპოსს. საბას იგავ-არაკებში სამივე წყაროა გამოყენებული, მაგრამ ყველაზე მეტად აქ კაცი ქართული ზღაპრული ეპოსის მოტივებს ნახულს. ეს მოტივები დიდ იგავთშერაღს მაღალმატერული ოსტატობითა და სათითო გემოვნებით გალაშქრებულია.

საბას იგავ-არაკების წყაროთა საკითხს უკანასკნელ წლებში მრავალი მკვლევარი შეეხო და ერთობ საინტერესო მასალაც გამოქვეყნდა. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესამოწმებელი და გასაცხრილავი.

ამ მცირე წერილის მიზანია ვაღმოსცეს საბას ცნობილი არაკის: „სამი ყრუ და ყაღის“ — მოტივთა შესახებ დაკრედილი მასალა.

„სამი ყრუ და ყაღი“ გონმახვილოთი შინაარსის მძაფრი სატირაა. იგი აღსაყვავა ეგისლი და სრულიად ბუნებრივად საბა მას კაცობაწართმეული საქურისის, რუქას, ცნით გვამცნობს. გავისცნეთ არაკის შინაარსს: ყრუ კაცი დაკარგულ ხარს ეძებდა. შეხვდა მავზარს, რომელსაც ვირი ეპოვია და მიყავდა. — ჩემი ხარი ხომ არ გინახავსო? — ჰკითხა. მავზარიც ყრუ ყოფილიყო, კითხვა ვერ გაიგო, ეს კაცი ვირის მატრონი ეგონა და უპასუხა: ვირი თუ შენია, საპოვებლა მაინც მომიცილო! ერთმანეთს ვერაფერი გააგებინეს. გზაზე ცხენოსანი დაინახეს, უკან ქალი შემოესვა და მიყავდა. მივიდნენ მასთან: ერთმა ხარის ამბავი ჰკითხა, მეორემ — ვირისა. ცხენოსანიც ყრუ ყოფილიყო, იფიქრა, ქალს მართმევეო და დაიფიქრა: „ცოლი მომიყვდა და ეს მისი მოახლე არის, სხვისას ნუ ჰგონებთო!“ ერთმანეთს ვერც ახლა გააგებინეს რამე და ყაღთან (მოსამართლესთან) წავიდნენ. სამივემ თავ-თავისი საჩივარი მოახსენა. თურმე ყადიც ყრუ იყო. რამაზანს იხილდნენ. „მორიგარნი მფიგარის გამოჩენის მახარობული ეგონა და თქვა: რადგან მთავარ დაუნახავთ, ნაღარას კართით“ ვერც ერთმა ვერაფერი გაიგო („სიბრძნე სიცრუისა“, თბ., 1957, გვ. 24).

ოთხი ყრუს მოტივის იცნობას მთელი მსოფლიო ფოლკლორი. იგი უნდა მიეკუთვნოთ ყველაზე გავრცელებულ საერთო სიუჟეტთა რიგს. ამისთანა სიუჟეტის ხალხურ თხზულებებს ვპოულობთ ინდურ, არაბულ, სლავურ — ტე-

რიტორიულად ერთმანეთთან მეტად დაშორებულსა და სხვადასხვა ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ეპოსში. საბას არაკის მოტივების თავისებური პარალელები გვხვდება კერძოდ ბირმულსა და ამხარულ ენებზეც, რაზედაც ჩვენ ვგსურს ახლა შევანეროთ მკითხველის ყურადღება. ბირმა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყანაა, რომელიც ინდოჩინეთის უახვარკუნძულის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ამხარულ ენაზე კი ლაპარაკობს აღმოსავლეთ აფრიკაში, ეთიოპიის ცენტრალურსა და ჩრდილოეთ ნაწილში მისახლედ ხალხი. რა საერთო რამ უნდა ჰქონოდა ერთმანეთთან აღმოსავლეთ აზიისა და აღმოსავლეთ აფრიკის ამ უძველეს ხალხებს? ხომ არ შეეძლო საბას გაეგო სხვენულ ხალხთა ეპოსის ნიმუშები, ან საბას არაკის სიუჟეტი ხომ არ უსენებიათ დასახლებულ ხალხებს? ამ კითხვებზე ჩვენ უახყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. XVII საუკუნის გასულსა და XVIII საუკუნის დასაწყისს, როცა საბა თავის მხატვრულ შედევრს ქმნიდა, ის არ იცნობდა უცხოურ წყაროებს, და მით უმეტეს, ბირმულსა და ამხარულ მასალებს. უცხოურ წყაროებს დიდი მიეგავე ცაცოლებით გვიან, „სიბრძნე სიცრუის“ შექმნიდან დიდი ხნის შემდეგ გაეცნო, მაგრამ ვეღარ შესძლო მათი გამოყენება. ამიტომ საბას არაკის მოტივების შეხვედრა ბირმულ-ამხარული ეპოსის მოტივებთან სულ სხვა ასპექტით უნდა იხსნას.

როგორია არაკის ბირმული რედაქცია? ცნობილ ბირმულ ფოლკლორისტს მაუნგ ჰტინ აუნგს ჩაწერილი და გამოქვეყნებული აქვს ასეთი ხალხური არაკი: ერთ სოფელში ოთხი ყრუ ცხოვრობდა: მწყემსი, პალმის შემგროვებელი, ბრინჯის მოსეველი და მამასახლისი. ერთხელ მწყემსს ნახირი დაეკარგა. პალმაზე კაცი დაინახა და მას ჰკითხა. პალმის შემგროვებელმა ვერაფერი გაიგო, იფიქრა, პალმაზე მკითხვებო და ხელით ანიშნა: ეს პალმა არ ვარგა, იქით უქეთსიყო. მწყემსმა, ცხადია, ეს ვერ გაიგონა, იფიქრა, ხელით მაჩვენებს, სადაც ნახირი უნდა ეგებებო და იქითვე გაიქცა. მარალაც, ნახირი ჩქარა იპოვნა. უნდა გაერევა ბრინჯის მოსეველის მიწაზე. მწყემსმა ნებართვა სთხოვა. ბრინჯის მოსეველმა ეჭვი აიღო, ალბათ, ძროხის ქურდობას მამარლებსო და ხელები მამასახლავა. ჩხუბი ქურდობაა. მიმართეს მამასახლისს. მამასახლისს დილით ცოლი სახლიდან გაეძევებინა და ცენენ მისი მოსართლენი ეგონა. მართო ყვირით: აქედან გამშორდი, ქალს შინ არ შემოეშემებო! ორმა ყრუმ იფიქრა, ჩვენ უკვე ვინაშაპართლესო და მშვიდობით გამოვიდნენ ერთმანეთს („ბირმის ხალხური ზღაპრები“, რუს. გამოცე, მოსკოვი, 1957, გვ. 130).

ბირმული ეგისის საბას არაკს მხოლოდ მოდელით მოგვაგონებს, არაკები უღარესად თავისებური შინაარსისაა და დამოუკიდებლად ასახავენ ადგილობრივ ყოფას. მათ შო-

რის სხვაობა მეტია, ვიდრე მსგავსება, მაგრამ მსგავსი მოტივები მაინც დამაფიქრებელია.

ამხარულ ფოლკლორში ცნობილია დასახელებული არაკის ორი ვარიანტი: „სამი ყრუ“ და „მართლმსაჯულება“. ორივე მათგანი ფართო პოპულარობით სარგებლობს და გადათარგმნილია მრავალ ენაზე. პირველი ვარიანტის („სამი ყრუ“) მოკლე შინაარსი ასეთია: ყრუ კაცი ცხვრებს ეძებდა. შეხვდა ქალი, რომელსაც ზურგზე ბავშვი მიეკრა და მინდორში მუშაობდა. უთხრა: თუ მეტყვი, ჩემი ცხვრები საით წავიდნენ, კოჭლ ცხვარს გაუშეპო. ქალსაც ყრუ იყო, იფიქრა, ალბათ, ფართობის სივრცეს შეეკითხებო და ზელოთ აწვეს: აი, იქ მთავრდება ჩემი ფართობის საზღვარიო. მეცხვარეს ეგონა, ცხვარი იქით წასულაო და გაიქცა. ცხვარი მართლა ჩქარა იპოვნა, ქალს მადლობა მოახსენა და ჯილდოდ კოჭლი ცხვარი მიართვა. ქალს ეგონა, ცხვრის დაკოჭლებას ამხარალებსო და გაბრაზდა. ყრუ კაცმა კი იფიქრა, საჩუქარი დამიწუნაო და მოსამართლესთან წავიდნენ. ისიც ყრუ იყო. მეცხვარემ თავისი მოახსენა, ქალმა თავისი, მაგრამ ერთმანეთისა ვერა ვაიგვს რა. ბოლოს, მოსამართლემ იტყვა: ესენი ცოლქმარი იქნებიან, ქმარს, ალბათ, ცოლისათვის ფული არ მიუცია, იქნებ კიდევ უცემია და ამას ჩივისო. დაუცვირა მეცხვარეს: რახან ბავშვი შენია, უნდა არჩიო, ცოლის ცემა კი არ გაბედო, ახლა კი აქედან წადითო! თანაც კარებისაკენ მიუთითა. ქალს ეგონა, ბავშვს მართმევსო და გაიქცა. მეცხვარემ იფიქრა მამაკტიმრებსო და მანაც თავს უშველა („ეთიოპიისა და სუდანის ზღაპრები“, რუს. გამოც., მოსკოვი, 1958, გვ. 27-29). მეორე ვარიანტით („მართლმსაჯულება“), შწყემსია ყრუ ქალი. კოჭლი ცხვრის ნაცვლად აქ კოჭლი ციკანი ვვხვდებო („ოჯონიოკი“, № 40, 1959, გვ. 32).

ასეთია საბასა და ბირმულ-ეთიოპური არაკების ურთიერთობა. ტექსტების სიუჟეტური მსგავსება ემყარება იწვევს: ბევრი რამ აქვთ მათ საერთო, უფრო მეტი კი სხვაობა ემჩნევათ. მაგრამ საბას არაკი მაინც ცალკე დგას. ის წმინდა კოლორიტული ნაწარმოებია. პერსონაჟებით, ამბის განვითარებით, გამოკვეთილი დიალოგით იგი ორიგინალური არაკია. ოსტატურადაა ჩართული მთელი ნაწარმოების სიუჟეტურ გრუნდში.

ბირმულ-ამხარული ვერსიები ერთი წყაროდან მომდინარეობენ, მათ უფრო მეტი რამ აქვთ ერთმანეთთან მსგავსება, ვიდრე საბას არაკთან.


ოთხი ყრუს ამ გავრცელებული მოტივის გენეტიკური ლოკალიზება მეტისმეტად რთული და თითქმის შეუძლებელი საქმეცაა. ძნელია ითქვას, სად დადგო დასაბამი ამ ამბავს, რადგან მას მრავალი ხალხის ებოსენ ერთნაირად უპოვნია ნიადაგი. ქართულ ფოლკლორშიაც ვგულობთ მის ცოცხალ ვარიანტებს (რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები ელ. ვირსალაძის რედ., 1958, გვ. 396-397). საბა ორბელიანს თავისი არაკის მასალა უძებნია არა შორეულ წყაროებში, არამედ აუღია მშობლიური ხალხის ებოსიდან, ვადაუშუშაგებია იგი, მიუცია მისთვის ორიგინალური ნაწარმოების სახე და ისე ჩაურთავს „სიბრძნე სიცრუს“ სიუჟეტურ სქემაში. ასე მოქცევა საბა სხვა გავრცელებულ სიუჟეტებსაც. ესაა დიდი მეივავის შემოქმედებითი მეთოდის უაღრესად მნიშვნელოვანი სპეციფიკური თავისებურება.

ამ დებულების საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითიდან შეიძლება დავიმოწმოთ საბას ორი ცნობილი არაკიც: „მგელი, თხა და თივა“ და „კაცი და გველი“ („სიბრძნე სიცრუსა“, თბ., 1947, გვ. 62, 112). „მგელი, თხა და თივა“ ქართულ ზეპირმოქმედებაში პოპულარული გამოცანა-არაკია, რომლის შესაბამისი ნაწარმოები პროფ. ილ. აბულაძემ იპოვნა სომხურ წყაროებშიც („სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული“, 1959, გვ. 9-10). ამავე დროს მის ახლო პარალელს ვხვდებით იმავე ეთიოპურ (ამხარულ) ებოსშიც, ოღონდ იმ მცირე განსხვავებით, რომ ქართულ-სომხური ვერსიის მგლის, თხისა (კრავის) და თივის ნაცვლად იქ ჯიქი, თხა და კომბოსტო ვვხვდებო (ჟურნ. „ინსტრანაიაა ლიტერატურა“, № 9, 1958, გვ. 192-193). „კაცისა და გველის“ შესატყვისია ინდური ხალხური ნოველა „ახსოვთ კი ქვეყანაზე სიკეთე?“ („ინდური ზღაპრები“, რუს. გამოც., მოსკოვი, 1957, გვ. 121-128), ხოლო აფხაზური „კაცი და გველი“ („აფხაზური ზღაპრები“, რუს. გამოც., სოხუმი, 1959, გვ. 229-231). უშუალოდ საბას ორიგინალიდან მომდინარეობს.





老镇新街  
一九二九年  
一月一日



ღენ-შუ

ქველი თბილისის კუთხე

ღენ-შუ

მეტეხის ხედი





თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტის სტუდენტი ლუ გუან ვენი

საქართველოს  
ხელოვნების  
მუზეუმი

ხორცილის  
სახლი

1959-1961



მ. ივნი

ქველი თბილისი

# გიორგი არისტავი პოლონეთში

ვასილ კიკნაძე



აქართველოს პოლონეთთან მეგობრობის კარგი ტრადიცია აქვს. წარსულში არა ერთი ქართველი იყო დიპლომატურული პოლონური კულტურით. ჩვენი დიდი წინაპრების ამ სულიერ სწრაფვაში ნათლად გამოივლინდა ხალხთა მეგობრობის მაღალი იდეა.

პოლონური ლიტერატურისამი დიდი ინტერესს იჩენდნენ გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვანი. ცნობილია, რომ გ. ერისთავი, როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, დაპატიმრებული და გასახლებული იყო პოლონეთში. მაშინ იგი ძალიან ახალგაზრდა — 19 წლის იყო. პოლონეთში ყოფნის დროს გ. ერისთავმა შეისწავლა პოლონური ენა და გაიცნო პოლონური ლიტერატურა. ამ გარემოებათ ხელი შეუწყო გ. ერისთავს მჭიდრო კავშირი დაემყარებინა პოლონური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. იგი ვასაკუთრებით დაუახლოვდა ბიშოპიანების ოჯახს. ეს დიდად პოეტური ოჯახი იყო და ახალგაზრდა გიორგიც სულიერი სიახლოვე გრძნობდა მასთან. მან ლექსიც უძღვნა პოეტს როზალია ბიშოპიანს. ლექსის ასეთი შენიშვნა აქვს: „როზალია ბიშოპიანს — მასზე მისის ლექსებისა, ვაჟს მოშორებისას“. როგორც ჩანს, როზალიასაც უძღვნია გ. ერისთავისთვის ლექსი. სამშობლოს მიცილებულ გ. ერისთავთან დიდი სულიერი მეგობრობა ჰქონია როზალიას.

„მაშ მე არ ვეტყვი, რომე გზორღები,  
რადგან გულს მარად თან ეყოლები“. —

მიმართავს სატრფოს ჭაბუკი პოეტი. არის როზალიასადმი მიძღვნილი მეორე ლექსიც, რომელიც პოეტს ალბომში ჩაუწერია როზალიასავე თხოვნით. სამშობლოს მოშორებული ჭაბუკი „ყაბახისა“ და „მტკვრისადმი“ მიძღვნილ ლექსებში სევდიანად იგონებს სამშობლო მხარეს, მის ფრთხვეუსხმელ ოცნებებს. ერთ-ერთ ლექსში „უცხო ადამიანს“, მის სურვილზე, რომ „იგემოს სიტკბო“ თავისი მამულისა, გ. ერისთავი უბასუხებს:

„სიღრმითა გულით გრძნობილით ვარ მადლობელი  
ჩემის სურვისთა აღერისისა მიღებისათვის“.

გ. ერისთავმა პირველმა თარგმნა ქართულად ადამ მიცკევის ლექსები. მან სულიერი ნათესაობა იგრძნო დიდი პოლონელ რომანტიკოსთან, რომელმაც მკაცრიად გამოხატა თავისი სამშობლოს სევდა და ზგაღნივლი დღის იმედი. ქართველმა პოეტმა საყურადღებო ლექსი უძღვნა მიცკევისს! როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ლექსები საინტერესოა თემატიკურად, პატრიოტული განწყობილებითა და ვულურფლობით. შესაძლოა, ორიგინალური ლექსების მხატვრობა ვერ მადლობდებოდა იმ დროის ქართულ პოეტური კულტურის დონემდე, მაგრამ ისინი ძალიან კარგად გამოხატავენ სამშობლოდან განდევნილი პოეტის განწყობილებას, აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ მან პოლონეთში ზვერი მეგობარი შეიძინა, რომლებიც

ყოველმხრივ დახმარებას უწყებდნენ ქართველ მამულში მთელის ძალით ცდილობდნენ არ ეგრძობინებინათ უსამშობლობა. ეს მეტყველდნენ და საკულისხმო ეპიზოდია ქართველი და პოლონელი ხალხის ისტორიაში.

ეს ნათელი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა შემდეგში. გ. ერისთავმა საქართველოში დაბრუნებისას მჭიდრო კონტაქტი დაამყარა პოლონელებთან. ვასაკუთრებით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურად თარგმნის ისტორია. როგორც ი. კერესელიმ აღნიშნავს, გ. ერისთავს გადასახლებიდან საქართველოში დაბრუნებისას, ახლის გაუცენია პოლონელი ინჟინერი კ. ლაფინსკი, რომელსაც გ. ერისთავის უშუალო ხელმძღვანელობით პოლონურ ენაზე პროზაულად უთარგმნია „ვეფხისტყაოსანი“ და შემდეგ სამშობლოში გამოუყვია. წინასაბუთის წინასიტყვაობა წარუშმდეგებია კ. ლაფინსკის. ეს წინასიტყვაობა უთარგმნიათ და ი. კერესელიძის შენიშვნებით დაუბეჭდილათ „ცისკარი“ 1870 წელს.

კ. ლაფინსკი წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ქართველმა ზვერი მამულსა ზღე. მეორეამტის საყურის დასაწყისში მივე ვახტანგა თავის ხრონიკინში გამოკრიბა ზოვიერთი თხობები ოთხის პოლონურის ტკორითთავან; მიცკევისის თხულებითვე აგრეთვე ვადათარგმნილი არის ზოვიერთი ლექსები ქართულ ენაზედ. „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ქმნილება არის ქართველების პოეზიაში, რომელსაც არ სცნობს ჯერ აქამდინ ქვეყანა. აქამდინ, როგორც ვიცით, ზოვიერთი ნაწყვეტები ვადათარგმნილი არის ფრანგულენოვან ენაზედ. მე რომ ვთარგმნი ამ პოემას, ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც გვესახურებს დასამეგობრებად პოემეტის სამშობლოს ქვეყნისა. ეს არი, რომ თვით უპირველესი პოეზია შეიქმნა გიორად ჩვენის მეგობრობისა, იყო ხელმძღვანელი ვანათლებლის ქართველისა. იმის გვარს არ ვახსენებ, ამისათვის, რომ თვითონ არ ინება; რომელიცა მთელი ორი წელიწადი მითარგმნიდა თავის საყვარელი ქართული პოეტის ქმნილებასა“. წინასიტყვაობის ბოლოს კ. ლაფინსკი ამაღლებული განწყობილებით წერს: „ასე, რა ვთარგმნის პოლონურ ენაზედ ჩემი ვეფხისტყაოსანი! ჩემი ნუგევის მომცემო. ვაპოლიაკებულო, გამოდი ქვეყანაში მე დიდად მსურს, რომ რამდენიმე გული მხურავლუ მოლიაკისა შეაჩაიო და შეავყავო საქართველო“.

ქართველი ხალხისადმი ღრმა სიყვარულით დაწერილ ამ სტრიქონებში ისიც კარგად არის მინიშნებული, რომ თარგმანს ხელმძღვანელობდა „ვანათლებული ქართველი“, როგორც ი. კერესელიმ აღნიშნა და შემდეგ ლიტერატურათმცოდნეობაშიაც მრავალჯერ ითქვა ეს „ვანათლებული ქართველი“ გიორგი ერისთავი.

ღივი გიორგის-მე ერისთავი ერთ-ერთ მეგობარს წერდა: „მუნდირი ვარ, რომ შემძლია დაკისახელოთ პოლონურ ენაზე პროზით თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“... ლაფინსკის იგი უთარგმნა მამაჩემმა“, რომელმაც „მშვენივრად შეისწავლა პოლონური ენა“.

პროფესიული ქართული თეატრის ფუძემდებლის, გამოჩენილი დრამატურგის გ. ერისთავის მეგობრობა პოლონეთის მოწინავე ადამიანებთან, მისი ღრმა სიყვარული და მადლიერება პოლონელი ხალხისადმი, წარმომადგენელი კიდევ ერთ ნათელ ფურცელს ჩვენი ხალხების მეგობრობის ისტორიაში.

# კოლონური და ქართული თეატრების ანალებიდან

გრიგორ ბუხნიკაშვილი



ვეოლუციამდელ პერიოდში მთელი რიგი ფაქტები ადასტურებენ პოლონეთა და ქართული თეატრალური შემოქმედების ურთიერთ გაცნობის მისწრაფებას.

როგორც ციციტი, ქართველი მეტახველი მეცხრამეტე საუკუნეში უკვე საკმაოდ ეცნობოდა პოლონურ ლიტერატურას. თარგმნილი იყო ქართულად ა. მიცკევიჩის, პ. სენკევიჩისა და სხვა ცნობილ პოლონულ მწერართა შემოქმედების ნიმუშები. ოთხმოციანი წლებიდან სენკევიჩის მრავალი ნაწარმოები ითარგმნა და დაიბეჭდა ქართულად.

იცნობდა ქართველი მეტახველი და მასურებილი პოლონურ დრამატურგიასაც.

ქართულ სცენაზე წარმატებით სარგებლობდა ი. ყუდაშვილის დრამატული ოპერა „ეროს და ფსიქეა“. იგი თარგმნა პოეტმა პაბლიონამ, პირველად დადგა რეჟისორმა მ. ქორელმა თავის საბუნებისოლ ქუთაისის სცენაზე 1910 წლის 24 აპრილს, დიდად ნიჭიერი მსახიობი ქალის ნ. ჩხეიძის მონაწილეობით. ამ პიესითვე გახსნა 1911 წლის 17 სექტემბერს მ. ქორელმა ქუთაისის თეატრის 1911—1912 წლ. სეზონი, მანვე დადგა „ეროს და ფსიქეა“ თბილისის სცენაზე 1913 წლის 28 ნოემბერს. ქართულად თარგმნილი იყო აგრეთვე გ. აბაყელიას მიერ ი. ყუდაშვილის დრამა „იონა“.

1909 წლის 8 ოქტომბერს თბილისის დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა გ. ზაბოლოვის ტრაგედიის „ზნეობა ქალბატონ დელსიასა“ (თარგმნ. გ. აბაყელიას).

ითარგმნა აგრეთვე ს. პუბლიშვილის დრამები „ზაპაარი“ (თარგმნილი გ. შალიკაშვილისა და განდვილისა), „თოლი“ (თარგმნილი გ. შალიკაშვილისა და გ. აბაყელიას), „ცოდვა“ (თარგ. დ. ბაქრაძისა), კ. ტეტმაიერის დრამატული ფანტაზია „მახვილი გრძნობა“ (თარგმანი ჯავახიშვილისა).

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ქართულ სცენაზე პ. სენკევიჩის რომანის „კო ვაღის“ ინსცენირებას. ეს ნაწარმოები, რომელშიც შესანიშნავად არის გამოხატული ქრისტიანთა დევნა ძველ რომში, 1903 წელს სცენისთვის გადააკეთა ცნობილმა რუსმა მსახიობმა და დრამატურგმა ნ. სოხელშიკოვ-სამარინმა, იგი დიდი წარმატებით სარგებლობდა რუსულ სცენაზე. ნ. სოხელშიკოვ-სამარინის რეჟისურა ქართულად თარგმნა დიდამ პოეტმა აკაკი წერეთელმა სახელწოდებით „ვიდრე ხვალ, უფალო“ და პირველად დაიდგა თბილისის სცენაზე 1909 წლის 23 აპრილს. ამ წარმოდგენის მონაწილეები იყვნენ მსახიობები: კ. მესხი (ნერონი), გ. გუნია (პეტრონიუსი), ი. ზარდალიშვილი (მარკუსი), გ. ვედვეანივი (ხილონი), ი. ივანიძე (ფაბიუსი), ს. სვიმონიძე (ურსი), ზ. გომელაური (ფერეზისი), კ. ანდრონიკაშვილი (კროტონი), ნ. ჯავახიშვილი (პოპეა). წარმოდგენა გაიმართა მსახიობი ქალის ა. კარგარეთელის სტენდისოდ, ბუნევიციანტი ასრულებდა მთავარ როლს (გუნია). რეჟისურა ეკუთვნოდა გ. შალიკაშვილს. დადგმა რთული იყო მონაწილთა სიმ-

რავლის გამო; როლში გამოდიოდნენ თეატრის ყველა მსახიობი და თანამშრომელი, სულდორიც კი. ჩვენი ცნობილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი, რომელიც თეატრში მთავრ სულდორად მუშაობდა, ამ დადგამაში ორ ტიპოზურ როლს ასრულებდა (მაწაწაწა და მონას). წარმოდგენაში მონაწილეობდა გუნდი ია კარგარეთელის ლტებარობით.

შემდეგ წარმოდგენებში პეტრონიუსის როლს ასრულებდა აგრეთვე ლადო მესხიშვილი.

შემდგომში „ვიდრე ხვალ“ თბილისის სცენაზე დაიდგა: 1910 წლის 22 იანვარს და 24 სექტემბერს, 1912 წლის 11 ნოემბერს და 27 დეკემბერს, 1914 წლის 13 აპრილს, 1915 წლის 28 აპრილს და 24 ნოემბერს.

ქუთაისში „ვიდრე ხვალ“ წარმოდგენილი იყო 1909 წლის 28 სექტემბერს, სეზონის გახსნისას, რომელსაც გ. გუნია მეთაურობდა. პიესა დადგა შ. დადიანმა. როლებს ასრულებდნენ შ. დადიანი (ნერონი), გ. გუნია (პეტრონიუსი), ა. იმედაშვილი (მარკუსი), მ. ნემო (ხილონი), ნ. ჩხეიძე (ურსია), ნ. დავითაშვილი (ლიგია), ა. ყაღალაძე-ვიცილი (ურსი). ამავე სეზონში „ვიდრე ხვალ“ კიდევ ორჯერ იქნა წარმოდგენილი 1909 წ. 26 სექტემბერს და 1910 წლის 16 იანვარს. შემდეგ სეზონში (1910—1911) — 1910 წლის 18 დეკემბერს (ლადო მესხიშვილის მონაწილეობით), 1911 წლის 5 თებერვალს (სეზონის დასრულების), 1913 წლის 24 თებერვალს, 1915 წლის 26 დეკემბერს და 1916 წლის 4 იანვარს და 18 დეკემბერს.

ბათუმში „ვიდრე ხვალ“ დაიდგა ორჯერ: 1913 წლის 16 ნოემბერს (ადგილობრივი დასის მიერ შ. დადიანის ხელმძღვანელობით) და 1915 წლის 22 დეკემბერს (ქუთაისის დასის მიერ).

პოლონური ქართული ხელოვნების ზოგადი ნიმუშის გაეცნენ 1910 — 1914 წლებში, თავის დიდებულ ქართულ ვარსკვლავში გამართულ ქართულ სადამოებზე, რომელთა ინიციატორი იყო ვარსკვლავის უმაღლესი სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა.

როგორც ციციტი, ცარიზმის დროს საქართველოში, მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერ მოხერხდა უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. მოწინავე ქართველი საზოგადოების ინიციატივით თბილისში შეიწარმოა კი იყო აკადემიური უმაღლესი სასწავლებლისათვის (ამჟამად ამ შენობაშია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მაგრამ ცარიზმის მმართველობა ანგარიშს არ უწევდა ქართველი ხალხის ამ მოწონვას. ქართველი ახალგაზრდობა იძულებული იყო რუსეთის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში მიეღო განათლება. აიასობით ახალგაზრდობა სწავლობდა პეტერბურგში, მოსკოვში, კიევიში, ოდესაში, ხარკოვიში, იურევიში, ტომსკში, ყაზანში. სწავლობდნენ ვარსკვლავშიც, აქ არსებულ სამ უმაღლეს სასწავლებლებში — უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურსა და სახეობო ინსტიტუტებში.



შარშან ვარშავის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა, ამჟამად მსოფლიო პედაგოგმა დოცენტმა ტერენტი ვეფხვაძემ სათავატიო მუზეუმის სამკურალ პრესავაზა ვარშავაში გამართული ქართული საღამოების პროგრამები და ამ საღამოებზე შესრულებული ქართული სიმღერების ნოტები. პატარა მოგონებაც დაწერა თავისი მონაწილეობის შესახებ ამ საღამოებში. ზოგიერთ ცნობა თვით მუზეუმში იყო შემოსული. ზოგი რამ რეკლამიანდელ ქართულ პრესაში მოიხსნა და ყველა ამ მასალამ საშუალება მოგვცა აღვდგინა ზოგად სურათი ქართველი ახალგაზრდობის საინტერესო მოღვაწეობისა თავისი შრომითური ქვეყნის გარეთ, შორეულ ვარშავაში.

1910 წლის სექტემბერში ტ. ვეფხვაძე შესულა სტუდენტად ვარშავის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იმ დროს ვარშავის სამ უმაღლეს სსსწავლებელში სულ 54 ქართველი სტუდენტი სწავლობდა.

რუსეთში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს ყველანაირად შეეძინა სათვისტომოები, რომლებიც აერთიანებდნენ არა მარტო სტუდენტებს, არამედ ამა თუ იმ ქალაქში მუდმივად მცხოვრებ ქართველებსაც. სათვისტომოების ამოცანას შეადგენდა ურთიერთდახმარება და კულტურული მუშაობა. სათვისტომოების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო პრობანდა ქართული კულტურისა ქართული საღამო-წარმოდგენების სახით.

ვარშავაში, ქართველი სტუდენტობის სიმცირის გამო, ქართული სათვისტომო ცალკე არ არსებობდა. იყო „კავკასიის სათვისტომო“, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და კავკასიის სხვა ქართველთა ახალგაზრდები. ქართული საღამოები იმართებოდა ამ „კავკასიის სათვისტომოს“ სახელით.

არსებული ცნობებით, ვარშავაში სულ გაუმართავ ხუთი ქართული საღამო. პირველი ასეთი საღამო ვარშავაში 1910 წლის 25 თებერვალს მოეწყო. სათავატიო მუზეუმში, საქ. სსსახლო არტისტის კოტე ფოცხვერაშვილის ბიძა არქიფოვ დაეწყო ამ საღამოს პროგრამა. საღამოს ეწოდება „პირველი ქართული კონცერტ-საღამო“. საღამოს პასუხისმგებელი გამგებელი ყოფილა ექიმი ნ. გოიჯილი, რომელიც მუდმივად ვარშავაში ცხოვრობდა და დიდად უყვებოდა ხელს „კავკასიის სათვისტომოს“ მოღვაწეობას. საღამოს მთავარი მონაწილე ყოფილა კოტე ფოცხვერაშვილი, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსების სხვადასხვა ქალაქში გამართულ ქართულ საღამო-კონცერტებში. საღამოზე შესრულებული ყოფილა კოტე ფოცხვერაშვილის ახალი მუსიკალური სურათი „ბაყაყ-სადევი“. ქოროს და ორკესტრს დირიჟორობდა აგტორი. ქოროს შესრულება აგრეთვე კოტე ფოცხვერაშვილის მიერ ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები. სამი სიმღერა „ნანა“, „ვახტანგი“ და „გოონა“ საერთაშორისო ენაზე — ესპანტოზე შესრულებიათ. კონცერტში მონაწილეობა მიუღიათ სავანგებოდ მოწვეულ ვარშავის თეატრების მსახიობთ, მათ შორის, პოლონელ მომღვაწელ ქალს ვოინოვსკიას.

საღამოს წარმატებამ აშთო წააქეზა ვარშავის ქართველი სტუდენტები და მორე საღამო იმავე წლის 25 სექტემბერს გაუმართავთ, მონაწილეობა მიუღია შრომით-

ური მუსიკის მოყვარულს სტუდენტ ტერენტი ვეფხვაძესაც. მან მოამზადა გუნდი, რომელშიაც ქართველებს გარდა, ბლომად იყვნენ რუსები; საქველურად მათთვის გადაწერილი იქნა ნოტები, რუსული ასოვლი გამოასახული ქართული ტექსტით. სიმღერების შინაარსი, რუსულად თარგმნილი, დაბეჭდილი იყო საღამოს პროგრამაში. მომზადებული იქნა ქართული ცეკვები, აგრეთვე ცოცხალი სურათი კავკასიის მოიკლთა ცხოვრებიდან. საღამოს დიდი წარმატება ხვდა წილად. ქართული სიმღერები ძალიან მოეწონათ მსმენელებს და მათი თხოვნით რამდენჯერმე იქნა გამეორებული.

შემდეგი საღამოს შესახებ ვრცელი ინფორმაცია იყო მთავსებული „სახალხო გაზეთში“ (№ 519, 1912 წ.). „ქართველმა სტუდენტებმა, — ვეითხულობთ გაზეთში, — გამართეს ქართული საღამო, სამი თვე მუდმივოდენ საღამოს გამგენი, და შესამჩნევი საღამო გამართეს. დანიშნულ დღემდისვე გაიყარა თითქმის ყველა ბილიტი. საღამო გაიმართა „შეიცარიის დღისნა“ში, რომელიც სიღვიძით მჭირდ შენობად ითვლება ვარშავაში. აფიშებში გამოცხადებული იყო, რომ საღამო სწორედ რვა საათზე დაიწყებოდა და, ამიტომ ჯერ 8 საათი არც კი იყო, რომ შენობა გაიჭედა... ახიანა ფარად, ვანგებ ამ საღამოსთვის დაბატული დეკორაციით მორთულ სცენაზე გამოჩნდა ქართულად გამოწყობილი მომღერალთა გუნდი, სამოცამდე კაცი და ქალი, სტუდენტ ტერენტი ვეფხვაძის ლოცხარობით. იმღერეს „სამშობლო“, კ. მარბაის მიერ გადაცემული ხალხური (იმერული) სიმღერა „ახალელი-დღლია“. თითქმის ყველა მომღერლები რუსები იყვნენ, მაგრამ ვარკვევით გამოსთქვამდნენ ყოველ სიტყვას. სამი თვის მანძელზე ნაყოფი მოიჭანა, — ხორი საუცხოვოდ იყო მომზადებული. ყოველი სიმღერის შემდეგ თვაციებს ბოლო ადარ ჰქონდა. ბოლის ხორში იმღერა „ვახტანგ მეფე“, რომელიც საზოგადოების თხოვნით ორჯერ გაიმეორეს... ხორში აგრეთვე შესარულა „ფაცხა“, „შარი-შერი“ „აღსდევ გმირი გმირი“. განსაკუთრებით მოწონებიათ „აღსდევ“ ორჯერ ამღერეს და საზოგადოება მაინც არ სტრებოდა და თხოულობდა მესამედ განმეორებას... კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ვარშავის მსახიობებმა. ბოლოდღამა მომღერალმა ქალმა ბრეჯინსკიამა ქართულად იმღერა „ნანა“. სტუდენტმა ს. ასიაშვილმა იმღერა ზ. ფალიაშვილის „ახალ აღნაკო სული“. სტუდენტებმა შესარულეს ცეკვა „ქართული“, „ზუზუნდარა“ და სხვ.

დასასრულ ნაწილები იქნა ეთნოგრაფიული სურათი „ქორწინალი საქართველოში“, რომელიც განსაკუთრებით მოეწონათ მაყურებლებს.

აღსანიშნავია, რომ ამ საღამოსთვის სტუდენტებს საქართველოდ ჩამოუტანიათ ქართული ხილი ბუფეტში გასასყიდად. „სახალხო გაზეთი“ იტყობინება, რომ საზოგადოების ხილულობა ძალიან მოეწონა და ერთი საათის განმავლობაში სულერთიანად დაიტაცესო. ასევე მალე გასაღებულა 12 ფუთი კახური და ნ ფუთი იმერული ღვინო. ბუფეტში ბოლოდ კავკასიური საქმელები მზადდებოდა. „მსურველი იმღერა იყო, — ვეითხულობთ გაზეთში, — რომ შეუძლებელი გახდა ყველას დაკმაყოფილება“. საღამოს განაგებდა ბ. ყულხანიშვილი—ვარშავაში მცხოვრები ქართველი, ვარშავის სოფლისწული მამულაბის მმართველი. საღამოს სათვისტომოსთვის მიიყვანა გარე



შემოსავალი, რომელიც შემდეგ ექლედო დახმარების სახით ხელმოკლე სტუდენტებს.

საინტერესოა ერთი ცნობაც ამ საღამოს შესახებ. „სახალხო გაზეთი“ წერს: „... ქართული სიმღერები ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ საღამოს მეორე და მესამე დღესვე მიღებული იყო წინადადება, რათა ჩავაწერინოთ ეს სიმღერები ფირფიტაზე გრამოფონისათვის“.

შემდეგი საღამო გაიმართა 1913 წლის 17 თებერვალს. მას სახელად ეწოდებოდა „კავკასიური საღამო“, რადგან მოწყობილი იყო ქართველი და სომეხი სტუდენტების გაერთიანებული ძალეებით. საღამოზე გამოვიდნენ ქართული და სომხური გუნდები, აგრეთვე სოლისტები. ქართული გუნდი მოამზადა სავანებოდ მიწვეულმა ქართული ფილარმონიული საზოგადოების წევრმა მ. დალაქიშვილმა, სომხური — სტუდენტმა გ. სტეფანიანმა. საღამოს დიდძალი მაყურებელი დაესწრო და მას დიდი წარმატება ხვდა. „სახალხო გაზეთი“ (№ 836, 1913 წ.) ავეიწერს ამ კონ-

ცერტს და აღნიშნავს, რომ ამ საღამოს დიდი შიამყნელობა ჰქონდა ორი ერის დახლოების საქმეში.

მეხუთე საღამო გაიმართა 1914 წლის 13 თებერვალს. ამ საღამოზე ძირითადი ადგილი კვლავ ქართულ გუნდს დაეთმო. ტ. ვეფხვაძის ლოტბარობით გუნდმა შეასრულა „ვახტანგ შეფე“, „ქრულ იყოს“ (კ. ფოცხვერაშვილის), „ფაცხა“, „ვოგონა“, „ძირში მოუსეთ ნამგალი“, და „ნანა“.

საღამოზე სტუდენტთა ორკესტრმა შესარულა მ. იპოლიტოვ-განოვის კავკასიური ესკიზი. გამოვიდნენ დეკლამატორებიც. წაკითხული იქნა რუსულად თარგმნილი ნ. ბარათაშვილის „მერანი“ და ი. ჭავჭავაძის „მამულს“. ნაჩვენები იქნა ცოცხალი სურათი „ნადიმი ვერის ბაღში“. დასასრულს გაიმართა ქართული ცეკვა. უკრავდა ზურნა.

ამის შემდეგ აღარ მოგვეპოვება ცნობები ქართული საღამოების შესახებ ვარშავაში და, გვგონია, აღარც იქნებოდა გამართული პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო. ქართველობაც თანდათან დაბრუნდა სამშობლოში.



ბ. ბრეპტი „კეთილი ცაცი სიჩუანინან“  
გალინა მიკოლაისკია შენ ტე-ს როლში



ნინა ანდრიში შარია სტიუარტის როლში



# პოლონური არქიტექტურა

სიმონ კინწურაშვილი



ერ კიდევ დამცხრალი არ იყო მსოფლიო ომის ხანაბარი, პოლონეთის მიწვის სისხლი არ შემწრობოდა, როდესაც ხუროთმოძღვრია მაცი ნოვიცი<sup>1</sup> გატაცებით აპროექტებდა ახალ, უჩვეულო ქალაქს. ეს იყო ლისსკი, ვარშავის მახლობლად. სახლზე ჰქონდა პატარა ზარები და ყოველ სახლზე ზარი სხვადასხვა ტონალობისაა, ზარები ქარის შეხებით საამოდ რეკავენ. ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრით, ეს ბრეზისათვის განკუთვნილი ქალაქია. მას სწამს, რომ ბრემბე-მაც უნდა შეიგრძნოს ხუროთმოძღვრება და იგრძნოს ხუროთმოძღვრის ზრუნვა. მათთანაც შეიძლება არქიტექტურული ფორმებით საუბარი! ამიტომ სახლების ცალკეული დეტალები, ფორმები, მასალა, ყველაფერი, რასაც აქ მცხოვრები შეეხება, უნდა იყოს სასიამოვნო, სიხარულის მომგვრელი.

მაცი ნოვიციის ეს პროექტი ქალაქზე და მაცეტში დაბრია, როგორც დიდი ადამიანის დიდი ნაფიქრალი. მაგრამ მასში ჩაქსოვილი ღრმა ჰუმანური არსი მრავალსიმთქმელია და გვეხმარება სწორედ გაციზიაროთ ომის შემდგომი პოლონური ხუროთმოძღვრების მიღწევები.

შრომელთა შესაფერი მაღალი მხატვრული და ფუნქციური ღირებულების ხუროთმოძღვრული ნაგებობების შექმნა, ძველი, უფრო ხშირად ომით დაზარებული ქალაქების ახლებურად დაგეგმარება და აღორძინება, ახალი სოციალისტური ქალაქების დაგეგმარება-განაშენიანება—აი რა იყო სხალხო პოლონეთის ხუროთმოძღვრათა კეთილშობილი და საბატო ამოცანა.

დღეს პოლონეთის ახალი ხუროთმოძღვრება სწორ გზაზე დგას და ღირსეულად ასრულებს თავის ამოცანებს. ეს მიღწევები დიდია და მნიშვნელოვანია, როგორც ნხატვრულ-ფუნქციური თვალსაზრისით, ისე გაზილი მშენებლობის ტემპებისა და მასშტაბების მხრივ, რაც მტყვევლებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცხოვრებისა და კულტურის განუხრელ ზრდაზე. ვფიქრობთ, ამ საქმეში მთავარი როლი ითამაშა სამშობლო ქვეყნის ადღენისა და აღორძინების იმ ღრმა და კეთილშობილურმა რწმენამ, რომელიც ნოვიციის ხორცმუსხამ პროექტშიც თვალნათლივ ჩანს.

ბუნებრივია, ქართველ ხუროთმოძღვრებს და ფართო საზოგადოებრიობას აინტერესებთ პოლონელი არქიტექტორების მიღწევები, პოლონური ხუროთმოძღვრების განვითარების გზები. ეს წერილი ამ ინტერესის გამომხმურე-


ბა და ასახავს თვით პოლონეთში ჩვენი ხანმოკლე მოგზაურობის დროს (ამ გამოთქმის სრული მნიშვნელობით) მიღებულ შთაბეჭდილებებს.

როდესაც ახალი პოლონეთის მშენებლობისა და არქიტექტურის მიღწევებზეა ლაპარაკი, პირველყოფისა, უნდა აღინიშნოს პოლონეთის ქალაქმშენებლობის მიღწევები და განსაკუთრებით ვარშავის დაგეგმარების, ადღენისა და განაშენიანების გრანდიოზული სამუშაოები.

ვარშავა. სტარე-მისტო. გასაცვლილი რინგეზი



<sup>1</sup> მაცი ნოვიცი — სახელანაშენილო პოლონელი ხუროთმოძღვრია. უღროოდ დაიღბა 1950 წელს თვითმფრინავის კატასტროფის დროს. იგი ავტორია ც. დიტრიხთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ნაგებობისა — როლის (ა. შ. შ.) გამოფენის პეილიონის ე. წ. აბარბოლუქვისა.




ვარშავა. სტადიონი. დეტალი.



ვარშავა. სტადიონი. შესასვლელი

ვარშავა. გეტოს გმირების ძეგლი. ავტორები: სესულტორი რაპოპორტი, არქიტექტორი სუხინი.



ვარშავის განაშენიანება დაიწყო XIV საუკუნეში მდინარე ვისლის მარცხენა მალა ნაპირზე. ის მდებარეობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის არსებულ მნიშვნელოვან სავაჭრო სტრატეგიულ გზაზე და ვითარდებოდა, როგორც ტიპიური ვერაპული შუასაუკუნეების ქალაქი. მისი მდებარეობა ბევრად აპრობებდა ქალაქის კეთილდღეობას თუ დაქვეითებას: საუკუნეების მანძილზე მრავალრიცხოვანი დამპყრობლების მიერ მიყენებულ ჭრილობებს ცვლიდა ბოლონელი ხალხის სახელმწიფოებრივი და კულტურული ცენტრის აღორძინების ბრწყინვალე პერიოდები.

განსაკუთრებით სწრაფად დაიწყო ზრდა ვარშავამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ეს მოხდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად. სწრაფმა, მაგრამ უგეგმო მშენებლობამ, ცენტრისა და გარეუბნების დაპირისპირებამ, მრეწველობისა და საცხოვრებელი უბნების უსისტემო გადახლართვამ — ვარშავა ტიპიურ ბურჟუაზიულ ქალაქად აქცია.

ვერობის არცერთ დედაქალაქს არ განუვლია მეორე მსოფლიო ომში ისეთი ნგრევა, როგორც განიცადა ბოლონეთის დედაქალაქმა. 1944 წლის ვარშავის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, გერმანელმა ფაშისტებმა ქალაქიდან მთლიანად გაიყვანეს დარჩენილი მოსახლეობა და დაიწყეს შენიშების ბარბაროსული განადგურება. პირველ რიგში ანგრევდნენ ბოლონური ხუროთმოძღვრების ძველ ძეგლებს. ვარშავის ერთერთი საცხოვრებელი უბანი მურანოვო, სადაც პიტლერლებმა მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელთა გეტო მოაწყვეს, გადაქცეული იქნა აგურის ნამსხვრევებით მოვენილ მოედნად. საბოლოოდ ქალაქის მარცხენა უძველეს და უდიდეს ნაპირზე გადარჩა ნაგებობების 13% და აქედან დაუზიანებელი მხოლოდ 5%. შედარებით ნაკლებად დაზიანდა ვისლის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული გარეუბანი — პრადა. მიჩნეულია, რომ ქალაქის ერთ-ერთი რაიონი ჟოლიბჟუჟი შედარებით ადვილად გადურჩა ომს, ვინაიდან აქ ნაგებობების მხოლოდ 5% დაინგრა. თუ ყოველივე ამას გაეთვალისწინებთ, არ უნდა გაგვივირდეს, რომ ვარშავის განთავისუფლების შემდეგ იყვნენ ადამიანები, რომელთაც არ სჯეროდა ბოლონეთის დედაქალაქის კვლავ აღორძინება.

ამდენად ახალი, სახალხო ბოლონეთის დედაქალაქის — ვარშავის აღდგენითის სამუშაოებს და გენგეგმის შემდგენას ბევრი სიძნელე გადაეღობა. საჭირო იყო ქალაქის გაწმენდა-გასუფთავება, გადარჩენილი ნაგებობების მაქსიმალურად გამოყენება და ამასთან კაპიტალისტური ვარშავის ნაშთების ლიკვიდაცია. ახალი ვარშავა უნდა აღორძინებულიყო ბურჟუაზიული შემოსავლიანი სახლებისა და ჭისებური ვიწრო ეზოების ნანგრევებზე. პარალელურად უნდა გაშლილიყო ახალი საცხოვრებელი სახლების, საცხოვრებელი უბნების მშენებლობა.

ამიტომ აღდგენა-განაშენიანების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გარეუბნებს, ვინაიდან ისინი შედარებით ნაკლებად იყვნენ დაზიანებული. ამან გამოიწვია ენერჯალურ გეგმაში „კვარტალების ზოლების“ შექმნა. ეს ზოლები რადიალურად არიან მიმართული ცენტრისაკენ. ამით არის გამოწვეული ახლანდელი ვარშავის ქუჩების ქსელის პრინციპი: ცენტრალურ უბნებში, ვისლის მარცხენა ნაპირზე — მდინარის დინების პარალელური და

პერპენდიკულარული მიმართულება, ხოლო გარეუბნებში — რადიალური. ეს ორი ჯგუფი ორგანულად არის ურთიერთდაკავშირებული. ჩინებულადაა გააზრებული საკომუნიაციო ქსელიც.

გენერალური გეგმა განსაზღვრულია 2 მილიონ კაცზე, რაც ვანაგარიშებით მოსალოდნელია 25-30 წლის შემდეგ. გენგეგმის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი არ არის ზედმეტად დეტალიზებული. მისში არ არის განსაზღვრული მომავალი კვარტალების სიდიდე და ხასიათი, არამედ მოცემულია საერთო ზონირება. იგი იძლევა საცხოვრებელი და სამრეწველო რაიონების, მწვანე ნარგავებისა და კომუნიაციების ძირითად მონახაზს. ამ სახელმწიფო დოკუმენტის საფუძველზე დგება ეტაპური გეგმები, რომელთა საშუალებით ხდება მშენებლობის განწყობა დროის უფრო მოკლე, განსაზღვრულ მონაკვეთში.

ვარშავის ალდგენის ტემპებისა და მშენებლობის გაქანების შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრიც ვგსმენია, მაგრამ ეს შეიძლება იგრძნო და გაიგო მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველაფერს შენი თვლით ნახავ. ამ უზარმაზარი ქალაქის (ამჟამად აქ მილიონზე მეტი მცხოვრებია) რაიონებში — მარიენშტატში, მოკოტოვში, მურანოვოში, მლინოვში, ვეებნოში და სხვ. — ნანგრევების ნაცვლად უკვე ფართო ქუჩები, მრავალსართულიანი ახალი საცხოვრებელი სახლები, გამწვანებული ეზოები და კვარტალებია.

შთავარი, რაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ ახალი საცხოვრებელი უბნები ძირითადად (მცირე გამოკლისით) თანამედროვე ქალაქმშენებლობის პრინციპების დაცვით არის დაგეგმარებული. საცხოვრებელი სახლების ბლოკები თავისუფლად, რელიეფისა და ორიენტაციის ანგარიშსწავლით არის განლაგებული; ეზოები გამწვანებულია; გამოყოფილია და განცალკევებული სამეურნეო და საბავშვო მოედნები; შიგ კვარტალში განლაგებულია საბავშვო ბაღების, პარკების, სკოლების შენობები. ეს იმდენადაც არის აღნიშვნის ღირსი, რომ ზოგიერთი ამ საცხოვრებელი რაიონის განაშენიანება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გენგეგმაზე მუშაობა დამთავრებული არ იყო. პირველ ხანებში ბევრი საცხოვრებელი სახლი ექსპლატაციაში შედიოდა საბოლოო არქიტექტურული გაფორმების გარეშე, რადგან საქირი იყო, რაც შეიძლება მაღლ და მეტი საცხოვრებელი ფართის მიღება. ვინაიდან ვარშავის გენგეგმით ძალზე შეზღუდულები არ იყვნენ და არ არიან ცალკეული უბნების დამგეგმარებელი ხუროთმოძღვრები, ამიტომ ყოველ უბანს თავისი დამახასიათებელი სახე აქვს და გამოირჩევა ინდივიდუალური სიახლეებით.

აკილოთ, მაგალითად, მარიენშტატი — პირველი დიდი საცხოვრებელი რაიონი, რომელიც ომის შემდეგ ზეალხა ააგეს. სამსართულიანი სახლების რიგები მდინარის დინების პერპენდიკულარულად არის მიმართული. ამით კვარტალის შიგა ეზოებიდან მდინარეზე და ქალაქის მარცხენა ნაპირზე გახსნილია შესანიშნავი ხედი. მიღწეულია კარგი ინსოლაცია და აერაცია. ამავე დროს მდინარიდან არ იკეტება ხედი ქალაქის ძველ უბნებზე. მოცულობები კარგადაა განლაგებული რელიეფზე და მაღალი სახურავების დონეთა ცვალებადობით ხაზს უსვამენ მდინარისაკენ მი-




ვარშავა. სტარე-მისტო. შიხის საათი.

მართულ დაქანებას. სახლების არქიტექტურა ნათელი, ცოცხალი და სადაა.

სხვა ყაიღისაა ვარშავის მეორე საცხოვრებელი უბანი — ვეებნო. კვარტალების ნაწილის მშენებლობა ახლახან დამთავრდა, ნაწილი კი — შენდება. ამ უბანზე, პირველად პოლონეთში, დიდი მასშტაბით იქნა გაშლილი მსხვილი

ვარშავა. სტარე-მისტო. საცხოვრებელი სახლის ფრაგმენტი. სკრაფიტო.





ვარშავა. ბარბაკანი. აღდგენილი შუასაუკუნეების ხანის ციხე.

ბლოკებით მშენებლობა. შერჩეული იქნა სამი სახის ტიპობრივი სექცია, რომელთათვის გამოყენებულია ასიოდე მზა დეტალის ტიპი. სექციების ვარიანტებით შექმნილია საცხოვრებელი სახლების სხვადასხვა ვარიანტი და ამით უზანში თვითან არის აცვლებული ერთფეროვნება. სახლების კონსტრუქციული წყობა არა მარტო ჩანს მზა ფასადზე, არამედ ხაზგასმულიცა და გამოყენებულია ნაგებობის არქიტექტონიკის განსახილველად. კერძოდ, სართულშუა გადახურვის კონიზონტული ფილების სარტყლემი კველვან მოუპირკეთებლად გასდევენ ფსადას და ლკორტალების არქიტექტურის გამაირიანებელი ვერტიკალური მასშტაბის როლს ასრულებენ. კედლის დანარჩენი სიბრტყეები ზოგიერთ სახლებში მოპირკეთებულია იაფი და უფეულო „მოსაპირკეთებელი“ მასალით — მინარის წერილი ქვით, ხრეშით. მიღებულია კედლის ცოცხალი ფაქტურა. შიდაკარტალური კეთილმოწყობა აქაც ჩატარებულია მშენებლობის დამთავრების პარალელურად.

რადგან იაფი დეკორატიული მასალების ხმარება ვახსენეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლონელი ხუროთმოძღვრები სულ უფრო და უფრო ფართოდ იყენებენ ფერს, როგორც ფსადალების გაფორმების ეფექტურ ხერხს ეს გამოყვეულია სახლის დეკორატიული გაფორმებისათვის გამოყოფილი სახსრების სიმეკრით. იგი მშენებლობის მიჯობელების მხოლოდ 2%-ს შეადგენს. ამიტომ, ვფიქრობთ, შეიძლება სადავო, მაგრამ პრინციპში უთუოდ საინტერესო პროექტი წამოაყენა ვარშავის ხუროთმოძღვართა და მხატვართა ერთმა ჯგუფმა<sup>1</sup>. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ვარშავა-გურეციის რაიონის საცხოვრებელი კვარტალების მშენებლობის პროექტი. ამ პროექტით სახლები ერთმანეთისაგან უნდა განირჩეოდნენ მხოლოდ ფსადებზე განაწილებული ფერადი პანელების სხვადასხვაობით. შვიდი და თეთრი ნიწებით არის გაფორმებული კიბის უჯრედები. ფერი გასდევს არა ნაგებობების ტექტონიკურ ჩონჩხს, არამედ დამოუკიდებლად, დიდ დეკორატიულ-ემოქტურულ სურათს ქმნის ფსადზე.

ჯერჯერობით ხუროთმოძღვრულად მოუწესრიგებულ

შობებელილებს სტოვებს ვარშავის ცენტრში. შთავსო, მარშალკოსკის ქუჩის უმეტესი ნაწილი და დიდი თეატრის ირვკელი მდებარე უბნები არ არის მოლიანად განაშენიანებული. პოლონელი ხუროთმოძღვრები ფრთხილობენ, სურთ დედაქალაქის მომავალი ცენტრი ახალი ვარშავის შესაფერი გამოვიდეს. ამიტომ უკანასკნელ წლებში გამოცხადდა რამდენიმე კონკურსი ცენტრალური უბნების განაშენიანების პროექტზე. ჯერჯერობით არცერთი პროექტი საბოლოო განხორციელებისათვის მიღებული არ არის, მაგრამ გამარჯვებულ პროექტებში ბერი საინტერესო იყო. მარშალკოსკის ქუჩის განაშენიანების პროექტში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულება გამოქვლანდა: ბირველი — ქუჩის გასწვრივ ნაგებობების თვისუფალი ე. წ. სივრცითი განლაგება და მეორე — ორივე მხრივ უწყვეტად განაშენიანებული „ქუჩა — კვადელი“. პროექტების ვარჩევის დროს უპირატესობა მიენიჭა უფრო პროგრესულს, თანამედროვე მიმართულებას — სივრცითი განლაგებას.

აქვე საინტერესოა ვარშავის ცენტრის მეორე უბნის — დიდი თეატრის (მისი აღდგენა მიმდინარეობს ძველი თაობის გამოჩენილი ხუროთმოძღვრის რომულად გუტსის ხელმძღვანელობით) და ძქერენსკის მოედნის მახლობლად მდებარე უბნებისა და მოედნების აღდგენის პროექტზე გამოცხადებული კონკურსი. ამ უბანში ბევრია წარსულ საუკუნეში აგებული შემორჩენილი, აღდგენილი და აღსადგენი ხუროთმოძღვრულად საინტერესო ნაგებობა. აღდგენად საჭირო იყო ანგარიში გაწეოდა მათ არსებობას. აქაც თავი იჩინა ორმა მიღვამმა. პროექტების ერთი ჯგუფის ავტორებმა წინადადებთ იძლეოდნენ ახალი ნაგებობების არქიტექტურა მიმავსებლად ძველი ნაგებობების არქიტექტურას. მეორე ჯგუფმა ახალი კვარტალები და ნაგებობები დაპროექტა ახალი მიდგომით, თანამედროვე არქიტექტურის მხატვრულ-ფუნქციური მოთხოვნების გათვალისწინებით. გამარჯვა, ჩვენე ზრით, აქაც სამართლიანად, მეორე მიმართულებამ. ახლისა და ძველის კონტრასტული დაბირისბირება, თუ იგი სათანადო მხატვრული ტაქტით არის გადაწყვეტილი, ყოველთვის ბევრად მეტ ეფექტს იძლევა.

ვარშავის ცენტრის, მისი მოლიანი ანსამბლის, საბოლოო სილუეტის გადაწყვიტის დროს პოლონელმა ხუროთმოძღვრებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ უბანში უკვე არსებულ მაღალ ნაგებობას — კულტურისა და მეცნიერების გრანდიოზულ სასახლეს, რომელიც საბჭოთა მთავრობამ პოლონელ ხალხს აუგო ვარშავაში. ამ ნაგებობის ავტორები და მშენებლები საბჭოთა სპეციალისტები არან. როგორც უკანით, ისე გარეთ შეინბა მიდრეულად და მაღალხარისხოვანად არის ნაგები. ამავე დროს მოსკოვის სიმლოთან სახლებთან შედარებით აქ უფრო ნაკლებად იგრძნობა ზედმეტი ავტაცება არქიტექტურული გაფორმებით, რაც იმ დროს ასე დამახასიათებელი იყო საბჭოთა არქიტექტურისათვის. შენობის მასები დხაწილი და მკაფიოა. მაგრამ ქალაქის სივრცე პანორამაში უხრეკრებით ერთფეროდ ამოვარდნილი ვერჩენა მისი საბჭოთატი. ეს ნაგებობა უკვე არის ვარშავის განაშენიანების არქიტექტურული დომინანტი, შემკრები ლიონი.

რაკი ვარშავის ცენტრი ვახსენეთ, გენდა ლარიოდ

<sup>1</sup> ი. ხ. ურნალა «Польша», № 10 (50), 1958, გვ. 8.



სიტყვა ვეძებ მარშალკოვსკის ქუჩის ერთთა უბანში ადგილი საკუთრებელი კვარტალის შესახებ (არქიტექტორთა კვლევა. თბილისი არქ. სივლინი). ამ ხანებოების არქიტექტურა ვერ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას. სასაბჭო ძირითადად განლაგებული ძველი ძაღვით — „ქუჩა-კორიდორი“. ზვეგია კლასიკური რეპერტუარიდან მოტანილი, არქაული ელემენტები. ფასადების არქიტექტურა თავმოყვრილ მთავებშია ტოვებს და ზედმეტად პომპეზურად გამოიყურება. ეს ამტკიცებს, რომ ითაბედავობი აოლონური არქიტექტურისათვის, ისევე, როგორც საბჭოთა არქიტექტურისათვის, გარკვეულ პერიოდში უცხო არ იყო ზედმეტობით, არქიტექტურული გაფორმებით გატაცება ფუქციური მხარის ხარჯზე. ამ გატაცების რეკლივები ჩვეულებით შეტარდება ქალაქში — ხოვა გუბა ცხებრალური პერიოდის ხანებოების არქიტექტურაშიც. იგი ვარაუდობს გრავიტიკულ პერსპექტიულ ნახატებშიც იქნეს თავს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ აოლონელმა ხუროთმოძღვრებმა საკმაოდ სწრაფად, შეიძლება უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვენმა ხუროთმოძღვრებმა, დათმეს თანამედროვე, მითუმეტეს, სოციალისტური ხუროთმოძღვრებისათვის, ეს უცხო და მავნე მიმართულება.

როდესაც თანამედროვე პოლონური ხუროთმოძღვრების მხატვრულ პრინციპებზე დაბარება, უკველითი გეგმონება ვარაუდობს დიდი სტადიონი. დაალობ ადგილზე, ვისლი მარჯვენა ნაპირზე, ხელოვნური მიწყობისა მიწყობილი. გარედან ეს მიწყობილი მწვენი თარს დაფარული და მასურებელათვის მისასვლელი პანდუები გადგება. შიგნით კი სტადიონის ტრიბუნები, როდესაც 100 ათასამდე მასურებელს იტევს. პოლონების ატორები არიან გამოჩენილი ხუროთმოძღვრები არც. მეი გრინფელცი, პროფ. მარგა ლეიკამი და იხ. ჩესლაკ რავესკი. ამ ხანებოებაში ბირველად არის გათყვებულნი შეტად სანტრეფისი ინჟინერულ-ხუროთმოძღვრული სისხლე: ტრიბუნების ქვევითა რივი ელასის მოყვანილობისა, ხოლო სულ ზევითა რივი კი თითქმის წრეა. ამით უპირველეს ყოვლისა მიღწეულია ფუქციური ეფექტა — შესანიშნავი ხილვადობა ყოველი მხრიდან: ნაკლები ადგილებია სტადიონის გრძელი ღერძის გასწვრივ და მეტი (75 რივი) მოკლე, საუკეთესო ხილვადობის ღერძის მხრივ. ელასიანდ წრეზე გადასვლა მასურებელთა სკამების რიგებისა და ასასვლელი კიბეების ზოლების მეტად სისაიმონო მრულს ქსისი. კიბეების „ვერტიკალიზა“ გამოყენებულია, როგორც დასანაწევრებელი რიტმი და შეურობასწორებელი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტრიბუნებზე მდებარე ორი მსხვილი ელემენტი: ნაკვეარელობისებური შესასვლელი თალით და პრესის და რადიო-ტელეგადამცემთა აპარატის მორიზოსტალი. არსად არც ერთი ხისტი ხაზი! გავლენას ახდენს მთლიანი ორგანიზმი. ვარაუდობს სტადიონის ინტერიერი ნათლად მეტყველებს არქიტექტურაში სადა, გეომეტრიული ხაზის მხატვრულ შესაძლებლობაზე, თანამედროვე არქიტექტურაში ინჟინერული და ხუროთმოძღვრული კონცეპციების ერთიანობის აღკვეთლობაზე.

აქვე გვინდა ვახსენოთ ერთი სანტრეფისი პროექტი, რომელიც, ჩვენის აზრით, აგრეთვე მოწიბობს თანამედროვე პოლონური არქიტექტურის მიღწევებს. ეს არის სატელევიზიო სადგური ქ. ლოშში (ავტორები: არქ. არქ. ანდრეი კოსენცი, ვიტოლდ კოზმინსკი და კონსტრუქტორები მარეკ კეცინსკი და ანტონ საეჩუკი). სადგურის კომპლექსის ხუროთმოძღვრული დომინანტია 100 მეტრის სიმაღლის 3,6 მ დიამეტრის ბეტონის მილი. მილში კიბე დალივტია მოწყობილი. 100 მეტრის სიმაღლეზე, ანტენის ქვევით, ხუთსართულიანი ცილინდრისებური მოცულბობა, სადაც მოწყობილია ტელესტუდია. ბეტონის მილი და ზემოთ სტუდია ქარის რხევები დაცულია წინასწარ დაპიკული 40 სმ სისქის ლითონის კაბელებს საშუალებით. არქიტექტორებისა და ინჟინერების თანამეგობრობით მიღწეულია ტელეგადამცემთა მთავარი მოთხოვნა: არ არის გამოყენებული ფოლადი (იგი ხელს უშლის გადაცემათა სიწმინდეს) და ვადასაცემი აპარატურა უშუალოდ ანტენის მახლობლად მდებარეობს.

პოლონელი არქიტექტორები სულ უფრო გაბედულად იყენებენ თანამედროვე ინჟინერულ სიახლეებს, იყენებენ რინა-ბეტონის კონსტრუქციულ და მხატვრულ შესაძლებლობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ინჟინერ-კონსტრუქტორის ვაცლავ ზალეკსკის მოღვაწეობა (მისი მონაწილეობით არის შექმნილი ქ. კალიშის საფეიქრო ქარხნის პროექტი).

ჩვენ შედარებით მოკლედ და არა სრულად აღვნიშნეთ ახალი პოლონური არქიტექტურის ზოგიერთი მიღწევა. აქვე უნდა ვახსენოთ ახალი ქალაქების (ნოვა გუტა) და გეგმარება-განაშენიებაში, საკურორტო მშენებლობაში (ზაკოპანე), ინტერიერების გაფორმებაში და ავეჯის დამზადებაში მიღწეული შედეგები; არა ნაკლებ სანტრეფისთა ბოლონელ ხუროთმოძღვრებათა მიერ უკანასკნელ წლებში შექმნილი სკოლების პროექტები (ამით ისინი გამოეხმადურნენ პატრიოტულ მოწოდებას — პოლონეთის სახელმწიფოებრიობის 1000 წლისთავისათვის აავრო არა მემორიალური ძეგლები, არამედ 1000 სკოლა). მაგრამ, ვფიქრობთ, სანტრეფისთა შედარებით ფართოდ აღნიშნის პოლონელ ხუროთმოძღვრებათა დამოკიდებულება ტრადიციებისადმი.

პოლონურმა არქიტექტურამ განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლია. ეს გზა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპული არქიტექტურის განვითარების გზებთან, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებდა თავის საკუთარ ნა-

ქროკოი. შუასაუკუნოების ხანის ირან-ბრიტო ქობა.



1 იხ. Болеслав Берут. Шестилетний план восстановления Варшавы. Варшава, 1951.



ციონალურ კოლორიტს. X საუკუნიდან, როდესაც დაიწყო პოლონეთის ფეოდალიზაცია, XIX საუკუნემდე შეიძინა ნილია მრავალი ღირსშესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლი, როგორც საერო, ისე საეკლესიო და თავდაცვითი ხასიათისა. პოლონეთში ხანმოკლე ყოფნის დროს, პირველად უშუალოდ მომიხდა გავცნობოდა ევროპული ხუროთმოძღვრების სხვადასხვა სტილისტურ მიმართულებებს სწორედ პოლონური არქიტექტურის ძეგლებით. ამ პირველხარისხოვანი ძეგლების უმბალო ქრონოლოგიური ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ წარმოიდგენა ვიქონიოთ ძველ პოლონულ არქიტექტურაზე. ეს არის რომანული არქიტექტურის ნაშთები კრაკოვის კრემლის — ვაველის მიწისქვეშაში; გუთური ტაძრის ზეატყორცნილი შინაგანი სივრცე მარიაკი კოსტილოში (XIII-XV ს. ს.) და აქვე ლოკალური ფერებისა და დამამაწერი ფსიქოლოგიის ჯაღმარის, აღორძინების დიდი მხატვრის ვიტ სტეფანს მირ უზარმაზარი, ხიდან ნაკვეთი კანკელი (1477-89 წ.წ.); აღორძინების ხანის პარნოიული, ძალზე გასაგები და ტექტონური ხუროთმოძღვრება — „თაღებანი ეზო“ (XVI ს. არქ. ფრანციშეკ ფლორენტიკი) და ზიგმუნტის სამლოცველო (1533 წ. არქ. ბერეჩი) კრაკოვის ვაველში; პოლონური ბაროკოს ძეგლი — წმ. პეტრესა და პავლეს კოსტილი მოუსვენარი ხაზებით, უამრავი სკულპტურით; და, ბოლოს, ვარშავაში ლაზეჩის დიდი სასახლის და ბაღის კლასიციტური ანსამბლი. ამას ემატება შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეები — ბარბაკანები (ვარშავაში და კრაკოვში) და ქალაქური საცხოვრებელი სახლების ნაირსახეობა.

პოლონეთში დიდი მოწიწებით და სიყვარულით ეცილებიან ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ამ ძველ ძეგლებს. ამის დამამტკიცებელია ვარშავის ძველი უბნების ე. წ. სტარე მიასტოს (ძველი ქალაქი) აღდგენა. პოლონეთის დედაქალაქის ეს უბანი ისე, როგორც მთელი ვარშავა, თითქმის სავსებით დანგრეული იყო. მეცნიერული სიზუსტით და მიღწევით პოლონელმა ხუროთმოძღვრებამ გააკეთეს საშვილიშვილო და კეთილშობილური საქმე: ვარშავას დაუბრუნეს თავისი ისტორია. აქ გაწეული აღდგენითი სამუშაოები თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ომის შემდგომი პოლონური არქიტექტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად. ყველაფერი — ქუჩები, მოედნები, ნაგებობები, დეტალები აღდგენილია ძველი ხუროთმოძღვრული სტილით.

მაგრამ ძველის აღდგენაში არ არის ბრმა, შაბლონური მიდგომა. თუმცა ძველი ნაგებობების ვარე ფასადები და ინტერიერები (კიბეები, კორიანრები) ძველმუხარად არის აღდგენილი, სამაგიეროდ შიგ მოთავსებული საცხოვრებელი ბინები მოწყობილია თანამედროვეობის მოთხოვნილებების შესაბამისად (სანკანძი, სამზარეულო,

ცენტრალური გათბობა). თუ სტარე მიასტოში ძველმუხარად სადები აღდგენილია ძველმუხარად ყოიდაზე, ნოვე მიასტოში (ახალი ქალაქი) ბაროკოსა და კლასიციზმის სტილის აღდგენილი ნაგებობების ფასადები შემკულია თანამედროვე ხშირად მეტად მოდერნული ფერადი კედლის მხატვრობით. ამას ცოცხალი, მაკორული ქვარადობა შეაქვს ძველი კვარტალების არქიტექტურაში.

თანამედროვე პოლონელი არქიტექტორებისათვის ძველი ხუროთმოძღვრება რომ დგომა არ არის, არამედ მხოლოდ მყარი საფუძველია ნამდვილად ახალი არქიტექტურის შესაქმნელად. ეს კარგად შეიჩნევა, მაგალითად: ძველ ქალაქურ ხუროთმოძღვრებაში გამოყენებულ ტრადიციულ ხეხებს — სვრაფიტოს, კედლის მხატვრობას, სკულპტურულ შემკულობას ზოგჯერ იყენებენ თანამედროვე სახლებშიც (მარიენშატის საცხოვრებელი სახლები); ასევე იყენებენ ჭედურ ლითონს (სტალიონი, სასტუმრო „ორბისი“ კურ. ზაკოპანეში). მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სადმე შემხვედროდეს ძველი მოტივის ან ორნამენტის გამეორება ამ გადამღერება. ყველაფერი დახატულია ახლებურად, თანამედროვე გულთანა მყარ თანადროული სტილისტური მოთხოვნების საფუძველზე.

ახლა პოლონურ არქიტექტურაში ჭარბობს სადა ფორმებით, ხაზის ინტერნული და ესთეტიკური ტენდენციები. თანაგანი ფუნქციის გამოჰყავნების ტენდენცია. ეს ხაზი მეტად კოლორეტულია, რბილი, თითქმის არასდხისტი. შეიჩნევა, რომ ასე იყო ძველ არქიტექტურაშიც (გუთონი, ვარშავის სილუეტშიც იგრძნობა ეს ხაზი). ამ თანამედროვე ფორმებს ემატება ტრადიციებიდან „ნახესხები“ და ნაკარნახევი პროპორციული შეფარდებები. ეს არის ტრადიციების ნამდვილად შემოქმედებითად გამოყენების ცდები და არა უფრავებით და ანაზომებით პროექტირება.

და თუ ვარგულად შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ პოლონელი ხუროთმოძღვარი სულაც არ გბლაუქება ძველს, ტრადიციულს, ეს, ფიქრობთ, არ არის სწორი. იგი სინამდვილეში მეტად მყარად, დრამად არის მასთან შესისხლხორცილებული. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ უკვე ისახება და სწორი ვაზაჯ დგას იერთი ნაციონალური თანამედროვე პოლონური არქიტექტურა.

ასეთია მოკლე პოლონური ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო მიღწევები. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მიღწევები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ამის საწინდარია სახალხო პოლონეთის ეკონომიკის, მრეწველობისა და კულტურის განხრები აღმავლობა.

ქართული არქიტექტორები კვლავც დიდი სიხარულით და მეგობრული გრძნობით გაიხარებენ და შეისწავლიან პოლონელი კოლეგების მიღწევებს.





პრესკონფერენცია ვაშლიანის გახსნის წინ სამხატვრო ვალერებაში

## მსუბუქი მრაველობის პროდუქციის ნიმუშთა ინსტიტუტი პოლონეთში

ტადეუშ რეინდლი



ხლახანს თბილისში გაიხსნა გამოფენა თემიზე „ხალხური შემოქმედების ნაკადი პოლონურ დეკორატიულ ხელოვნებაში“. გამოფენა წარმოადგენს იმ საცდელი მუშაობის შედეგების შეჯამებას, რომელსაც ექვეოდა რამდენიმე წლის წინათ დაარსებული მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ნიმუშთა პოლონური ინსტიტუტი.

ომამდე პოლონეთში არ მზადდებოდა მრეწველობისათვის სპეციალურად განკუთვნილი ნიმუშები იმის გამო, რომ პოლონეთის მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული საზღვარგარეთის კაპიტალზე. ხალხური შემოქმედების და ხელოსნობის ძვირფასი ტრადიციები პოლონეთში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ინდუსტრიალიზაციის ზეგავლენით თანდათან გაქრა. ვაბათონდა კოსმოპოლიტიზმი და წერილობრივად ჩაიშალა უგემოვნობა.

ამ პერიოდში პოლონეთს ჰყავდა მრავალი ნიჭიერი მხატვარი-ხელოვანი, რომლებსაც არა ერთხელ მოუბოგებიათ პირველი ადგილი საერთაშორისო სამხატვრო გამოფენებზე. მაგრამ მათ არ ეძლეოდათ საშუალება და გასაქანი ზეგავლენა მოეხდინათ ფართო მოხმარების საგნების წარმოების ესთეტიკურ მხარეზე.

იმდროინდელი პოლონეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა არ უწყობდა ხელს სამრეწველო დარგში მხატვრების მიზიდვას და მათ ღალატებს. უფრო იაფი და იოლი იყო უცხოეთის ბაზრებზე გამოტანილი სამრეწველო ნიმუშების მიზანდა და ვაჭრობა.

მსუბუქი მრეწველობისათვის გამიზნული ნიმუშების წარმოების განვითარება პოლონეთში იწყება 1945 წლიდან, როცა კულტურის და ხელოვნების სამინისტროში შე-

იქმნა წარმოების საკითხების განყოფილება, რომელიც შემდეგ გადაკეთდა პროდუქციის მხატვრული მხარის საკონტროლო ბიუროდ (ზნეპ).

ზნეპ-ის პირველ ამოცანას წარმოადგენდა ომის დროს მიმოფანტულ მხატვართა თავმოყრა და მათგან სამრეწველო წარმოებისათვის დამპროექტებულთა კადრების მომზადება. ეს ადვილი საქმე როდი იყო, რადგან ომის დროს დაიღუპა ბევრი მხატვარი-ხელოსანი, განადგურდა სახელისნობისა და სამხატვრო სასწავლებლების დიდი ნაწილი. ზნეპ-მა მინიჭ შეასრულა თავისი როლი იმ მხრივ, რომ სახელმწიფო დოქტრინის საშუალებით შეიძინა პროექტები, ნიმუშები და მოდელები ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა მათ მრეწველობა არ საქმირობდა. ამ გარემოებამ მხატვრებს შესაძლებლობა მისცა მიეტოვე-

ზინათ საქმიანობა, რომელსაც ხელოვნებასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა, მაგრამ მათ არსებობის საშუალებას აძლევდა.

ორგანიზებული მუშაობა დაიწყო ხელოვანთა წრეების თაოსნობით. 1949 წლიდან ზნეპ-ი დაექვემდებარა მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, პოლონური მრეწველობა, რომელიც ის იყო წელში იმართებოდა, ახალ ნიმუშებს ჯერ კიდევ არ საქმირობდა. მზარდ მოთხოვნილებასთან შედარებით საქონლის არა საკმარა რაოდენობა არ იძლეოდა ბიძგს ძველი ნიმუშები ახლით შეცვლილიყო, მომხმარებლებიც ამ მხრივ დიდ მოთხოვნებს არ აყენებდნენ. მიუხედავად ამისა, საჭიროდ იქნა ცნობილი მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება წარმოების ესთეტიკური მხარის ასამაღლებლად. სწორედ ამ მიზნით დაარსდა 1950 წელს მსუბუქი მრეწველობის ნიმუშების ინსტიტუტი. ამ დაწესებულების შექმნის უშუალო ინიციატორი ვახლდატონ ვანდა ტლიაკოვსკა.

სამხატვრო კომპლექტი. ავტორი ზ. ვრუბლიკო



რომელიც დღემდე ინსტიტუტის მეცნიერ-მხატვრული ხელმძღვანელია.

მრეწველობისათვის გამიზნული ნიმუშების დამზადების ინიციატივა-მხატვართა გავლენა წარმოების ესთეტიკაზე, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში, უმნიშვნელო იყო. მხოლოდ უკანასკნელ 3-4 წელს შეიმჩნევა ამ მხრივ გაუმჯობესება. მთელ ამ პერიოდს უნაყოფოდ არ ჩაუვლია: მომზადდა დამპროექტებელთა კადრები, პატარა ქარხნებში ჩამოყალიბდა დამპროექტებელთა და ნიმუშების მწარმოებელთა კოლექტივები, მოეწყო და სათანადო მოწყობილობით აღიჭურვა სამრეწველო ნიმუშების ინსტიტუტი. უკანასკნელ ხანებში პოლონეთში შექმნილ ეკონომიურ ვითარებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია მოთხოვნილების ზრდა დამპროექტებელ სამუშაოებზე. ბაზარზე გამოტანილი საქონლის საკმაო რაოდენობა ხელს უწყობს იმას, რომ ამაღლდეს მომხმარებელთა მოთხოვნილება პროდუქციის ესთეტიკურ მხარეზე.

შეიკვალა მრეწველობისათვის მომუშავე დამპროექტებლის მდგომარეობა. უკანასკნელ დრომდე მისჯან მოთხოვნიერ დაემზადებია, უწინარეს ყოვლისა, ისეთი პროექტები, რომლებიც აადვილებენ წარმოებას. ამჟამად ისეთი ეკონომიური ვითარებაა შექმნილი, რომ თანდათან ღვივდება ინტერესი ნაწარმთა ესთეტიკური მხარისადმი. ცალკეული სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელობაში თანდათან მკვიდრდება ის აზრი, რომ საწარმოთა წინსვლა და შემდგომი განვითარება დიდად არის დამოკიდებული

ქალის ქურთუკი. ავტორი ო. კულაკოვსკა



სკამი. ავტორი მ. კომენტოვსკა

პროდუქციის მხატვრული მხარის გაუმჯობესებაზე და მასსადავმე დამპროექტებელთა მუშაობაზე.

რა თქმა უნდა, ეს შემობრუნება ერთდროულად როდი ხდება წარმოების ყველა დარგში. ყველაზე უმაღლესი თავს იჩენს იქ, სადაც საქონლის მოწოდებამ გადააჭარბა მასზე მოთხოვნილებას, სადაც კონკურენცია საწარმოებს შორის ძლიერია, და სადაც უცხო ბაზრის მოპოვების მისწრაფება აიძულებს საწარმოს დამზადოს კარგი ნიმუშები.

ნაწარმთა მხატვრული ხარისხის გაუმჯობესება ყველაზე ადრე მოხდა საფეიქრო მრეწველობაში, შემდეგ — სატრიკოტაჟო და საკონფექციო დარგებში. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო კერამიკულ წარმოებას. მიმდინარე წელს დიდად ამაღლდა ავეჯის მხატვრული დონე. თუმცა ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება ფეხსაცმლის მხატვრულობა. დღემდე შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა ესთეტიკურ მხარეს სამანქანო და სამოტორო წარმოებაში. სამაგიეროდ სასურსათო საქონლის წარმოება, სადაც ამ მხრივ დიდ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი, ინტენსიურად აღუმჯობესებს საფუთავების გარეგნულ ესთეტიკურ მხარეს.

სამრეწველო ნიმუშთა ინსტიტუტის როლი იოლი როლია. პირველ პერიოდში იგი ამოცანად ისახავდა მოემზადებია და დაემუშავებია, რამდენადაც შეიძლებოდა, მეტი ნიმუშები მრეწველობის რამდენიმე დარგისათვის. ამ მიზნით ინსტიტუტში მოეწყო: სამკერვალო, საფეიქრო, სატრიკოტაჟო, საფეხსაცმლო-სავალანტიერო, საავეჯო და

და საყვარელი განყოფილებები. ინსტიტუტს მუშაობისათვის სახსრები ეძლეოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამიტომ საწარმოებს ნიმუშებისათვის ფული არ ხდებოდათ. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად მოდელების მხოლოდ უნიშვნელო ნაწილი იქნა გამოყენებული და რეალიზებული წარმოებაში. ამავე დროს ინსტიტუტში დაიწყო სამეცნიერო კვლევითი მუშაობა სხვადასხვა თეორიული პრობლემების გასარკვევად და დამპროექტებელთა მომზადებისათვის დიდაქტიური მასალის დასაგროვებლად.

სამუშაოთა დიდი ნაწილი ტარდებოდა ისე, რომ ინსტიტუტის სახელოსნოებს ერთდროულად დაემუშავებიათ საექსპერიმენტო მოდელები, რომლებიც არა მარტო საინლუსტრაციო მასალად გამოდგებოდა, არამედ თეორიული წამყვარების გამოცდა-შემოწმებაც იქნებოდა. უფრო გვიან ამ ნიმუშების მთელი წყება გადაეცათ საწარმოებს და ამრიგად მოხდა მათი გამოცდა-შემოწმება უფრო ფართო მასშტაბით უკვე სამრეწველო პირობებში. გარდა ზემოხსენებული განყოფილებებისა, რომლებიც პროექტირებას და სამეცნიერო კვლევით მუშაობას აწარმოებენ, ინსტიტუტთან არსებობს ბიბლიოთეკა, ნიმუშების ექსპოზიცია და ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრი.

ინსტიტუტი არ წარმოადგენს ერთადერთ დაწესებულებას, რომელიც ამარაგებს საწარმოებს მოდელით. 1953-55 წლებიდან იქმნებოდა კოლექტივები, რომლებიც ამზადებენ ნიმუშებს ცალკეული ქარხნებისათვის. რამდენადაც მრავლდებოდა ამ კოლექტივების რიცხვი, იმდენად იცვლებოდა ინსტიტუტის როლი და დანიშნულება. თან-




კოსტუმი ბიჭისათვის. ავტორი მ. რუჯიცკა

აზოიის მკვლეველი ქალი მარია კუქუჩკა



დათან იგი ხელს იღებდა წარმოებებისათვის მოდელების უშუალო მიწოდებაზე და გადადიოდა საინსტრუქციო ხასიათის მუშაობაზე. ინსტიტუტში დამუშავებული ნიმუშები ქარხნებში მომუშავე დამპროექტებლებს ეძლეოდათ და უძღვევთ როგორც საიდრექტივო მითითებანი. გარდა ამისა, ინსტიტუტი აცნობს ქარხნების დამპროექტებელთა საზღვარგარეთული მრეწველობის ნიმუშებს და ყოველგვარ საწარმოო სიახლეს; ხოლო სწავლების და პოპულარიზაციის განყოფილება ხელმძღვანელობს დამპროექტებელთა მომზადების საქმეს და აწყობს მრეწველობის და ვაჭრობის მუშაოთა გადასამზადებელ კურსებს. 1958 წელს ინსტიტუტთან შეიქმნა საანალიზო განყოფილება, რომლის დანიშნულებას შეადგენს მრეწველობის ზოგიერთი დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის შემოწმება და შეფასება.

მიუხედავად უშუალო მიღწევებისა და მთელ რივ სამრეწველო წარმოებთა მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შესამჩნევი გაუმჯობესებისა, მაინც შეიმჩნევა მკვეთრი დისპროპორცია დამპროექტებელ ნაწარმთა ღირებულებასა და მაღალიზებში გასაყიდად გამოტანილი საქონლის ხარისხს შორის. ეს ვარემოება პოლიონეთში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში გამოწვეულია ერთი და იმავე მიზეზებით: მრეწველობის მისწრაფებით, რომ უცვლელი დარჩეს პროდუქციის ფორმები, სავაჭრო დაწესებულებათა ბასიურო-



მაგდა საბავშვო დაფით. ავტორი მ. ქვინისი

ბით და მომხმარებელთა ერთი ნაწილის ჩამორჩენილობით. ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტმა ვაატარა ახალი ღონისძიება—გააფართოვა თავისი საცდელი სახელოსნოები და მოაწყო ინსტიტუტში შექმნილი ნიმუშების მიხედვით მცირესერიული წარმოება. ისეთი საქონელი, როგორც არის ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ავეჯი და კერამიკა, ინსტიტუტის მეთვალყურეობით, იყიდება რამდენიმე სავაჭრო წერტილში, და ამით ირყვევა ინსტიტუტის სახელოსნოებში დამზადებული საქონლის ღირებულება და მომხმარებელთა მიდრეკილებები.

ინსტიტუტის ნაწარმთა ფასები საშუალო საბაზრო ფასებზე უფრო მაღალია, მიუხედავად ამისა, მათ მიხედვით უფრო ეტანებიან მყიდველები, რადგან ხარისხით უკეთესი არიან და უფრო შეესაბამებიან თანამედროვე მოდებს. ეს აძლიერებს მყიდველთა ესთეტიკურ მიდრეკილებას, მეორე მხრივ მყიდველებში ინსტიტუტის ნაწარმთა წარმატება ზიძვს აძლევს სამრეწველო საწარმოებს ფართოდ დაენერგონ წარმოებაში ინსტიტუტის მიერ გამოშვებული ნიმუშები, დაიწყონ მათი ფართო სერიული გამოშვება.

განსაკუთრებით გადამწყვეტი ზომები იქნა მიღებული

ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ნიმუშების დასანერგად საბავშვო ტანსაცმლის წარმოებაში. ამ დარგის წამყვანმა მრეწველობამ პირველად თავი აარიდა ახალი მოდელების მიხედვით საბავშვო ტანსაცმლის გამოშვებას იმ მოსაზრებით, თითქმის იგი რენტაბელური არ იყო. მაგრამ შემდეგ გამოიყო მთელი რიგი საწარმოები, მხოლოდდამხოლოდ საბავშვო ტანსაცმლის დასამზადებლად; ამით ინსტიტუტს საშუალება მიეცა უშუალო კონტროლი გაეწია ამ საწარმოებში დამზადებული საბავშვო ტანსაცმლის მხატვრული ხარისხისათვის. თვით ინსტიტუტში მოეწყო საბავშვო ტანსაცმლის სპეციალური განყოფილება, რომელიც დინტერესებულია არა მარტო ტანსაცმლით, არამედ ქსოვილებითაც, ფეხსაცმლით და გალანტერეთით და რომელიც ურთიერთთან ათანხმებს ბავშვის საქონლებთან დასაკმაყოფილებლად გამოსაშვებ სხვადასხვა საქონლის ნიმუშებს.

ქარხნებზე უშუალო ზედამხედველობის ამ მეთოდს საუკეთესო ნაყოფი მოაქვს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ინსტიტუტი შესძლებს იგივე მეთოდი გაავრცელოს ახალგაზრდების ტანსაცმლის წარმოებაზეც. ამ მიზნით ინსტიტუტთან იქმნება სათანადო განყოფილება.

სახალხო პოლიონეთის ახალი ეკონომიური ვითარება სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ ფართო მოხმარების საგნები უფროდაუფრო მიმზიდველი გახდეს თავისი მოხდენილი, გემოვნებით აღბეჭდილი მხატვრული გაფორმებითაც.

ამასთან დაკავშირებით მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ნიმუშების ინსტიტუტის წინაშე დგას ახალი ამოცანები — ხელი შეუწყოს გამოფენების გამართვას მთელს რესპუბლიკაში, მოაწყოს კონკურსები და შეარჩიოს საუკეთესო ნიმუშები გამოფენებზე და ბაზრობაზე გამოსატანად.

მომხმარებელთა მომთხოვნელობის ამაღლება და გაჭრობის მშუშავთა ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია დიდ გავლენას იქონიებს სამრეწველო წარმოებაზე და ფართო გზას გაუხსნის ახალ სრულყოფილ მოდელებს მოსახლეობაში.





ვ. ზასაძინსკი

## პოლონელი მუსიკოსი საქართველოში

ზ. ქაჯაია, თ. გაბელაია

ლიასკიში, პოლონეთის კალიშის გუბერნიის პატარა სოფელში, ყველა კარგად იცნობდა პატარა ვოლოდიმირის, ბოტანიკოსის, უფრო ზუსტად, სოფელი მეყვეილის ადამ ზასაძინსკის უფროს ბიჭს. როდესაც ზასაძინსკების კარის მეზობელი, მოხუცი მევილინე ფეოლორი ვოლოდიმირის მუსიკაში ამეცადინებდა, ვიოლინოს ხმა ნახევარ სოფელს მინც ესმოდა. ასე პატარა იყო ლიასკი. ამასთან მოხუცი მევილინე ყოველ ხელსაყრელ მომენტში გულმოდგინედ უყვებოდა ყველას მისი ერთადერთი შეგირდის მალა მუსიკალურ ნიჭზე. სოფლელები საკმაოდ თავზაიანი და მიმხვდარი მსმენელები იყვნენ.

— ეჰ, რას იზაბთ, მაესტრო! საწყალი სოფელი ხალხი ვართ. ჩვენი ნიჭიც არავის უნდა.

1903 წლის ზაფხულში მოსკოვიდან მძა ესტუმრა მეყვეილის. ბიძას დაუმეგობრდა ვოლოდიმირის, სათევზაოდ დაყვებოდა მდინარეზე.

ერთ დღიას კი ძველბურ კარტაში ცხენები შეაბეს და ზასაძინსკებმა სოფლის ბოლომდე გააცილეს სტუმარიც და უფროსი შევიც. ვოლოდიმირის ბიძამ წაიყვანა მოსკოვში მუსიკალურ სასწავლებელში მივაბარებო, — დაპირდა მშობლებს.

აი, უკვე 6-7 წელია იგი დიდ ქალაქში ცხოვრობს, უკეთესი ბიძისთან, შემდეგ მარტო. დაამთავრა მასლოვის სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებელი, ვიოლინოს ნაწყობად უკრავს ფლეიტას, უქებენ ნიჭს, უყვართ კიდეც. მაგრამ მაინც ის წლები თითქოს ვაგრძელებდა იყო ლიასკიში ვატარებული ბავშვობისა, უზრუნველობისა.

მოსკოვის კონსერვატორიამ კი პირველი დღეებიდანვე ჩააფიქრა პოლონელი ჭაბუკი. ვოლოდიმირისმა იგრანო, რომ აქ, სადღაც ახლოს გიზგუზება დიდი და ლამაზი ცხოვრების ცეცხლი, რომ მას—ღარიბ, უთვისტომო მუსიკოსს ბევრის გაკეთება დასჭირდებოდა, რათა ამ ცეცხლის სითბოთი გამთბარიყო.

გრძელი დამეები, ვაჭირებება, სიცოცხე. სჩანან ადამიანები, თითქოს კეთილები, თითქოს თანამგრძობნი. ახლობელი კი მინც არავინაა, გარდა შავი ხის ფლეიტისა. მუსიკა, ბეგრები — აი, სიხარულის ერთადერთი ხმა, რომელიც ამოკლებს დამეებს, ათბობს სულს.

დრო კი მიდის.

მართალია, პროფესორი კრემანი დიდად აფასებს ვოლოდიმირისის ზუსტ სმენას, მუსიკალობას, აქვს კიდეც დაბალი კურსის სტუდენტებთან. — ასე უნდა ისმენდეთ, ასე უნდა გრძობდეთ ფრაზასო, მაგრამ ჭაბუკს რაღაც სხვა უნდა. რა? თვითონაც არ იცის რივიანად.

ჩქარა მაინც გავიდოდეს სტუდენტობის ეს უკანასკნელი წელიც.

\*\*\*

— ქართული არ უნდა იყოთ.

— პოლონელი ვარ, ზასაძინსკი.

— ჩვეთნან დაუკრავთ?

— ვნახოთ, თუ შევძელი...

„ქართული კლუბის“ სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსებმა ნელნელა მოიყარეს თავი ახალმოსულის ვარშემო. იქვე ივანე ფალიაშვილი პარტიტურას ჩაქუქროდა.

— მოვისმინეს?

პოლონელმა თავი დაუქნია მოსაუბრეს და თვალეებით ანიშნა დირიჟორზე.

— ფალიაშვილმა მოგისმინათ? მამ შეგძლებით.

ამ ნათქვამის მნიშვნელობა ვოლოდიმირისმა შემდეგ გაიკო, როცა კარგად ვაქცნო ივანე ფალიაშვილის.

კოლეგებთანაც მალე გამონახა საერთო, მოეწონა ერთსულეოვანი ბრძოლა, რომელსაც ქართველი მუსიკოსები მშობლიური კლასიკური მუსიკის განვითარებისათვის ეწეოდნენ. მოეწონა და პოლონელ ჭაბუკს აღარც უფიქრია ლიასკისაკენ მიმავალ გრძელ გზაზე.

აქედან მოკიდებული, ვ. ზასაძინსკი წარმატებით უკრავდა „ქართული კლუბის“ ორკესტრში, სადაც 1913 წლის 27 აპრილს პირველად შესრულდა ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „ახესალაშის“ მე-3 აქტი. 27 მაისს იგივე აქტი წარმოდგენილ იქნა პირველი სურათის დამატებით. ამჯერად ახესალაშს ვანო სარაჯიშვილი მღეროდა.

ქართულ კლუბში ვ. ზასაძინსკი უკრავდა ორკესტრის პირველი ფლეიტის პარტიას მაშინაც კი, როცა 1914 წლის ზაფხულში დიდი წარმატებით ჩატარდა სიმფონიური კონცერტები ივანე ფალიაშვილისა და ევა ბრიუნელის დირიჟორობით.

მალე „ქართული კლუბის“ ვარშემო თავს იყრიან გა-

მოჩენილი მომღერლები, დირიჟორები. იმ დროისათვის უკვე დაწერილი იყო ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, დ. არაქიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 1918 წელს კი აქ წარმატებით დაიდგა რევვა გოგენიაშვილის „ქრისტიანი“ — პირველი ქართული ოპერა.

მაღე ქართული კლუბი დაიხურა.

1918 წელს ოპერის თეატრის კომისრად ახლად დანიშნულმა ა. წყნაშვილმა თეატრის დასის გადახალისებას მიჰყო ხელი. ქართული კლუბიდან სხვა საუკეთესო მუსიკრეპეტიონ ერთად ფლეიტისტი ვ. ზასაძინსკიც მიიწვიეს.

ეს ახალგაზრდა მუსიკოსის შესანიშნავი გამარჯვება იყო. ვოლოდიმირის ძალა შეემატა, მიწვევა დიდ პატივად ჩათვალა. მას შემდეგ 30 წლის მანძილზე იგი ქართველი კოლექტების მხარდამხარე ეწეოდა ხელოვნების მიმე ჰაპანს, იყო მოწმე და მონაწილე ქართული მუსიკის სიამაყის — „აბესალომ და ეთერის“, „დაისის“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ქეთო და კოტეს“ და სხვათა ბირველი ავღუგებისა. მის თვალწინ გაიბრძნა ქართული ოპერის ისტორიის ყველაზე საინტერესო პერიოდმა — კლასიკური საოპერო ხელოვნებისათვის ბრძოლის დასაწყისმა, ამ ბრძოლის ქარცეცხლიანმა წლებმა და ბოლოს გამარჯვების ზეიმმა მოსკოვის კრემლის დიდ სასახლეში.

ვ. ზასაძინსკი ახლაც სათუთად ინახავს პატარა ბილეთს, რომელიც მას 1937 წელს გადასცეს და ქართული ხელოვნების საღამოზე მიიწვიეს კრემლში. იზიმა კიდევ პოლონელმა მუსიკოსმა თავისი მეგობრების დღესასწაული.

მარამ წავიდნენ წლები, წაიღეს ძალა, ენერჯია, ახალგაზრდული ხალისი. მოხუცებულა კიდევ და აი, დაბადებიდან 60 წლისთავე, დიდი მილოცვებისა და გამომწვევების შემდეგ, ორკესტრის იხვე ავღერებს „დაისს“. მსცოვანი ფლეიტისტი აქ ამთავრებს მშობლიურ საოპერო თეატრში მოღვაწეობას.

გარეთ ბნელა. ქუჩის საათები დროს ითვლიან.

— წავიდა დრო, — ფიქრობს მოხუცი, ამ ფიქრს თან სდევს დირიჟორის შემართული ლანდი და ორკესტრის

გუგუნი, შემდეგ მშვიდი მელოდია და სიბნელეში მტკიცე შრიალი. — „როცა ზასაძინსკი უკრავს, მშვიდად ვარ“, — ჩაესმის მანქონი ხმა, აკონდება იგავი ფალიაშვილის ნათქვამი. მართლაც და ჯერ შორსაა დასასრული. კიდევ მოსწრებს ბევრის გაკეთებას, ვაზრდის ფლეიტისტებს, ისინი დაუკრავენ და დირიჟორები მაშინაც მშვიდად იქნებიან.

ვ. ზასაძინსკის პედაგოგიური მოღვაწეობა ისეთივე ნაყოფიერია, როგორც იყო საოპერო ორკესტრში მოუშაობა. ჯერ კიდევ ადრე, 1931 წლიდან მას ჰყავდა მოწვეულები, თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემდა, ფლეიტის დაკვრაში აოსტატებდა. ახლა კი ისინი მხარს უმჭვნიებენ მსცოვან მუსიკოსს. ნ. ბურდული და ი. ხელაშვილი სიმფონიური ორკესტრის სოლისტები არიან; მ. კახიანი, ნ. ხოფერია და ლ. აბრამიშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრში უკრავენ; რადიოს ორკესტრის მუსიკოსები არიან გ. კიკაძეშვილი და დ. ერიკაშვილი; თბილისის სხვადასხვა თეატრებში მოღვაწეობენ გ. ლვაბერძენი, ნ. ნიკოლაიშვილი, ნ. მჭვლიძე, ნ. მდინარაძე და სხვები.

ამასწინათ თავისი დაარსების 25 წლისთავი იღვესასწაულა თბილისის მე-4 მუსიკალურმა სასწავლებელმა. ეს ვ. ზასაძინსკის ზეიმიც იყო — ამ დღეს შესრულდა სასწავლებელში მისი პედაგოგობის 25 წელიც. მილოცვები, საჩუქრები. თავი შეიყარეს ქართველმა ფლეიტისტებმაც.

თბილისის სხვა მუსიკალურ სასწავლებლებშიაც ხშირად ნახავთ მოხუც მუსიკოსს. ბევრგან დაუკისრებიათ მისთვის ნორჩი ფლეიტისტების აღზრდა. უხარია კიდევ მოდის მრავალრიცხოვანი, ნიჭიერი თაობა, გზავასნილი, ბედნიერი. ისინი დღეებიან გზაზე, რომელიც მან განვლო და მოთავა. თუ შეგიძლია — დაეხმარე, წინ გაუძევი, გზაშარაზე გამოიყვანე.

ცეცხლი კი მარად იგიზოგუნებს, ცეცხლი დიდი და ღამაში ცხოვრებისა, იგი ათობს ნორჩებს თავისი მხურვალეობით და ისინიც გაიხსენებენ, ყოველთვის სიყვარულით გაიხსენებენ ძველ ფლეიტისტს.





პროფ. ალექსანდრე ცაგარელი

# ქართული ხელნაწერები პოლონეთში

პროფ. აკაკი შანიძე



მ წერილის სათაურის წაკითხვაზე შეიძლება ვინმემ გაკვირვებით წამოიძიას: „ქართული ხელნაწერები პოლონეთში? საიდან? როგორ?“ ე, ვინ იცის, რამდენი ქართული ხელნაწერი გასულა საზღვარგარეთი ვინ იცის, რამდენი მათგანა გაზანუღა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზის გამო და დაკარგულა! ქარგია მაინც, რომ ზოგი მათგანი შემთხვევით გადარჩენილა. მოვიყვანით რამდენიმე მაგალითი.

აბა ვინ იფიქრებდა, რომ ამერიკაში აღმოჩნდებოდა X საუკუნის ქართული ხელნაწერი, რომელზედაც „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაყანა ძველი ქართული („ხუტური“) ასოებით მიწერილი XV საუკუნეში:

„მართლად იტყვის მოციქული, შიში შეიქს სიყვარულსა!“ ამას ვერაინ იფიქრებდა და ვერც წარმოიდგენდა, მაგრამ უმეპელი ფაქტი კი არის: 1940 წელს ქალაქ ბოსტონში (მასაჩუსეტის შტატში) აღმოჩნდა ქართული სახარება, გადაწერილი 988 წლის ახლო კლარჯეთში, ზერთის მონასტერში. იგი ამერიკელ მისიონერებს შეუძენიათ ყარსში 1829 წელს და გაუტანიათ ამერიკაში.

ან ვინ იფიქრებდა, რომ ერთი ხელნაწერი სინას-მთის ქართული კოლექციიდან, რომელიც პალიმფსესტს წარმოადგენს სირიულ-პალესტინური და ქართული ტექსტებით (სირიული VI საუკუნისა, ქართული X საუკუნისა, 979 წლისა) და რომელიც პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა ნახა სინას მთაზე ყოფნისას (ევვობტში) 1883 წელს და აწერა 81 ნომრად, შემდეგ იქედან დაიკარგებოდა, ჯერ ბერლინში ამოყოფდა თავს ვილაც კერძო პირის ხელში, რომ იმით ესარგებლა პ. დუნინოვს და 1906 წელს გამოეცა მისი სირიულ-პალესტინური ტექსტები, ხოლო ქართული ტექსტისათვის 1929 წელს თვლი ვალაჰერა ვარშაველ არქიმანდრიტს გრიგოლ ფერაქს, ცნობილ ფილოლოგს, რომლისთვისაც მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორც ეს აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა გადმოიმცა, ვერმანელ ფაშისტებს საბჭოთა კავშირის მომხრეობა დაებრალბინათ და დაეხვირტათ ვინ იფიქრებდა, რომ ეს ხელნაწერი შემდეგ, 1954 წელს, ლონდონში გაიყიდებოდა 900 გირვანჯა სტერლინგად და ისევ კერძო პირს ჩაუვარდებოდა ამერიკაში?

ან კიდევ ასეთი მაგალითი. იმავე პროფ. ა. ცაგარლის სინური ხელნაწერების აღწერილობიდან ვიცით, რომ სინას მთაზე, სადაც ქართველ მოღვაწეთა კოლონია არსებობდა X საუკუნიდან, 1883 წლამდე მოედრია ასზე მეტ ხელნაწერს, რომელთაგანაც რამდენიმე აღარ დაჰვდათ ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს, რომლებიც სინას მთაზე იყვნენ 1902 წელს ხელნაწერების ვრცელად აღწერის მიზნით. მხოლოდ 1927 წელს შევიტყვეთ, რომ ხუთი მათგანი გასული საუკუნის მიწურულს წამოეღო სინას მთიდან ვილაც მხატვარს და შესაქნალ შექლია სასახლის ბიბლიოთეკისათვის ვენაში. ბიბლიოთეკის დირექტორს პროფ. ფონ-ცაისბერგს რომ გაეგო, რომ ხელნაწერები სინას მთის მონასტრიდანაა, ეუხერხულა თურმე მათი შექენა. მერე ეს ხელნაწერები შექენა გრაციის უნივერსიტეტის პროფესორს ცნობილ ენათმეცნიერს ჰუგო შუხარტს, რომელმაც ქართული ენაც კარგად იცოდა. შუხარტმა მთელი თავისი ბიბლიოთეკა გრაციის უნივერსიტეტს უანდერძა და სინური წარმომავლობის ხუთი ქართული ხელნაწერი მთლიანად და ორი სხვა ხელნაწერის ცალკეული ფურცლები ამჟამად იქ არის დაკული. ერთი მათგანი ძალიან ძველი ხელნაწერია, ავლია თავსა და ბოლოში, ამჟამად შედგება მხოლოდ 27 ფურცლისაგან და წარმოადგენს ი. წ. საკთხაბების წიგნს (ლექციონარს). მის ენას ხანმეტობა ახასიათებს. ხანმეტი ტექსტები ჩვენამდე მოღწეულია წარწერებისა და პალიმფსესტების სახით. სინური ლექციონარის ტექსტი კი, რომელიც შუხარტიისული კოლექციის ერთ ხელნაწერშია, ერთადერთია, რომელიც თითქმის ისეა მოღწეული, როგორც დაწერა თავის დროზე. „ხელმეტი“ ხანები აქა-იქ კია ამოშლილი, მაგრამ უმეტესობა გადარჩენილია. ეს ხელნაწერი დაახლოებით VII საუკუნისაა. ორი სხვა ხელნაწერი იმავე შუხარტიისული კოლექციიდან საქაოდ ძველია: ესენია ფსალმუნი და იაკობის ჭამისწერა X საუკუნისა.

სხვა მაგალითი. ერთი ქართული ხელნაწერი, დაახლოებით VI საუკუნისა, რომელიც შეიცავდა იერემიას წიანსწარმეტყველების წიგნს, XI საუკუნეში ხელში ჩაპვარდნა ებრალუბს, რომელთაც ქართული ნაწერი გადპურცხავთ და ზედ ებრალუი დაუწერიათ. ეს ქართულ-



იან ბრაუნე

ებრაული წიგნი, კარგა ხნის ხმარების შემდეგ, დაუდევით კაიროს ებრაელთა საკრებულოს (სალოცავი სახლის) საგანძურში, სადაც ის საუკუნეებით გდებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, კაიროს საკრებულოს სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, გადაუქექიათ მისი საგანძური და შიგ დამტკერებელი ხელნაწერები გამოუჩნდა. ეს ხელნაწერები დაუტყნაით და დუციდნიათ, ზოგი სად წასულა და ზოგი — სად. ქართულ-ებრაულ პალიმფსესტის რამდენიმე ფურცელი ინვლისში მოხვედრილა: ერთი ფურცელი — ოქსფორდის ბოლდვის სახელობის ბიბლიოთეკაში, ორი ფურცელი — კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ერთი ფურცლის ნ-ფ-ლეთი კი — ბრიტანეთის მუზეუმში, ლონდონში. კაცმა არ იცის, სად წავიდ-წამოვიდა დანარჩენი ფურცლები (თუ კი იყო და უნდა ვფრთხილეთ, რომ იყო), მაგრამ იმედია, რომ სადმე რაღაც მაინც აღმოჩნდება.

ქართული ხელნაწერების ბედი მივდიოდ არის გაბალანტირებული ქართველი ერის ბედთან. XI საუკუნეში ტაოს ერთი ნაწილი ბერძნებს უყვარათ. იქედან გამოვიდნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები გრიგოლ და აბაზ, ერისთავთ ერისთავ ბაკურიანის შვილები, რომელთაც თელავსაჩინო სამსახური ჰქონდათ ბიზანტიაში, განსაკუთ-

რებით გრიგოლს, რომელიც დიდი დომესტიკოსი სავლეთისა. ამ გრიგოლ ბაკურიანისძემ 1083 წელს როდოპის მთებში, ბულგარეთში (რომელიც მაშინ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ფარგლებში იმყოფებოდა), ფილიპოპოლიდან (პლოვიდივიდან) 25-ოდე კილომეტრის მანძილზე, დააარსა პეტრიწონის მონასტერი სავანეებოდ ქართველთათვის. მონასტერი მან მშვენიერად მოაწყო, აურაცხელი ქონება შესწირა, მათ შორის ქართული და ბერძნული ხელნაწერები, მოუწყო ქართული სკოლა და, სხვათა შორის, დაუწერა და დაუმტკიცა წესდება. რომელიც ორ ენაზე იყო დაწერილი: ქართულად და ბერძნულად. ეს წესდება, რომელშიც მოთხრობილია პეტრიწონის ქართული მონასტრის აგების ამბები და ჩამოთვლილია მამულები და სხვა რამ, რაც კი მას უხვად შეუწირავს მონასტრისათვის, მუდამ ამ მონასტერში ინახებოდა. მაგრამ XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში ეს ქართულ-ბერძნული ხელნაწერი სადღაც გაქრა. ბევრი ეძებეს იგი რუსმა, გერმანელმა და ფრანგმა მეცნიერებმა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს. ბოლოს იგი აღმოჩნდა უცნებულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში და ახლაც იქ აისი<sup>1</sup>.

იგი ბიბლიოთეკის კატალოგში ჩანიშნული ყოფილა „სომხურ-ბერძნულ“ ხელნაწერად. ამ წიგნის ფოტოსურათები მიღებულია თბილისში და გამოსაცემად მზადდება როგორც „სომხური“ ნაწილი, ისე ბერძნულიც.

პო და ამ მაგალითების შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ქართული ხელნაწერები პოლინეთშიც გვევლებოდეს.

ცნობები იმის შესახებ, რომ პოლონეთში ქართული ხელნაწერები მოიპოვება, პირველად პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა დაბეჭდა. მან აღნიშნა: ვ. დ. სპასოვიჩმა მაინომა 1889 წელს, რომ კრაკოვის მუზეუმში მოიპოვება აღმოსავლური ხელნაწერები და ვიქორბენ, რომ მათ შორის ქართულენიც ურევიათ. და როდესაც ა. ცაგარელმა 1891 წელს იტალიის გაემგზავრა იქაურ არქივებში საძიებო-შოად, გზად კრაკოვში შეიარა<sup>2</sup>, აქ იგი მუზეუმის დირექტორმა პროფ. სოკოლოვსკიმ კარგად მიიღო. ა. ცაგარელმა დაათვალიერა ქართული ხელნაწერები და მოკლედ აწერა კიდევ: ეს აღწერილობა მან მოათავსა თავის „ცნობათა“ III წიგნში, რომელიც 1894 წ. დაიბეჭდა<sup>3</sup>.

აქ მოიპოვება 11 ხელნაწერი, რომლებიც შექმნილია პარიზში, XIX საუკუნის 60-იან წლებში, კრაკოვის მუზეუმის დამაარსებელს თავად ჩარტორისკის. იქ ვიღაც ქართველი თავიღო თუ „ბატონივილია“ გარდაცვლილიყო და მისი სიკვდილის შემდეგ მისი ქონება აუქციონის წესით გაყვიდა და ხელნაწერები ჩარტორისკის შეეძინა. ეს ამბავი თითონ ჩარტორისკის პირადად ეთქვა ა. ცაგარელისათვის.

ა. ცაგარელს მოკლედ აქვს აღწუსებული კრაკოვის ჩარტორისკისეული მუზეუმის ქართული ხელნაწერები, რომელთაგანაც ორი ეტრატუნა ნაწერი და დანარჩენები — ქალაქზე. ეტრატის ხელნაწერებს პროფ. ა. ცაგარელი

<sup>1</sup> ხიოსი წინათ ოსმალეთს ეკუთვნოდათ, მაგრამ ბალკანეთის ომების შემდეგ, 1912-1913 წწ., ეს ენებელი საბერძნეთს ხელში გადავიდა.

<sup>2</sup> კრაკოვი მაშინ ავსტრიის პოლონეთში იყო.

<sup>3</sup> А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3-й, стр. 248. (ცნობა ამ კოლექციის შესახებ მოიპოვება კვრებზე XXVI გვერდზე).



XII-XIII საუკუნეებს მიაკუთვნებდა, ქაღალდზე ნაწერი წიგნები ზოგი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნისაა, ზოგი — უფრო გვიანდელი.

შინაარსით ბოლონური დაცული ქართული ხელნაწერები შემდეგია: მარხვანი, სადღესასწაულო (2 ცალი) გამორკებული სახარება, ჟამნი, ფსალმუნი (4 ცალი) და ლოცვანი (2 ცალი).

ეს ხელნაწერები შემდეგ ახლად აუწერია გრიგოლ ფერაქსეს, რომელზედაც ზემოთ ვკვირბა საუბარი; ფერაქის აღწერილობა შესულა ჩარტორისკის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა საინფორმაციო წიგნში (ტ. II, გვ. 162-163), რომელიც ხელის მანქანაზე ყოფილა გააბეჭდილი.

შარშან კი სტამბურად დაიბეჭდა ერეკლე აღწერილობა ამ ხელნაწერებისა. აღწერილობა ეკუთვნის ახალგაზრდა ენათმეცნიერს იან ბრაუნს. ეს ის ბრაუნია, რომელმაც ლოთის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი გაათავა და მოსწავლედ იქნა თბილისში ასპირანტად ქართული ენის შესწავლის მიზნით. იანმა აქ დაყო 1951 წლის დეკემბრიდან 1955 წლის ივლისამდე, ბრაუნი აქ ჩემი ხელმძღვანელობით წარმატებით სწავლობდა ქართულ ენას (უშთაგრესად ახალს, ნაწილობრივ ძველს). ასპირანტად ყოფნისას მან დისერტაცია დაწერა ქართული ზმნის მრავალ-პირიანობისთან დაკავშირებული საკითხების შესახებ უშთაგრესად ილია ჭავჭავაძის პროზის მიხედვით და კარგადაც დაიცვა იგი 1955 წ. 3 ივლისს.

იან ბრაუნი გაეცნო ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, იყო ქართული, იმერეთში, აჭარაში, გურიაშიც თავის ამხანაგ ჭოღლა თევზაძესთან ერთად და ქართული იმდენად შეისწავლა, რომ კარგად ერეკეოდა გრამატიკულ ფორმებში და თავისუფლად თარგმნიდა ტექსტებს. დისერტაციის

დაცვის შემდეგ იან ბრაუნი ბოლონეთში დაბრუნდა, ლუბოციდან ვარშავაში გადმოსახლდა და ახლა იქ მოღვაწეობს უნივერსიტეტში.

ბოლონური მეცნიერებთა აკადემიამ შარშან (1958 წ.) გამოსცა ერთ წიგნად ბოლონეთში დაცული სომხური და ქართული ხელნაწერების აღწერილობა. სომხური ხელნაწერები აწერა კაზიმირ როსკომ, ქართული ხელნაწერები კი, როგორც ზემოთ ვთქვი, — იან ბრაუნმა. ბრაუნის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობას ახლაც სამი ხელნაწერის ფოტოსურათი, რაც მეტად ზრდის ამ აღწერილობის ღირსებას.

ამით შეგვეძლო დაგვეშთაგრესინა, მაგრამ უნდა დავძინო ორიოდ სიტყვა უახლესი ცნობების გამო, ამა წლის მარტსა და აპრილში ბოლონეთში იმყოფებოდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიკოსი იასე ცინცაძე. რომელიც მუშაობდა იტაურ არქივებში და შედეგ რამდენიმე საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა ბოლონეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესახებ წარსულში. იასე ცინცაძე კრაკოვშიც ყოფილა და უნახავს ჩარტორისკისეული ქართული ხელნაწერები. მისი სიტყვით, ამ ხელნაწერებს ბედურული მინაწერები აქვს, საიდანაც ირკვევა, რომ ერთი ეტრატის ხელნაწერი ვარძიის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, მეორე კი — ბოდორნის ლევისმშობლის ეკლესიისა!

ერთ მინაწერში ნათქვამი ყოფილა, რომ „უმაღლბოლოს კაცისა არა ჯერ-არს მისა“ — ი, ე. ი. ვინც ვალობა არ იცის, ლეონ არ უნდა დალიოსო (გაზ. „თბილისი“ 8 ნივ. 1959 წ. 132).

1 ბოდორნა მღვდლბრუნს ღუშვილთან 5-6 კილომეტრის მანძილზე.

## წარსულიდან

სტანისლავ რავიჩი



ასული საუკუნის დამდეგიდან, როდესაც რუსეთის ყოფილი იმპერიის ფარგლებში მოექცა როგორც ბოლონეთი, ისე საქართველო, ამ ორი ქვეყნის შვილებს შორის გულწრფელი მეგობრობა დაიწყო.

მეფის მთავრობის მიერ პოლიტიკურად „არასამილო“ პირებად ცნობილ ჩვენში გადასახლებულმა გადმოშვებულ ბოლონელ პატრიოტებს მძვინვარებდა მათი თანაგრძნობით ხედვებოდნენ ქართველები.

მე-19 საუკუნის ბოლონური ლიტერატურის ისტორიაში ხშირად იხსენიება „კავკასიელი პოეტების“ ჯგუფი. ეს ის ბოლონელი პოეტები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ კავკასიაში. ამ ჯგუფის წარმომადგენელი ნიჭიერი პოეტი ითადეუ ლადა-ზაბლოცი (1813-1847).

იმ ლექსის დაწერის გამო, რომ-

ლიც ბოლონელ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. 1834 წ. თ. ლადა-ზაბლოციის მიუსაჯეს 22 წლის კატორღა. ეს სასჯელი იმას კავკასიის კორაუსში რიგით ჯარისკაცად სამსახურით უნდა მოეხალა.

1837 წლიდან თ. ლადა-ზაბლოცი ცხოვრობს საქართველოში, მეტწილად თბილისში, და მეგობრულ დამოკიდებულებას ამყარებს ჩვენს დიდ პოეტთან ნიკოლოზ ბარათაშვილთან და იმ დროის ბევრ გამორჩეულ პირთან — ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანთან, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოლეოვსთან და სხვ. მისმა და ნ. ბარათაშვილის მეგობრებმა მიხილ თუმანიშვილმა ქართულად თარგმნა მისი ლექსი „ალანის ველი“.

თავად კორნეიციის განკარგულებით, 1847 წელს თ. ლადა-ზაბლოცი გავზავილი იქნა სამუშაოდ მიართლის საარქივოებზე ყუღაღამ (ამჟამად ნახჭევანის ასსრ), სადაც იგი ამავე წელს დაიღუბა ხოლერისავან.

ქვემოთ ვაქვეყნებთ თ. ლადა-ზაბლოციის ლექსს, რომელიც მცხეთაში ექსკურსიის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა გავლენით დაიწერა.

### ითადეუ ლადა-ზაბლოცი

ჯვარის მწვერავლსა

ყოველ წახს, თითქმის დაკვილოდ უფსკრულს ლინჯა, მერგას, ქარხანას, ჭეპა-ჭეხელს და ორღეს ვებრძოდ აქ, შედეგით ჯვარის აღართის მწვერავლის ქონა, ზემოთ სიღურაგე ცისა მურხავს, დრუბულთა ზღონდი ფრთხილბოქ ლიღოვია ზღვის ტალღებდა გადაიღვარა. მხოლოდ აქა-იქ თოვლიანი მოჩანს მწვერვალი, რომელსაც ლევა მურხავს და სინელდ მგავარს, უფსკრულის კერძობით მას გააბნოს მუხების ძალი, ჯესურულ-ქვესნულში დიანახავ მაშინ მგაფიოდ, ქაშმირულთ არავჯე რომ ისწარფერს მტყვარსეგ... მაგამო ჩემამდე უფითარა ჩვეის ვერ აწეხოს სოი, აქა მგამოვარ ქარტბილბოქ ქვესნის ვერ ვიხიწ. მუხის მოპვერულად საპაოა მისი სიბოთა ჩვერი, გადმოსტყურებ უწოდებ ზოვნი, ღმინარის კავლი, უფსკრულბოქა მწოდებულ ვეროი ნაწერი აქ სეკტე თოვლი — ჩრდილოლოცის ნაოჭის მგავსი. ხელს ნეტარება ფინება თვალწაწეწად ზღვაში, ხად წუთისოვლის მტარბი ბედავს ვერა მოცავს, ხად ვერა წუღება კაცო ვარსა მწვერავლის... გეშვილბოქ, სწორი ვარსა დაბალო მინაქ ადარ გვეუფიწი... ვაჭრილი ვარ მხოლოდის კილი მოუხებურუნელი, ვი ქვესნისა მწოდებ განაღვიდ, მარდობისა უსწრული სუფევს ჩემს ორგავოდ, აქ ვაჭრობა მწარბეის ბუღბუღარს, თვით ვაჭარდნი. ქარაფებს ფრთებით გადავტარავ და სანაწაროდ ჭეპა-ჭეხილის მბრძანებელთან დაწერევი მაროდ.

თარგმანი ბოდორნი ჩოდორავას



პოლონეთის საესტრადო ორკესტრის კონცერტი



მარა შამანსკა

ვარშავა. ლაზენკი

## პოლონური მხატვრობის უსახებო



ველი და მდიდარი ტრადიციები აქვს პოლონურ სახვით ხელოვნებას. მისი განვითარების გზა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლონურ ფერწერაში განსაკუთრებით ძლიერდება რეალისტური ტენდენციები. უბრალო ადამიანების ასახვისადმი ღიბი ინტერესი გამოიწვია პორტრეტისტიკისა და რომანტიკოსების შემოქმედებაში. რომანტიკოსის წარმომადგენლის ი. ნორბლინისა და მისი მოწაფეების ა. ორლოვსკისა და მ. პლონსკის ნაწარმოებებში სიმაართლით აისახა ხალხის განმათვისუფლებელი ბრძოლა და ვალატაკებული გლეხების ცხოვრება. რეალიზმისა და ხალხურობის გზით წარმართა შემდგომი თაობის მხატვრების შემოქმედებაც. XVIII—XIX საუკუნის მიჯნაზე განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია პოლონურმა გამოყენებითმა ხელოვნებამ.

XIX საუკუნის პოლონურ სახვით ხელოვნებაში ნათელი ასახვა პოეზია ხალხის ბრძოლამ სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის, დანაწილებული სამშობლოს გაერთიანებისათვის. ეროვნული ჩაგვრისა და ბურჟუაზიულ-მემამულური რეაქციის წინააღმდეგ იბრძოდნენ

თავიანთი ხელოვნებით პროგრესული პოლონელი მხატვრები.

ისევე, როგორც ეს იყო რუსულ ხელოვნებაში (რუსეთში კი XIX საუკუნეში ბევრი პოლონელი მხატვარი სწავლობდა), პოლონელი მხატვრების ერთი ნაწილი ვერ აცდა კლასიციზმისა და აკადემიზმის გავლენას. მაგრამ ხალხის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა შემოქმედება მხატვრებისა, რომლებმაც თავიანთ ნაწარმოებებში მგზნებარედ და გულწრფელად ასახეს დროის სულისკვეთება, ხალხის მისწრაფებანი და სულიერი განწყობილებანი.

სახალხო იდეებით იმსჭვალება XIX საუკუნის მეორე ნახევრის რეალისტური სახვითი ხელოვნება. განათავისუფლებული მოტივები ჟღერს პოლონურ ისტორიულ ფერწერაშიც, რომლის უდიდესი წარმომადგენელია იან მატეიკო (1838—1893). თავის საუკეთესო სურათებში მან ასახა იმწინველივანი ეპიზოდები პოლონელი ხალხის ისტორიიდან; მათში მხატვარმა განაღიდა ხალხისა და მისი მოწინავე წარმომადგენლების თავდადებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

სოციალური ცხოვრება ღრმად ასახა რეალისტურმა



ვ. შიშინოვსკი

შოხენის ძეგლი (დედალი)

გახსნა დიდი მუსიკოსის ბუნება, შექმნა მისი შთაგონებ-  
ლი სახე უბრალო და გამომსახველი ფორმით. ვიქტორინა  
ძეგლის განადგურებამ პოლონელი ხალხის ღრმა გუ-  
ლისტიკივლი გამოიწვია, ომის დამთავრებისთანავე გა-  
დაწყდა მისი აღდგენა.

იმ მიზნით, რომ შექმნილიყო უკეთესი ნაწარმოები,  
გამოცხადდა კონკურსი ახალ ძეგლზე, მაგრამ კონკურსის  
შედეგებმა დაადასტურა, რომ შიშინოვსკის მიერ შექმნი-  
ლი ბორტრეტი ყველაზე უკეთესი გადაწყვეტა იყო, იგი  
ყველაზე უფრო უახლოვდებოდა შოხენის სახეს, ამიტომაც  
გადაწყდა ძეგლის სრული აღდგენა პირვანდელი სახით.

მოქანდაკე ვლადისლავ ვლასევიჩის ხელმძღვანელობით  
რვა მხატვარი რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდა ქან-  
დაკების შესაქმნელად. შიშინოვსკის ქანდაკების მცირე  
ზომის ესკიზის საფუძველზე მათ ზუსტად აღადგინეს ძეგ-  
ლი და პოლონელ ხალხს დაუბრუნეს მისი საყვარელი  
ქმნილება.

გერმანულ დამპყრობთაგან განთავისუფლების შემდეგ  
(1945 წ.) პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართო  
ასპარეზი გადაეშალა ეროვნულ კულტურას. გაააღდა მუ-  
შაობა ატმოსფეროს გაწმენდისათვის ხელოვნებაში. მხატ-  
ვრები აქტიურად ჩაებნენ ახალი ცხოვრების მშენებლობა-  
ში, გაიზარდა მათი სწრაფვა რეალისტური ოსტატობის  
დაუფლებისათვის, ეროვნული კლასიკური ტრადიციების  
ათვისებისათვის.

მაგრამ მეორეს მხრივ სახვით ხელოვნებაში, განსაკუთ-  
რებით, ფერწერაში არსებობა განაგრძო ფორმალისტურ-  
მა მიმდინარეობებმა, კერძოდ აბსტრაქტულ ხელოვნებას,  
რომელსაც პოლონეთში ნახევარსაუკუნოვანი ისტორია  
აქვს, დღესაც ჰყავს თავისი მიმდევრები და ამასთან მო-  
წინააღმდეგეები. იგი ყოველთვის იწვევდა და იწვევს ცხა-  
რ დისკუსიას მხატვართა შორის.

პოლონური ქანდაკება შედარებით ახალგაზრდაა. მის

ქანრულმა ფერწერამაც, რომელმაც ამ დროისათვის განსა-  
კუთრებულ აუცილებას მიაღწია.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყ-  
ისში, იმპერიალიზმის ბატონობის პერიოდში, პროგრესულ-  
ი პოლონური სახვითი ხელოვნება მკვეთრად დაუპირის-  
პირდა ამოტივტივებულ დეკადენტურ ნაკადს, რომლის  
გავლენის ქვეშ მოექცა რიგი მხატვრებისა. მოდერნისტულ-  
მა სტილიზაციამ თავი იჩინა ზოგიერთი რეალისტი შე-  
მოქმედის ნაწარმოებებშიც.

1918-39 წლების მემამულურ-ბურჟუაზიულ ხელოვნე-  
ბებაში ფართო გასაქანი ჰპოვა ფორმალიზმმა. მიუხედავად  
ამისა, პოლონურ მხატვრობაში, განსაკუთრებით სატირულ  
გრაფიკაში, ცოცხლობდა ჟანსალი, მებრძოლი ტენდენცი-  
ები.

პოლონურ მხატვრულ კულტურას დიდი ზიანი მიაყენა  
მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმმა. მისი მსხვერპლი  
გახდა გენიალური პოლონელი კომპოზიტორის შოხენის  
შესანიშნავი ძეგლიც, რომელიც ვარშავის ყველაზე დიდ  
პარკში, — ლაზენკის პარკში იდგა. ძეგლი, რომელიც  
ათეულ წლებს ამშვენებდა ამ ბაღს, აგებული იყო პოლო-  
ნული საზოგადოებრიობის თანხებით.

შოხენის ძეგლი (კონკურსი ძეგლზე 1909 წელს გა-  
მოცხადდა და პირველი პრემია მოქანდაკე ვ. შიშინოვსკის  
პროექტმა მიიღო) ზეიმით გაიხსნა 1926 წლის ნოემბერ-  
ში, ვარშავის ფილარმონიის ოცდახუთი წლისთავის აღსა-  
ნიშნავად. მოქანდაკე ვაცლავ შიშინოვსკიმ შესანიშნავად

ფ. ხტარავსკი პლაკატი საბჭოთა კინოფილმისთვის „დედა“



ფუტკმელბად ითვლება ცნობილი თანამედროვე მოქანდა-  
კსკვერი ღუნეოვსკი, რომელიც ჩვენი საუკუნის დასა-  
წყისში იწყებს მოღვაწეობას.

კ. ღუნეოვსკი 1875 წელს დაიბადა კრაკოვში. სწავ-  
ლობა ვარშავის აკადემიაში და უკვე ოცდაშვიდი წლის  
ასაკში ვარშავის სახვითი ხელოვნების სკოლის პროფესო-  
რი იყო. 1923 წლიდან ქანდაკების კათედრას ხელმძღვა-  
ნელობდა კრაკოვის სამხატვრო აკადემიაში.

განსაკუთრებულია ღუნეოვსკის ადგილი პოლონეთის  
სახვით ხელოვნებაში. შემოქმედებითი გზის დასაწყისში-  
ვე მოქანდაკემ საზოგადოების ცხოველი ყურადღება მიიპ-  
ყრო არაჩვეულებრივი გაბედულებით შემოქმედებაში. მისი  
ნამუშევრები იმთავითვე ხასიათდებოდა დიდი მხატვრული  
გამომსახველობით, ემოციურობით, განზოგადებული ლა-  
კონური ფორმით. ღუნეოვსკის ქანდაკებები მონუმენტუ-  
რი ხასიათის ნაწარმოებებია. ისინი მონუმენტური არიან  
არა თავისი სიდიდით, არამედ კომპოზიციის მონოლითუ-  
რობითა და მკაფიოობით, შესრულების მანერით, მოქანდა-  
კის პორტრეტულ ქანდაკებებს, მიუხედავად თვითულის  
ინდივიდუალური ხასიათისა, აქვთ ბევრი საერთოც ფორ-  
მისა და ტრაქტოვკის მხრივ.

„მე მინდა უშუალო მონაწილეობა მივიღო ჩვენი ახალი  
სახელმწიფოს კულტურულ აღმშენებლობაში, რომელიც  
სოციალისტურ პრინციპებს ემყარება“, — ასე წერდა 1948  
წელს, პოლონეთის მუშათა მოძრაობის გაერთიანების მო-  
მენტში, მსოფიანი მოქანდაკე. ამ სიტყვებით მან სახელმ-  
წიფოს გადასცა თავისი მდიდარი მემკვიდრეობის უდი-  
დესი ნაწილი — 150 ქანდაკება, 17 ზეითი შესრულებუ-  
ლი სურათი და რამდენიმე ათეული ნახატი. ამავე წელს,  
მოქანდაკის შემოქმედებითი მუშაობის 50 წლისთავის აღ-  
სანიშნავად კრაკოვსა და ვარშავაში მოეწყო მისი ნაწარ-  
მოებების დიდი საიუბილეო გამოფენა.

ღეაწმონილი მოქანდაკის დაბადების 80 წლისთავ-  
თან დაკავშირებით დიდი გამოფენა გაიმართა აგრეთვე  
1955 წელს. მასზე, ღუნეოვსკის ნაწარმოებების გარდა,  
წარმოდგენილი იყო მისი მოწაფეების ნამუშევრებიც.

მიუხედავად ხანდაზმულობისა დიდი პოლონელი მო-  
ქანდაკის შემოქმედებითი ნაყოფიერება არ დაქვეითებუ-  
ლა. ამ ცოტა ხნის წინათ ვარშავის ნაციონალურ მუზეუმ-  
ში ექსპონირებული იყო ღუნეოვსკის ნაწარმოებების  
რიკით მესამე გამოფენა, რომელიც ძირითადად ახალ,  
უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შექმნილ ნამუშევრებს  
შეიცავდა.

ახლანანს ვარშავის გმირების ძეგლზე გამოცხადებულ  
კონკურსზე კ. ღუნეოვსკიმ ორი პროექტი წარმოადგინა.  
მათში მოქანდაკე აგრძელებს იმ მიმართულებას, რომე-  
ლიც მის ადრინდელ ძეგლებში — „განთავისუფლებაში“,  
მიცკევიჩის ძეგლსა და სხვებშია გამოვლენილი. ფორმე-  
ბის სისადავე და დინამიურობა დამახასიათებელია ამ  
ნაწარმოებებისათვის.

კ. ღუნეოვსკის ეკუთვნის ვ. ი. ლენინის შესანიშნავი  
პორტრეტი. მასში მოქანდაკემ მსოფლიო პროლეტარიატის  
ბელადის მართალი და ძლიერი სახე გამოკვეთა.

სახალხო პოლონეთმა ღირსეულად დააფასა კსკვერი  
ღუნეოვსკის ღვაწლი ეროვნული კულტურის წინაშე.  
მოქანდაკე მრავალჯერაა დაჯილდოებული ორდენებით.  
მოქანდაკეთა რამდენიმე თაობა აღზარდა და ინდივი-



სტ. რაინსკი

გერალდ ყაჩაღები  
სურბა „ხალხურ თემებზე“

დუალური განხრის საკუთარი სკოლა შექმნა ტ. ბრეიერმა  
(გარდაიცვალა 1952 წ.). ეროვნული ქანდაკების განვითარ-  
ებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ცნობილ მოქანდა-  
კებს ი. შნეკოვსკის, ფ. სტრიკვეჩის, ზ. ვოზნას, ა. პროც-  
კის და სხვებს. მათთან ერთად წარმატებით მონაწილეო-  
ბენ ნამუშევრებზე და საზოგადოების აღიარებას იმსახუ-  
რებენ ნიჭიერი ახალგაზრდა მოქანდაკეები, ვარშავისა და  
კრაკოვის სამხატვრო აკადემიების კურსდამთავრებულები.  
გრაფიკის მრავალრიცხოვანი ოსტატები ჰყავს თანა-  
მედროვე პოლონურ სახვით ხელოვნებას. წიგნის გრაფი-

სტ. რაინსკი

გერალდ მუსიკოსები  
სურბა „ხალხურ თემებზე“





ბ. სერაქვიანი

ახალაზრდა სოფელი

მების დარგში. ილუსტრაციები გოგოლის ნაწარმოებებისა და რუსული მოთხრობების ანთოლოგიისათვის, ილფისა და პეტროვის რომანისათვის „ოქროს ხზო“, ვიცს გვიხსიათებენ, როგორც დიდი ალღოს მქონე მხატვარს, რომელიც მახვილად გრძნობს ლიტერატურული ორიგინალის ხასიათს. ამას მოწმობს „ოქროს ხზოს“ იუმორით აღსავსე გამომსახველი ილუსტრაციები, რომლებშიც ზომიერი გროტესკით ცოცხლად და დახატული ნაწარმოების პერსონაჟები.

არა მარტო პოლონეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც ცნობილია პოლონური პლაკატი, რომელიც მაღალი იდეური და მხატვრული დონით გამოირჩევა. განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია მან ომის შემდგომ პერიოდში. 1946—1947 წლებში გამოჩნდა ვ. ტომაშევსკის, ტ. ტრეპოვსკის, ე. ლიბინსკის, ი. ლენიცის, ვ. ფანგორის, ი. მროშაკის პირველი ნაშუქვრები, რომელთაც პლაკატის ხელოვნება მტკიცედ დააყენეს განვითარების სწორსა და მკვიდრ გზაზე. პოლონელი პლაკატისტების რიგები ყოველწლიურად იზრდება ვარშავისა და კრაკოვის სამხატვრო აკადემიების კურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდებით.

პლაკატის ხელოვნება მჭიდროდა დაკავშირებული ცხოვრებასთან. მასიური ტირაჟებით იცმა მრავალფერო-

ვ. ტურკა

პლაკატი საბჭოთა  
კინოფილმისთვის „წყნარი ღონე“

კოსთა მაღალ ხელოვნებასა და კულტურაზე მეტყველებენ პოლონური გამოცემანი როგორც ეროვნული, ისე უცხოური ლიტერატურისა. შესანიშნავი ილუსტრაციები შექმნა ცნობილმა მხატვარმა ვ. გრუნვალდმა გოგოლის „მკვდარი სულების“ აკადემიური გამოცემისათვის. ა. უნეხოვსკის, გრონოვსკის, ი. ვიცისა და სხვა გამოჩენილი გრაფიკოსების ილუსტრაციები ამშვენებენ კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის სხვადასხვა გამოცემებს.

პოლონელ ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურა. საბჭოთა ლიტერატურიდან უკანასკნელ თორმეტ წელიწადში ყველაზე დიდი ტირაჟით გამოვიდა მაქსიმ გორკი, გამოიცა მწერლის 97 წიგნი, მათ შორის ოთხტომიანი თხზულებათა კრებული, საერთო ტირაჟით 1940 ათასი ეკზემპლარი. ამავე პერიოდში გამოვიდა მ. შოლოხოვის, ი. ერენბურგის, კ. პაუსტოვსკის, ბ. პოლევოის, ლ. ლეონოვის, ა. ფადეევის, ვ. კატაევის, კ. სიმონოვის და სხვათა ნაწარმოებების ათასობით ეკზემპლარი, მაღალმხატვრულად გაფორმებული პოლონელი გრაფიკოსების მიერ.

პოლიტიკური კარიკატურის, პლაკატისა და წიგნის გრაფიკის ოსტატს იგნაცი ვიცს ბევრი აქვს გაკეთებული რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის გაფორ-





ზ. კაიღვჭკია თოჯინები პოლონური მულტიპლიკაციური ფილმებისათვის

ვანი, გემოვნებით გადაწყვეტილი გამომსახველი პლაკატები, რომლებშიც სინთეზის ენით, სხარტადაა გადმოცემული აზრი. მათში ხშირად არის გამოყენებული მეტაფორა, გროტესკი. პოლონურ კინოპლაკატებში პოეტურადაა გახსნილი ამა თუ იმ ფილმის განწყობილება და ატმოსფერო.

განთქმულია პოლონური სატირა და იუმორი, მაღალი გრაფიკული ოსტატობა, გონებამახვილობა, სატირული ძალა ახასიათებს პოლონელი კარიკატურისტების ნამუშევრებს. ამ დარგში განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ მხატვრები ე. ლიბინსკი, ი. ყერეზინსკი, ე. ზარუმა, ა. ლიპინსკაია, კ. ფერსტერი, შ. კობილინსკი, ზ. ლენგრენი, ზ. ვასილევსკი, ზ. ზემეცკი, ი. კამიჩკი და სხვები.

ხალხთა მეგობრობის შესანიშნავი გამოხატულება იყო მიმდინარე წლის ოქტომბერში პოლონეთში ჩატარებული ქართული კულტურის, ხოლო ჩვენთან — პოლონური კულტურის დღეები.

ხალხთა მეგობრობის სულისკვეთება შესანიშნავად გამოხატა თავის სიტყვაში ქართული კულტურის დღეების საზეიმო ვახანაზე პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების მინისტრმა ვალნისკიმ:

„პოლონეთში ქართული კულტურის დღეები ქართველი ხალხის გამოჩენილი შვილების სახელების დიდი პოპულარიზაციაა. ქართული კულტურის დღეების მეოხებით ჩვენ უკეთ ვიცნობით საქართველოს კულტურას, მის დიდ პოეტებს, მწერლებს, ნიჭიერ მხატვრებსა და კომპოზიტორებს, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს ქართველი ხალხი. ჩვენ გვსურს ვანგამტკიცოთ მეგობრული კავშირი, რომელიც წარსულში დამყარდა პოლონელ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის და რომელიც იშვა თავისუფლებისადმი საერთო მისწრაფებიდან და მეგობრობის მშვენიერი ტრადიციების სახე მიიღო. პოლონეთში ქართული კულტურის დღეების დროს ჩვენ ვავეცანით სოციალისტური საქართველოს მრავალი წლის მიღწევებს, ხოლო ჩვენი მეგობარი ქართველები სახალხო პოლონეთის მიღწევებს ვაეცნობიან საქართველოში პოლონური კულტურის დღეების დროს“.

ისევე, როგორც პოლონეთში, საქართველოში მოძმე ხალხის კულტურის დემონსტრაცია მსოფლიოს ხალხთა მეგობრობისა და ერთმანეთის მიღწევების გაცნობის დიდი სურვილის ნათელი გამოხატულება იყო.

ლ. თაბუკაშვილი

ს. კორნი-პოკლევსკი

დელა ველოინისიდან





ივანე ვიცი ილუსტრაციები ილუსია და პეტროვის რომანისათვის „ოქროს ბბო“



— არაფერ უნდა იცოდეს, რომ ამის ჩვენი პატარა ტომეკი აკეთებს  
კარიკატურა კ. ფერსტერისა

# პირველი სტამბა საქართველოში

(ქართული სტამბის 250 წლისთავის გამო)

## ზაქარია ბაპუკაშვილი



ქრ კიდეც მ წლისა იყო ვახტანგ მეექვსე, როცა მისი ზიძა არჩილ მეფე თბილისში სტამბის გახსნას ფიქრობდა, მაგრამ „ჟამთა სიავის“ გამო, მან ეს ვერ შესძლო, 1698 წელს არჩილი თავისი ამალით მოსკოვს გადასახლდა.

პირობისამებრ არჩილს ვახტანგიც უნდა გაეყოლოდა, მაგრამ როგორც შემდგომი ვახუშტი ვეაუწყებს, იმ წელს, ე. ი. 1698-ში „კავკასი თოვლით კრულიყო“ და რაკი ვახტანგი თავის დედა-წულით ე. ი. ცოლით „ვერღარა ვიღოდა“, ამისათვის კვლავ დედულეთში, ე. ი. რაჭაში დარჩა.

რაჭის გზით მისკოვსაკენ მიმავალ არჩილს სტამბის გახსნის სურვილი მაინც თან მიჰყვებოდა. რაც ვერ შესძლო მან აქ — თბილისში, იმას იქ — შორეულ მოსკოვში მიაღწია.

როდესაც არჩილ მეფე 1705 წელს სოფ. ვსესვიატსკოეში თავის მიერ გამართულ სტამბაში ქართულ ენაზე „დაქიანის“ და სხვა სასულიერო ლიტერატურას ბეჭდვდა, მისი მისწული ვახტანგი იმერეთიდან ქართლში ჩამოსული, ჯერ როგორც ჯანიშანი ანუ ქართლის გამგებელი და მერე როგორც მეფე, 1703 წლიდან შეუდგა თბილისში სტამბის მოწყობის თადარიგს.

ამ მიზნით მიწერა-მოწერას აწარმოებდა ვალახიაში (რუმინეთში) გადახვეწულ ქართველ ეპისკოპოსთან — ანთიმოზ ივერიელთან, რომელმაც სტამბის უსაქმიოება „ორღანობთან“ (იარაღები) ერთად, ვახტანგს გამოუგზავნა ფრიად დახვეწებული ტიპოგრაფი, სასტამბო საქმის მცოდნე და გამოცდილი ოსტატი — მიხეილ სტეფანეს ძე იშტვანოვიჩი.

მართალია, მიხეილ სტეფანეს ძე იშტვანოვიჩი მანამდე საქართველოში არ ყოფილა და ქართველ ხალხს არ იცნობდა, საქართველოზე და კერძოდ ქართველებზე მაინც ზგერს რამ კარგი გაეგო და წაეკეთხა კიდევ. ამიტომ სიხარულით გამოემგზავრა საქართველოსაკენ, იმ ქართველ ხალხთან, რომლის შესახებ მეჩვიდმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ანტიოქიის პატრიარქის მკაცრიონის შვილი — პავლე ალაშველი წერდა:

„ქართველებს აქეთ დიდი და საოკარო ცოდნა, განსაკუთრებით ლოგიის სფეროში, თუმცა თავის სამშობლოდან არსად გადიან“.

იშტვანოვიჩი საქართველოდან წასულს მხოლოდ ორ ქართველს იცნობდა, პირველი იყო ნიკოლოზ ჩოლოყიანი, იტალიაში ნიკიფორე ირზახის გვარით ცნობილი, ხოლო მეორე — ვალახიაში ანუ რუმინეთში მყოფი მისი პაპიად მასწავლებელი ანდრია ქართველი, ვალახიაში ანთიმოზ ივერიელად წოდებული.

პირველმა საძირკველი ჩაუყარა ქართული წიგნების

ბეჭდვას იტალიაში, მეორემ დიდად შეუწყო ხელი ვახტანგ მეექვსეს თბილისში სტამბის მოწყობის საქმეში.

ეს ორი ქართველი თავიანთ მთორე სამშობლოში დიდ-მოღვაწეებად ითვლებოდა.

ნიკიფორე ირზახი ცნობილი ელჩი იყო. საქართველოს მეფეები, მთავრები თუ ტყვედებლები მხოლოდ მას გზავნიდნენ უცხო სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლად. ასეთივე თვალსაჩინო მოღვაწე გახდა იგი იტალიაშიც, რაც დასტურდება იმით, რომ 1620 წელს პაპის კარდინალთა კრებამ გულმოდგინე მუშაობისათვის ქებაც კი უძღვნა.

ანთიმოზ ივერიელი ხომ მრავალმხრივი ნიჭიერებით იყო დაჯილდოებული! ის ჯერ კიდეც 16 წლისა იყო, როცა მეკობრეებმა გაიტაცეს და რამდენიმე ხნის შემდეგ სხელებთან ერთად სტამბოლის ბაზარზე ამოაკოფინეს თავი. მისმა სანდომიანმა სახის გამომეტყველებამ და ტყვიანურმა თვალეებმა იერუსალიმის პატრიარქის ნექტარიონის ყურადღება მიიპყრო. მან ტყვე-ჭაბუკი შეისყიდა და გაგზავნა სტამბოლის საპატრიარქო კარზე, სადაც 16 წლის ანდრია ანუ ანთიმოზი გულმოდგინედ დაეწევა სწავლას; სწავლობდა ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა. შეისწავლა არამული, ბერძნული, თურქული, რუმინული და სლავური ენები, აქვე შეუსწავლია „მესტამბეობა“ და „წიგნის გათხლება“. სტამბოლში ჩამოსული უნგრელებანეთის მთავარი კონსტანტინე ბრანკოვიანსუც კი მოხიბულია მისი მრავალმხრივი ნიჭით, პატრიარქ დოსეთიოსის თანხმობით ანთიმოზი რუმინეთში წაუყვანია და სტამბეობის მუშრნედ დაუწინაშავს. პოლიგრაფული მრეწველობა აქ მან უმაღლეს წერტილზე აიყვანა. პარალელურად ამისა, მუშობდა როგორც მხატვარი, მოქანდაკე, გრაფიკონი, კალიგრაფი, ქსილოგრაფი, პოეტი, რიტორი და ბოლოს როგორც ენისკოპოსი. მას სხვადასხვა ენაზე ორ ტომამდე ქადაგება აქვს დაწერილი, რომელსაც, მის. თამარაშვილის ცნობით, სასულიერო მწერლობაში პირველი ადგილი უკავია. თვით მასზე რუმინეთში ორმოცზე მეტი შრომაა გამოქვეყნებული. ის პეტრე დიდთან მონაწილეობასაც კი დებულობდა თურქეთის წინააღმდეგ საიდუმლო შექმნულემაში, თურქებს ეს არ გამოპარებია. ამიტომ ანთიმოზ ივერიელს, სიხარულითააზე გაგზავნიებისას, ავაზაკურად თავს დაესხნენ და ამას საქადადლო ადამიანს სამუდამოდ მოუღეს ბოლო. რუმინეთის მაღლიერმა ხალხმა მას სამარადისო ძეგლი დაუდგა, როგორც რუმინეთის ეროვნული კულტურისათვის ნაღვაწე ადამიანს. მას აქ ისეთი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია, რომ დღესაც კი რუმინულ სასწავლებლებში მისი ბოგარაფის ასწავლიან.

მარტო ამ ორი ქართველი ადამიანის გახსენება იყო საკმაო, რომ იშტვანოვიჩი დარწმუნებულიყო პავლე ალა-



ანანიასი ივერიელი

ბელის მიერ ქართველი ერის დახასიათების სისწორეში.

ისტვანოვიჩის თბილისში ჩამოსვლამდე, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, — ანისიხატისა და სიონის ტაძრის შუა მდებარე მოედანზე მეფის სასახლის მახლობლად (სადაც ამჟამად ხაქ. სსრ მილიციის სამმართველოა), აღმართული იყო წმინდა იოანე ნათლისცემლის ეკლესია, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან ზარაფხანა ანუ ფულის საქარული სახლი ემიჯნებოდა. ხოლო დასავლეთით ვახტანგ მეექვსემ 1707-1708 წელს „შრომითა ფრიადითა და წარკვებითა მრავალთა საფასათეთა“ ათ-ათობიანი სახლი ააგო, რომელსაც მაშინ, ერთნი „წიგნის ქარახანას“, ხოლო მეორენი „სტამბის სახლს“ უწოდებდნენ.

ეკლესიის დანგრევის შემდეგ, 1824 წელს აქ აშენდა სინოდის კანტორა, რომელიც ბოლოს საქართველოს ეგზარქოსის რეზიდენციად იქცა. სალაყბოს სახელით ცნობილ მოედანს, სადაც ამჟამად პატარა ბაღია, ეგზარქოსის მოედანს უწოდებდნენ: ქუჩას კი, რომელიც აღნიშნულ მოედანსა ჰკვეთს, — ეგზარქოსის ქუჩას.

აი, ამ ყოფილ ეგზარქოსის, ახლა კი ერეკლე II სახელმწიფოს ქუჩაზე იყო მოთავსებული ვახტანგისეული სტამბა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იტალიური სიტყვა „სტამბა“, ზოგიერთმა ქართველმა იცოდა ჯერ კიდევ თბილისში სტამბის გახსნამდე.

გვიტყვით, ეს სიტყვა ჩვენში შემოიტანა ჯერ გაზეთ „მისიონ კატოლიკი“-მა, რომელსაც საქართველოში მყოფ

პატრებთან ერთად ქართველი ბატონიშვილებიც დეპულობდნენ, შემდეგ იმ ქართულმა წიგნებმა, რაწმენებმა 1629-1681 წლამდე რომში იბეჭდებოდა და რომის პაპის ურბანო მერვეს მიერ სტამბოლის გზით სისტემატურად იგზავნებოდა საქართველოში კათოლიკური საწმენოების პროპაგანდისტების.

მისიონერებმა თავისი ქადაგებით ბევრი მართლმადიდებელი ქართველი მოაქციეს კათოლიკური სარწმუნოებაზე, შემდეგ ეს ვაკათოლიკეზული ქართველები თვითონ გამოდიოდნენ მქადაგებლებად. მაგ., 1733 წელს გორელმა პატარმა ტულუკანთ დავითამ საკმაოდ დიდი წიგნიც კი დაბეჭდა ქართველ კათოლიკეთათვის „საქრისტიანო მოძღვრების“ სახელწოდებით (ეს ის დავითია, რომელიც, საბა ირბელიანის თაოსნობით, რომში გაუგზავნით სასწავლებლად).

ვახტანგ VI-მ სტამბის სახლის დამთავრებისას ე. ი. 1708 წელს მესტამბეთა უწყვეტად, მოძღვრად ანუ გამგედ და ინსტრუქტორად დანიშნა ანთიმოზ ივერიელის მიერ გამოგზავნილი ოსტატი მიხეილ სტეფანეს ძე იშტვანოვიჩი, რომელიც თავს ყველას უნგრეოვლახელად აცნობდა.

ეს სადავრობის მაჩვენებელი ფსევდონიმი ბოლომდე მერჩა და ჩვენც მას ასე მოვიხსენებთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუმინეთს მაშინ უნგრეოვლახიაც ეწოდებოდა.

უნგრეოვლახელმა ვახტანგის მიერ ავებული ათთობიანი „წიგნის ქარახანა“ ანუ „სტამბის სახლი“ სამაქროვლად დაკყო. თვითუღ საამქროს — „ყოველივე საქმენი (ნაკეთობა) რაოდენი (რაც) — აქ, ამ სამაქროვში — იხილვებინ (ჩანს): ასონი (შრიფტები), ორღანონი (სასტამბო იარაღები) და ყოველი სახმარნი სტამბისა (ინვენტარი), დაწყებით სრულ ყოფამდე (თავიდან ბოლომდე), მოქმედი და წინამძღომელი (გამკეთებელი და ხელმძღვანელი) მე ვარ, უდიდ მონა თქვენი“, — წიგნს უნგრეოვლახელი 1709 წელს გამოცემულ სახარების მესამე გვერდზე.

ეს რომ მართლა ასე იყო, ამას ადასტურებს იმდროინდელ გამოცემულ წიგნებზე შენიშვნების სახით დართული ანდერძები, რომლებიც სხვეთან ერთად ვახტანგისათვისაც უსათუოდ ცნობილი იქნებოდა.

სტამბის სახლში თავმოყრილი ე. წ. „წიგნის გამამალებლები“ (ე. ი. ჟურნალისტ-პოლიტიკარისტები) მან ორ დამოუკიდებელ „კატელორიად“ დაკყო.

პირველს ეკუთვნოდა „მწიგნობართა გუნდი“ ანუ „მწიგნობართა დასი“, ე. ი. გამომცემლობის მუშაკი-ჟურნალისტები, ხოლო მეორეს — მესტამბეში-პოლიტიკარისტები, ე. ი. ყველა ის, ვისაც უშუალოდ სტამბაში უხდებოდა მუშაობა.

მწიგნობართა ანუ ჟურნალისტების გუნდს შეადგენდნენ „წიგნის გამორეგებელი“ და „მხარეველი“ ე. ი. ავტორი და გადამწერი; „ღრამატციის კანონსა ზედაგამმართავი“ და „ქართულ ენასა ზედა შემწყობი“ ანუ რედაქტორი და მთარგმნელი. მწიგნობართა გუნდს ეკუთვნოდა აგრეთვე „პრობის მმართველიც“ ე. ი. კორექტორიც. პრობი, როგორც მოგვხსენებია, ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სინჯს, აქედან სინჯის მმართვეი, გამსინჯველი ანუ შემოწმებელი.

„ღრამატციის კანონსა ზედა გამმართველებად“ ე. ი. რედაქტორიც და ბერძნულ და სპარსულ ენებიდან



„ქართულ ენაზე შემწყობებად“ ე. წ. მთარგმნელებად მუშაობდნენ ცნობილი პირები, მათ შორის თვით ვახტანგ VI (რედაქტორი, ლექსიკოგრაფი და „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორი, ავტორი „დასტურლამასი“ და „სამართლის წიგნისა“; „აიათის“ და „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი; „ქართლის ცხოვრების“ მასალების შემკრები და სხვა მრავალი პოეტური ნაწარმოების შემქმნელი.) რედაქტორად მუშაობდა აგრეთვე მისამართლეთა უხუცესის-ძე ნიკოლოზ ორბელიანი, ძმა საბა-სულხან-ორბელიანისა (ორბელიან ვახტანგ მეექვსის დედის თუთა გურიელის ასულის ძმისწულეები იყვნენ).

თუ რამდენად განსწავლული იყო ნიკ. ორბელიანი, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სხვა წიგნებითა ერთად საქართველოში მისი რედაქტორობით გამოვიდა პირველი სამეცნიერო ხასიათის ისეთი წიგნი, როგორც თვის ვახტანგ მეფის მიერ სპარსული ენიდან ქართულად თარგმნილი „აიათი“, ანუ კოსმოგრაფია. რა თქმა უნდა, ისეთი ერთეულის ადამიანი, როგორც ვახტანგ VI იყო, თავის წიგნის რედაქტორად არ გამოჰყოფდა ქართული ენის ნაკლებ მეცადუნე პირს.

რედაქტორად მუშაობდა აგრეთვე გერმანე მღვდელ-მონაზონი, რომელმაც საქართველოში პირველმა შეადგინა დიდაქტიკური ხასიათის წიგნი, „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლვასა მოწაფისა“, სარწმუნოებრივი ხასიათის ეს წიგნი დაიბეჭდა 1711 წელს, და როგორც შემდეგში დავინახავთ, მას დიდი გამოყენება პქონდა, რადგან ეს 411 გვერდიანი წიგნი მეორედ აღარ გამოცემულა; მთელი საუკუნის მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა და გადაწერის საშუალებით ცრცლებდებოდა, როგორც თვითგანვითარების დაუმრეტელი წყარო.

ზემოაჩინათლილ სწავლულთა გარდა, წიგნებს რედაქტორობდნენ: ბერძნული ენის მცოდნე და მთარგმნელი კვირიანე სამთავნელი (ერისთავი), ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელი, რომელიც მიხეილ უნგრეულახელის შემდეგ, როგორც მისი ყოფილი მოწაფე, სტამბას ჩაუდგა სათავეში. გარდა ამისა მიქაელი იყო „ვეფხისტყაოსნის“ გამამართავი და პროზის მმართველი ანუ კორექტორი, 1712 წელს მესამედ გამოცემულ „დავითის“ რედაქტორი და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიქაელი ერთადერთი ჩოხბაში გამოწყობილი ერისკაც ვახლადთ სტამბაში მომუშავე ანაფორიანებს შორის, რომლებიც აღმავტარად უყურებდნენ ყველა საერო წიგნს და განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნას“ და მასზე „ამაოდ დამაშვრალ შოთას“, ამისათვის ვახტანგ VI თავიდან აირიდა ეს „უკბილო“ (ჯოუტი) ხალხი და ერის კაცს მიქაელს მიანდო მისი ანა თუ რედაქტორა და კორექტორა, არამედ გამოშვებაც ეთ.

„დავითის“ მეოთხე გამოცემის რედაქტორად 1716 წელს ვვევლინება გარსევანი — ყოფილი მღვდელი გამბრიელი.

პირველ ქართველ რედაქტორთა ღვაწლი განსაკუთრებით დასავსებელია იმ მხრივ, რომ მათ უკუაგდეს ხალხისათვის ძველად გასაკვიბი ბუნდოვანი წიგნური ენა, წერდნენ, თარგმნიდნენ და ასწორებდნენ „სოფლური ენით“, ე. ი. იმ ხალხური ენით, რომლითაც მეტყველებდა მაშინდელი ქართველი.

მეცნიერბრული ენის გახალხურებამი დიდი ღვაწლი მი-

უძღვის თვით ვახტანგ მეექვსეს, რომელიც ერთ წიგნს წერს:

„ეთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყო მოსულენები, არენ ვამხადით ამისთვის საციცხავ-მოსაყენები“.

ამის შემდეგ „გამრეგებელი“ თუ ღრმატიკის კანონ-საზედა გამმართავი“ არა თუ კიცხავდა ვახტანგს ამ სიხალისათვის, არამედ თავის მოვლენობად სთვლიდა დამწერლობაში მისთვის მიებათა, მაგალითად სახელმძღვანელოს „გამრეგებელი“ — ავტორი გერმანე ბერ-მონაზონი ასეთ ვახტანგისებურ განმარტებს იძლევა:


„ამისათვის დავსწერე საეროსა და სოფლურის სიტყვითა, რომ სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწიენით და მტკიცედ დაილით გონებასა“.

ასეთი მოზოღიშებითა და განმარტებით ხალხური ენა ნელნელა ფეხს იკიდებდა დამწერლობაში.

როგორც დღეს, ისე მაშინაც სტამბაში წამყვან პროფესიებად ითვლებოდა: ამომდევინებელი ასოსი, ე. ი. ასოთ-აწყობი; ბლაკატის მჭრელი — დამკაბადონებელი; წარ-მომდგინებელი ასოსი — ასოთამომხმენელი; მწერალი — ჩამოსახმელი ასოების ნიმუშების დამწერი კალიგრაფი; ბეჭდვის გამოშვები — კლიშეების დამამზადებელი, — ქსილოგრაფი; დაზვის მმართველი — დამწყობი; ბეჭდვის ზედამდგომარე-მბეჭდავი, ბეჭდვის ზედამხედველი — საბეჭდ საამქროს უფროსი, საამქინძაოში მომუშავენი — მკინძავ-შემმოსავი და მკაზმავი.

აქ იყვნენ აგრეთვე „სტამბის სახმართა ზედა გამარჯე-

ვახტანგისეულ სტამბაში 1709 წ. დაბეჭდილი „სახარების“ თავფურცელი





1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელი — გრავერული პორტრეტი ვახტანგ VI-სა.

ლი“ ანუ მომმარაგებელი, „სტამბის ნაკლების შემსრულებელი“ ე. ი. რეზონის გამკეთებელი და სხვ...

საამიქნაო საამქროში მომუშავენი კი შემდეგ კატეგორიებად იყოფოდნენ: მკინძაგებად, რომლებიც კინძაგდნენ რვეულებად ანუ ფორმებად დაბეჭდილ წიგნებს; შემმოსავებად, რომლებიც რვეულებად ანუ ფორმებად დაბეჭდილ წიგნებს რზილ გარეკანში სვამდნენ; მკაზმავებად, რომელთა მოვალეობას შეადგენდა წიგნის ყდის ოქროთი და ვერცხლით მოცვარვა ე. ი. დატვიფრვა.

წიგნის მოცულობა 10 რვეულიდან 30-34 რვეულამდე აღიოდა. მასში წიგნი დღევანდელი ფორმის მაგიერ რვეულებად აღირიცხებოდა. თვითიულ რვეულში იყო 8 ფურცელი. ალბათ, ამ ფურცლების რაოდენობა დაეყო საუფძელად რვეულის სახელწოდებას.

რაც შეეხება პირველი ქართული ბეჭდური წიგნების ტექნიკურ ვაჭორმებას, არ ჩამოუვარდებოდა იმ წიგნებს, რომლებიც გამოდიოდა ვალახიაში, სადაც იმ დროს ბოლიგრაფიული მრეწველობა ანთიმოზ ივერიელის მეოხებით მაღალ დონეზე იდგა.

უნგრეოვლებმა ბეჭდვითი საქმის ვაჭრელებსა სპარტელოში დიდი ამაგი დასდეს და ამით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომ იყო, რომ ვახტანგ მეფემ „გულმუხურაულ მუშაკობისათვის“ ამ „ქარადა ზრდილ, ჭკვიან და გამოცდილ სტამბის გამომღებს“ (მოწვეობას) 1710 წელს აზნაურობაც ეკ უბოძა.

თუმცა ანაწყობ მასალის „შეწამებას“ ანუ შემოწმებას ახდენდა პრობის მმართველი ანუ კორექტორი სტამბის მანც თავიდან არ იხსნიდა ბასუსისმგებლობას. 1709-11 წლებში გამოცემული წიგნების თავში და ზოგჯერ ბოლოში გვხვდებით ანდერძად წოდებულ სხვადასხვა სახის ცნობებსა და შენიშვნებს; ზოგიერთ მათგანში უნგრეოვლები მკითხველს ასე მიმართავენ: „სიმდაბლითა გვევდრები თქვენ — ყოველთა, დიდა და მცირეთა უკეთეს ცთომილი რაამე იბილით, სიტყუა ანუ ასო ნუ გამჭირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანისა ამის და უსმენელი სიტყუათა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფე იყვნენ, ეგრეთვე გამოუცვლელი საქმისა ამის ჩემისა, ვითარცა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა“. როგორც აქედან რკვევა, მის სასტამბო საქმის მცოდნე არც ერთი კაცი არა ჰყოლია და „სტამბის უნახავ პირთა“ ანაზარა იყო.

ამ უცხო ტომის ადამიანის განკარგულებაში მყოფი ეს პირები მართლაც „გამოუცდელი“ და „სტამბის უნახავნი“ იყვნენ. მიუხედავად ამისა მათ მიიწეს შესძლებ თავინათი მოძღვრების, ე. ი. მასწავლებლის უნგრეოვლებელის ხელმძღვანელობით 1709-1711 წლამდე გამოცემა ისეთი წიგნები, როგორც იყო „ქამრი“, „ღაგითი“, „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ და სხვ. „სტამბის უნახავი“ მოწაფენი, უნგრეოვლებელის ხელმძღვანელობით, მოკლე ხანში ისე დაოსტატდნენ, რომ ბოლოს, როცა უნგრეოვლებელი სამშობლოს დაუბრუნდა, თვითონ გახდნენ მესტამბეთა უხუცესები.

უნგრეოვლებელის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ მესტამბეთა უხუცესად მუშაობდა მისი ყოფილი მოწაფე, ვახტანგ VI კარის ეკლესიის დეკანოზის შვილი — მიქაელი, რომელიც ამ სტამბას განაგებდა 1711 წლიდან 1715 წლამდე.

1715-1717 წლებში სტამბის მფურნედ ვხვდებით თბილისის სიონის მხატვარს გიორგის, 1717-1720 წლებში გიორგი მხატვრის პარალელურად მესტამბეთა უხუცესად მუშაობს გარსევანი (ყოფილი მღვდელი გამარიელი).

1721 წლიდან 1722 წლამდე სტამბას განაგებს მრეველი ეპისკოპოსი გიორგი ორბელიანიშვილი.

1722 წელს კი ისევ გარსევანი — ყოფილი მღვდელი გაბრიელი გვევლინება.

რაც ამ მიზეზს მესტამბეთა უხუცესობის ასეთი ხიზრი ცვლისა, აჭრ კი უკვე ვაუწყვევლია.

1711 წლიდან უნგრეოვლებელი აღარ ჩანს. ამ წლიდან გამოცემული წიგნებზე მის ვვარს ევარც ვხვდებით. რა იყო უნგრეოვლებელის გაუჩინარების მიზეზი, დღევანდლამდე, დანამდვილებით არაფერი ვიცით. არის ვერსია, რომ ის სპარტელოდან პოლანდიაში წასულა კვალიფიკაციის ასაბამლელად და იქიდან ერთი წლის შემდეგ თავის სამშობლოს დაბრუნებია; ზოგიერთი მკვლევარი კი იმასაც დასძენს, რომ ის ქარლიდან კახეთს წასულა და იქ დასამლელად. ზ. ჭიჭინაძის თავის წიგნში „ქართული სტამბები“ მოჰყავს ცნობა, თითქმის უნგრეოვლებელი ვახტანგ მეფეს გაჰყოლოდეს მოსკოვის და იქ გარდაცვლილიყო, რაც ნაკლებ დასაუკრებელია.

თუ აქამდე წიგნები მხოლოდ ხუცური ასოებით იბეჭდებოდა, 1711 წლიდან ჩვენ მხდრული ასოებით დაბეჭ-



დილ წიგნებსაც გვხვდებით. მაგალითად „ფსალმუნნი“, „ვეფხისტყაისანი“, „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა, სწავლება მოწაფისა“ და სხვა...  
გამოცემების გამოცემა იშვიათად ხდებოდა. ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭდილ ოცი წიგნიდან მხოლოდ სამი — „ღვთინი“, „ქაშანი“ და „ლოცვანი“ გამოიცა მეორედ.

„ღვთინი“ პირველად დაბეჭდა 1709 წელს ნუსხა-ხუცურის შრიფტით, 1711 წელს კი — მხედრულით, 1712 და 1716 წლებში ორივე გამოცემა ისევ ნუსხა-ხუცურითაა დაბეჭდილი.

ოთხჯერ გამოიცა აგრეთვე „ქაშანი“ 1710 წელს ორი გამოცემა გამოვიდა ერთად, ერთი იყო ნუსხა-ხუცურით, მეორე კი მხედრული შრიფტით აწყობილი, ნუსხა-ხუცურით გამოვრდა 1717 წელს, ხოლო მხედრულით 1722 წელს.

ორჯერ გამოიცა „ლოცვანიც“, პირველად 1710 წელს, მეორედ კი — 1717 წელს. ეს ორივე გამოცემა ნუსხა-ხუცურის შრიფტით არის აწყობილი.

მართალია, ქართველი სამღვდელთა სტამბის გახსნასა და ქართული წიგნების ბეჭდვას დიდად უწყობდა ხელს, მაგრამ ამასთან მას შინა იპყრობდა: „გაი თუ ჩვენს გამოსაცემ წიგნებში ჩვენდა უხერხულად რაიმე ბოროტება შეგვეპაროსო“, ამიტომ მათ იშუამღვთილეს ვახტანგ მეექვსის წინაშე, რათა მეფეს გამოეყო სათანადო პირი, რომელიც დედნების, თუ დაბეჭდილი წიგნების მსინჯავ-გამჭერტელი იქნებოდა. მეფემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საამისოდ გამოჰყო კათოლიკოსი. ვფიქრობთ, ეს შიში გამოწვეული იყო იმ ზეგავლენით, რომელიც ქართველ მღვდლებზე ახდენდნენ კათოლიკოსი ეკლესიის მქადაგებლები.

თუ აქნობამდე წიგნები იბეჭდებოდა მხოლოდ მეფის ბრძანებითა, ამიერიდან მას დაჰმირდა კათოლიკოსის კურთხევაც.

კათოლიკოსი აღარ დაკმაყოფილდა მარტო სასულიერო წიგნების „სინჯვითა და განჭერტით“, მან თავისი კონტრაქტი „გარეშე“ წიგნებზეც გააგრძელა. მაშინ „გარეშე“ წიგნებზე იწოდებოდა ყველა წიგნი, რომელიც არა სასულიერო ხასიათისა იყო, მაგალითად, „ვეფხისტყაისანი“ და სხვ. რომელთა კურთხევისაგანაც კათოლიკოსი მუდამ თავს იკავებდა.

რომ ეს კურთხევა ნიშნავდა მამონდელი დროის ცენზურას, ეს მტკიცდება თუნდაც იქიდან, რომ ქართლის მთავარი ეპისკოპოსი ტიმოთე წინ აღუდგა ვახტანგ მეფის მიერ წამოწყებულ რუსთაველის „ვეფხისტყაისანის“ გამოცემას, და არ აკურთხა იგი იმიტომ, რომ „ესა (შოთა) იყო მიქმელი ლექსითა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართულელთა სიწმინდის წილ ბოროტი ბილწები და ვაპრყვნა ქრისტიანობა“. და განა მარტო ტიმოთე? ვახტანგ VI-ის ძმა, კათოლიკოსი დომენტი მესამეც „ვეფხისტყაისანს“ თვლიდა ჯოჯოხეთის კარად, რუსთაველს კი — ეშმაკის მოციქულად.

იყო შემთხვევა, როცა წიგნს მეფის მფარველობაც ვერ შეუღლოდა. მაგრამ რაკი ვახტანგის აზრით „ქვეყნის უფროსი ავის დამწმელი უნდა იყოს“, მან ამ სიავის „მჩმახველებს“ ყური არ უგდო და 1712 წელს გამოსცა „ვეფხისტყაისანი“ სათანადო კონტრაქტებით. რაც ანტონ კათო-

ლიკოსმა ვახტანგ მეექვსის დროს დაბეჭდილი „ვეფხისტყაისანი“, „შთაყრევიან მტკვარში და აღურქაძალ კითხუა წიგნისა ამისა ქართულთა“. მაგრამ ამ სასტიკმა დონისძიებამ ხალხის გულში ვერ აღმოფხვრა სიყვარული და პატივისცემა ამ ნაწარმი წიგნისა, რასაც მოწმობს 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაისანის“ ბოლოზე, მესტამბეთა უხუცესი მიქაელის მიერ მიბეჭდილი ლექსის შემდეგ ტაყა:

„აჲ დაიბეჭდა სტამბაში, პირველ ნაწერი ხელისა,  
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა  
თმენისა;  
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით ხელთა  
ქმნილისა  
და ნალღაწი მისი მლოცველის, მესტამბე  
მიქაელისა“.

ამა თუ იმ წიგნის გამოცემა მესტამბეებს უსაზღვრო სიხარულს და კმაყოფილებას გვრიდა. ამის ცხადყოფს ჯერ კიდევ 1710 წელს გამოცემული „კონდაკის“ თავფურცელზე უნგრეობლების მიერ ქართულ მხედრულ ასოებით რუმინულ ენაზე დაბეჭდილი ლექსი, რომლის პროზაული თარგმანიც იმავე ფურცელზეა მოთავსებული, აი ისიც:

„ვიტარცა უცხონი ინარებენ ხილვასა ზედა თვისთა  
სამკვირებელთასა და ზღუთა შინა მავალნი ხილვასა  
ზედა ნავთსაყუდელთასა, ვერცა მესტამბენი ინარებენ  
განსრულებასა ზედა წიგნთასა“.

განა მარტო სტამბის მუშაკთ ახარებდა ამა თუ იმ წიგნის „განსრულება“? ყოველი წიგნის გამოსვლა ახარებდა „ყველაკასა“ ანუ ყველა კაცსა.

„დაესრულა ესე წიგნი, ქორონიკოს უნსა სმულსა  
ყველაკასა უხარება: რიტორსა და ხმა უსულსა;  
სამლთა და სეროცა, ვისაცა აქვს სიხარა გულსა  
და უსწავლელს სიბრძნეს მისცემს, გონიერსა  
გულსრულსა“.

წიგნმა იმდენად აამბლა სტამბისა და მესტამბეთა როლი ხალხის თვალში, რომ შემდეგში, როცა მტერიან ბრძოლაში „ქუდზე კაცი გამოდიოდა“, სტამბის მუშაკებს ერეკლე მეფე ასეთ ფორმანტს აძლევდა:

„ეს აღეთ მღვდელი სტამბაში განწესებული, ესეც  
საქვეყნო, სჯულის სამსახურია, ამას მირიგეთ ნუ გამოიყვანა“. ასეთი იყო შინაარსი ამ ფორმანსა, დასტურდა ბრძანება მფე ერეკლესი. ამ ფორმანთ იჯავშნობა სტამბის მუშაკი და იგი ჯარში აღარ გაჰყავდათ. როგორც ქვეყნისა და სჯულის მსახური. წიგნისადმი ლტოლვა და სიყვარული რომ დიდი იყო, ამას მოწმობს თუ გინდის ფაქტი, რომ შემუდგული ოჯახები მზითავად ატანდნენ თავიანთ ქალიშვილებს ამა თუ იმ წიგნს, რომელსაც მზითევის სიამი სპატივი ადელიც ეძირა, გარდა ხელნაწერი წიგნებისა, მზითევის სიამი ხაზს გასით იყო მოხსენებული სტამბაში დაბეჭდილი წიგნიც.

ქართველი ხალხი შოთას „ვეფხისტყაისანს“ თავიდანვე ფასდაუღებელ განძად თვლიდა, განსაკუთრებულ მნი-

შენელობას ანიჭებდა ქალისათვის მის მზითვად გატანე-  
ბას. აკი ნათქვამია ერთ ხალხურ ლექსში

„ქალი მყავდა გრძელთმიანი,  
სათხო, ტურფა, სხივოსანი;  
გავახოვე, მზითვად მივეც  
შოთას „ვეფხისტყაოსანი“

მზითვების სიაში ჩამოთვლილ ოქროსა და ვერცხლის  
ნივთებს, ოქროში და ვერცხლში მოცეკრულს, პატროსან  
თვლითა და ბადახშით შემკულ ძვირფასეულს ყველას  
თვისი ფასი ჰქონდა მიწერილი; ხოლო ამ სიაში ღირებნი-  
ლი „ვეფხისტყაოსანი“-ს ფასის აღვსი მუხად დატან-  
ბოდა, რადგან არავინ იცოდა რა ფასი დაედოთ მისთვის.  
რა თქმა უნდა, მაშინ ყველა გულს არ შეეძლო ქალი-  
შვილისათვის მზითვად წიგნი გაეტანებინა თუნდაც იმი-  
ტომ, რომ იგი ძალიან ძვირად ფასობდა, მაგალითად, ნი-  
კორწმინდის მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეთოთხედის  
სიგელში ნათქვამია:

„ვიყიდ წიგნი პარაკლიტონი ა (ე. ი. ერთი) და მი-  
ვეცი ფასად ცენისა ნახევარი“. სად ჰყავდა მაშინ ყმას  
ცენი, რომ მისი ნახევარი ფასი გველი და წიგნი ეყიდა.  
თუნდაც ჰყოლოდა, ის ხომ მას არ ვერ თუთვოდა; იმ დროის  
კანონის მიხედვით ყველაფერი ბატონის საკუთრება იყო.  
ავიღოთ თუ გნებავთ ვახტანგ VI მეფობის ხანა. მაშინ  
კოდი პურის ფასი შვილიშვილისა დროს შაურ-ნახევარს  
შეადგენდა, ხოლო იმიანობისა ან მოუსაკლავიანობის დროს  
ორი აბაზიდან სამ აბაზამდე ფასობდა. კოდი, როგორც  
მოგვსენებათ, საწყაოა და ქართლში სამ ფუთ ხორბალს  
იტყვს: 1764 წელს 700 ვერდიანი წიგნის გადაყურაში  
ტჰარის დეკანოზ ნიკოლოზ ოსეს ძეს შვიდი თუმანი  
აუღია. თუ 453 ვერდიანი პარაკლიტონი ღირდა ცენის  
ფასის ნახევარი, არც 700 ვერდიანი წიგნის ღირებულება  
ყოფიდა იაფი, თუ ვაგიფიქვალისწინებთ, რომ კოდი პური  
ღირდა ორი ან სამი აბაზი. წიგნის ასეთმა სიძვირემ აი-  
ძილა, ალბათ, ვინმე ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი ერთ-ერთი  
თვისი წიგნის თავფურცელზე 1779 წელს ასეთი წარწერა  
გაეკეთებინა:

„წყულ იყოს ის კაცი, თუ ქალი, თხოვნით წაიღოს  
და ამის პატრონს  
დააიწყყდეს და აღარ გამოიჩინოს, წყულ იყოს,  
რომელსაჲ აქედან  
(წიგნიდან) ამბავი მოეწონოს ან რვეული  
ამოკლიოს და ან ფურცელი  
აღმოხოს, ან უბრალოდ არშინაჲ ზღარჯვა  
დაუწყოს და ან ფინთად  
და უნაღვლოდ, და ნისიად იხმაროს“.

ეს ფაქტი იმაზე ლაპარაკობს, რომ წიგნისადმი იმდენ-  
ნად ძლიერი ლტოლვა ყოფილა, რომ ადგილი ჰქონია წიგ-  
ნის მითვისებას, იქნადა მოწონებულნი ფურცლების ამოხე-  
ვას და სხვა. მით უმეტეს, რომ მაშინ წიგნები იშვიათად  
და განსაზღვრული რაოდენობით გამოდიოდა.

ვახტანგისეულ სტამბაში 1709 წლიდან ვიდრე 1722  
წლამდე დაბეჭდილა სულ 20 სახელწოდების წიგნი, აქე-  
დან ხუცური შრიფტით 13 სახელწოდების წიგნი, მხედ-  
რულით კი 5 სახელწოდების, დანარჩენი 2 სახელწოდება  
დაბეჭდილია ნარევით ე. ი. ხუცური და მხედრულით.

მოცულთა ამ ოცი სახელწოდების წიგნისა უფროსი  
6960 ვერდს ანუ 435 სასტამბო ფორმას.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, წიგნების ტირაჟი მაშინ  
ასე ისაზღვრებოდა: 500, 600, 700 და 1000 ცალის რაო-  
დენობით. მაგალითად: 500 ცალად დაიბეჭდა „კონდაკი“  
და „ქამნის“ პირველი გამოცემა, 600 ცალად „ქამნის“  
მესამე გამოცემა; 700 ცალად „ქამნის“ მეორე გამოცემა,  
„კურთხევაი“, „დავითის“ მეოთხე გამოცემა, „აიათა“  
და ა. შ. ათასი ცალი ტირაჟით დაიბეჭდა: „დავითის“  
პირველი გამოცემა, „სამოციქულო“, „ვეფხისტყაოსანი“,  
„ქამნის“ მეოთხე გამოცემა და სხვ.

ასეთი იყო ქართული პოლიგრაფია თავისი არსებობის  
პირველ წლებში. ამჟამად საქართველოს დედაქალაქს აქვს  
პოლიგრაფიის ისეთი მძლავრი კერები, როგორც არის  
ბუნდელით სიტყვის კომპანიატი, საქართველოს კომუნის-  
ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის  
1-ლი და მე-2 სტამბა (რომლებიც „კომუნისტისა“, „ზა-  
რია ვოსტოკისა“, სტამბის სახელით იყვნენ ცნობილი), საქ-  
სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობა და პოლი-  
გრაფიული მრეწველობის მთავარ სამმართველოს, მეცნიე-  
რებათა აკადემიის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფ-  
ლო-სამეურნეო, პოლიტექნიკური და რკინიგზის სატრანს-  
პორტო ინსტიტუტების, ცკეაქმირის, საერწო საბჭოს, ვა-  
რეუზნის რაიადმასკომის, საჰაერო ფლოტის, ომბერგატო-  
რიის, საშრიფტო კომიტეტის, 31-ე ქარხნის სტამბები  
და სხვ.

რამდენი კაცი მუშაობდა ვახტანგისეულ სტამბაში, არ  
ვიცი, მაგრამ როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს,  
1801 წელს ქალაქ თბილისში იყო სტამბა ერთი პირველი-  
ობის, ხოლო მეორე კერად პირის კექერაშვილისა, მაგრამ  
მოთავსებული იყო კალოუზანში იმ, სადაც ამჟამად პოლი-  
გრაფგამომცემლობის მეორე სტამბა; კექერაშვილის  
სტამბა კი გამართული იყო მეტეხის ეკლესიის ეზოში.  
ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საქართველოში კერ-  
ძო პირის „შრომით და საფასათით“ სტამბამ წამოიწყო  
თავისი მუშაობა.

კექერაშვილის სტამბას ქალაქილი მეფე ამარაგებდა,  
სამაგიეროდ სტამბიდან მიღებული მოგების ნახევარი  
სამეფო ხაზინას ეძლეოდა. ამ ორ სტამბაში 10 კაცი  
მუშაობდა.

აღეს სტამბის მუშაკთა რიცხვი მარტო თბილისში  
ორი თვის კაცს აღემატება.

ნაცვლად ვახტანგისეულ ერთი სტამბისა, თუ არ მივი-  
ღებთ მხეველობაში ლითოგრაფიებს, ცინკოგრაფიებს,  
ოფსეტისა და ფერადი ბეჭდვის სტამბებს, თბილისში  
ოცამდე სტამბაა.

ღღეს ამ სტამბებში მომუშავენი ავრჩქლებენ იმ დიდ  
საქმეს, რომელსაც ემსახურებოდნენ პირველი სტამბის მუ-  
შაკები. ქართული პოლიგრაფიის ამ მონოწიგნს და მათ  
მომყოლ თაობებს 250 წლის მანძილზე ამაყად ეტყრათ  
მშვილობის მაუწყებელი ბუნდელით სიტყვის აღამა, რომე-  
ლიც მათმა შუღრტეულმა ნეკისყყამ და საქმისადმი სი-  
ყვარულმა ჩვენამდე მოიტანა.

ღღეს ამ აღმით ორი ათასი კაცი გაშლილ სოციალის-  
ტურ შევიბრებშია ჩაზბედი, ამის შედეგია ის, რომ ვარ-  
დამაღმის დრომა მუდამ ხელიდან ხელში გადაღის.







ბ. ლატარია გიორგი სააკაძე  
სალილოშო ნამუშევარი. 1959 წ.



გ. შვახგარი  
ოსვენციში არ განშორდება!  
საღიალში ნამუშევარი. 1959 წ.



Շանգ արքես

Էրզրումի ք.

# კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედება და ისტორიკური მრწავსი

წ. ისაკოვა



მოთლი ორნამენტული საუკუნის მანძილზე ქართული საწიფოტო მეურნეობა მეტად ნელი ტემპით ვითარდებოდა. მოხასულთობთ მეტად ლამაზი და საათოე სეზობად აღვილი, მაგრამ ნაკლებად ევრონიზირი ქართული შრიფტი არ ყოფილა დაჯგუფებული გარინტურებად, რაც დიდად აბრკოლებდა კვლევების (ასობების ზომების) გარანვლებას. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართული სასტამბო შრიფტი ჩამორჩა საერთაშორისო საწიფოტო მეურნეობის თანამედროვე დონეს. მას შეეძებ, რაც ქართული საწიფოტო კომპიტიტი დაარსდა, არსებული შრიფტების რეკონსტრუქციის საკითხი შედარებით უფრო მეტი ყურადღება მიექცა. ქართული ასობის გაუმჯობესების, გამზიდრებისა და გამრავალფეროვნებისათვის მუშაობა დაიწვეს ქართველმა გრაფიკოსებმა და პოლიგრაფისტებმა. სისტემატურად და ინტენსიურად მუშაობას ამ დარგში მზარდი პოლიგრაფიკა, მელოფ. დამსხ. მოღვაწე ბენო გორდენიანი, რომელმაც ჯერ კიდევ ამ 25 წლის წინათ მოახდინა ქართული შრიფტის რეკონსტრუქცია, ხოლო შემდგომ წლებში შექმნა ახალი შრიფტის «მეათეობის მთელი გარინტური, რომელიცაც, სხვათა შორის, 1954 წლიდან ითავსა ურნაბლი ასაბოთა ხელოვნება». თბილისში პირველი სტამბის დაარსების 250 წლისთავისათვის ბ. გორდენიანმა გააკეთა ვიწროთი მწარჩევის გარინტური «ვიწროთი შრიფტის შემწიხსა ბ. გორდენიანი ამოცანად ისახება ქართული ასობისათვის შექმარჩეუბენიან ისტორიული განვითარების მსვლელობაში მოპოვებული ლამაზი, ბუნებრივი მოხასელობა და ამასთან მიეღწია იმავე მეტი ევრონიზირებისათვის, ვიდრე აქვე დღემდე არსებულ ყველა სხვის ქართულ ასობეს. მართლაც, ახალი ქართული ვიწრო შრიფტი მწარჩეუბებს ქართული ასობის ძირითად ვარჯევსა, იძლევა 100% ევრონიზას, თითქმის უაანაბრდება რუსული შრიფტის ვიწრო გარინტურს და ამით დგება საერთაშორისო საწიფოტო მეურნეობის კანონზომიერი განვითარების სურათი სისტემატურ. ვიწრო ქართული შრიფტის სალონობით მატარებია—კვლევი 8 და 10 თავისი მოაგურლებით უკვე მზადდება ლინინგრადის ასოთა-მომხმებელ ქარხანაში.

ჩვენი ურნაბლი ამ ნიმუშები ვიწრო შრიფტით წაყობილია მეთაური დედა ვიწრო დღეებო» (შპონზე) და ეს ინფორმაცია (უწინონოდ).



# ანდრია ბალანჩივაძის მეორე სიმფონია

ვიკი ორჯონიკიძე



ნდრია ბალანჩივაძე ქართული სიმფონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელია. შალვა შველდითისა ერთად მან პირველმა დაარღვია ქართული ინსტრუმენტული მუსიკის ვიწრო ეთნოგრაფიული ჩარჩოები, გამსჭვალა იგი მნიშვნელოვანი მხატვრული იდეებით, თანამედროვეობის პრობლემატიკით. ის შემოქმედებითი პრინციპები, რომლებიც ყველაზე ნათლად ამ ორი სიმფონისტის შემოქმედებაში გამოვლინდა, შემდეგ მთელი ქართული სიმფონიზმის არსებით მხარედ იქცა. ეს არის სპეციფიკურ ნაციონალურ მუსიკალურ ენაზე, ქანრებსა და ფორმებზე დაყრდნობა ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ მისი ზოგადსაკაცობრიო კულტურის ტრადიციებთან სინთეზის ცდები. დღეს ყოველ მნიშვნელოვან ქართველ კომპოზიტორზე, იქნება ეს ა. მაჭავარიანი, თ. თაქთაქაშვილი, ნ. გუდიაშვილი თუ სხვები, შეიძლება ამისავე თქმა. მაგრამ თვით ქართული მუსიკალური კულტურა იმდენად ნაირსახეობანია, იმდენად უსაზღვროა ზოგადსაკაცობრიულთან მისი სინთეზის შესაძლებლობანი, ამასთან ქართველ კომპოზიტორთა ინდივიდუალური მონაცემები, შემოქმედებითი ინტერესები და მიდრეკილებანი იმდენად ურთიერთგანსხვავებულია, რომ საესკებით ნათელია მიზეზი იმ მრავალფეროვნებისა, რომლითაც ქართული სიმფონიური მუსიკა დღეს გამოირჩევა.

ამა თუ იმ ეპოქისა თუ ერის მუსიკაში სიმფონიური პრინციპები არ შეიძლება აბსტრაქტულად წარმოვიდგინოთ. ისინი განუყოფელია ასრია აზროვნების სხვა მხარეებისაგან, ყოფის, კერძოდ, მუსიკალური ყოფის სხვა ფორმებისაგან. სიმფონიზმი სინამდვილის მხატვრულ-მუსიკალური განზოგადების ერთერთი უმაღლესი ფორმაა. რა სინამდევსაც არ უნდა მიაღწიოს მან გარკვეულ ეპოქაში, რომელიმე ერის კულტურაში, ყოველი ახალი დრო მოითხოვს და განაპირობებს ახალი პრინციპების წარმოქმნას.

მაგალითად, კლასიკური მუსიკის უმაღლესი ფორმა, — ბეთოვენის სიმფონიზმი არ შეიძლება გამოვითქოთ გერმანული მუსიკალური კულტურისაგან. ვენური ფოლკლორი (გერმანული და სლავი ხალხების მუსიკის რთული სინთეზის ნაყოფი), საყოფაცხოვრებო მუსიკა, საფარავნების ბურჟუაზიული რევოლუციის დროინდელ კომპოზიტორთა შემოქმედება თავისებურ გარდატეხას პოულობს დღითივე გერმანულ მუსიკის სიმფონიზმში. ხალხურ საცეკვაო თუ სასიმღერო ფორმებში, საოპერო არიაში, მარშსა და უფერტურაში ვენური სიმფონიზმი (ჰაიდნი, მოცარტი) ჰგარბა პოულობს იმ ინტონაციურ-რიტმულ მასალას, მისი განვითარების კანონზომიერების, რაც დღეს ვენური სიმფონიზმისა და, კერძოდ, ბეთოვენის აზროვნების სპეციფიკურ მხარედაც მივჩანია.

ასევე საბჭოთა მუსიკის უდიდესი წარმომადგენლის შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში მძლავრი ნაკადით იჭრება თანამედროვე მუსიკალური კულტურის სხვადასხვა ფორ-

მები, თანამედროვე ცხოვრების პულსი და რიტმი. შოსტაკოვიჩი მათი მუსიკალური კატეგორიებზე გარდაქმნის, კომპოზიტორის მიზანთავს ძველ, წინაგადასული მუსიკალური ფორმების აღორძინებასაც, და ყველაფერი ეს კი განაპირობებს სპეციფიკურად შოსტაკოვიჩისეული სიმფონიზმის არსებით მხარეებს.

ქართული სიმფონიზმის დამოუკიდებელი მხატვრული რაობის პირველი პირობაა სპეციფიკურად ნაციონალური ინტონაციის და ფორმების შექმრა ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში. ოპერაში ამის პირველი შესანიშნავი მაგალითი, როგორც ცნობილია, უფროსი თაობის კომპოზიტორებმა ზ. ფალიაშვილმა, მ. ბალანჩივაძემ, დ. არაყიშვილმა და ვ. დოლიძემ გვიჩვენეს, რომლებმაც ქართულ მუსიკალურ თეატრში ხალხურ სიმღერასა თუ ცეკვას გზა გაუკაფეს. ქართული სიმფონიზმის განვითარებასაც ამ გზით წარიმართა. მაგალითად, შალვა შველდისი მუსიკალური აზროვნების რივი მხარეები ქართულ ხალხურ მასალასთან კომპოზიტორის მჭიდრო კონტაქტითაა განაპირობებული. მართლაც, გაიხსენეთ აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერების მღერე გაშალა, მელოდიკის რეჩიტატიული ხასიათი, მიღრეკილება ხანგრძლივი საორბანო ბუნქტებისადმი და იღა იმპროვიზაციული განვითარებისადმი, მომეტებულად მკაცრი, ეპიკური ტონი... რამდენი რამ აქვს მას საერთო შველდისი მუსიკასთან!

ხალხური საცეკვაო თუ სასიმღერო მასალა არამარტო ინტონაციური, არამედ თვით მასალის განვითარების ხერხების, კილოური აზროვნების, ქანრული ტრანსფორმირების წყაროა ქართველი კომპოზიტორებისადმი.

თავისთავად ცხადია, ქართული წყაროებიდან მომდინარე ინტონაციის, რიტმის, კილობრივი აზროვნების თავისებურებათა შემოჭრა ქართული სიმფონიზმის განუყოფელი და არსებითი მხარეა. ეს კი ის ფენომენია, რომლითაც ჩვენ განვსხვავებთ ქართულ მუსიკას სხვა კულტურისაგან. ქართული სიმფონიური აზროვნება დღეს წარმოუდგენლობია ასეთი სპეციფიკურად ნაციონალური მუსიკალური ფორმების გარეშე. მათი გადახალისება-განვითარება, მეტი შემოქმედებითი ინიციატივით გამოყენება დიდ პერსპექტივებს შეიცავს.

მეორე უმნიშვნელოვანესი მხარე სიმფონიური კულტურის თვითმყოფლობისა — ეს არის ინტონაციური მასალის თავისებურება, მისი უნარი — ასახოს თანამედროვე დაძაბვის ფსიქოლოგია, გადმოეცეკვს თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული მუსიკის ისტორია გარდაცემულმა როგორც ახალი ინტონაციური ენისათვის დაძაბული ბრძოლის ამალღვებელი სურათი.

სხვადასხვა კუთხეების ერთგვარი ისტორიული განკერძოება საქართველოში ხელს უშლიდა ინტონაციური მომოქცევის. აპირობებდა სიმღერისა და ცეკვის ვაერცელებების სფეროს ვიწრო ფარგლებს. მაგრამ რაოდენ განსხვა-

გებულ არ უნდა იყოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაერცელებული სიმღერების ხასიათი, თვით ზერცელე ანალიზიც კი გვარწმუნებს, რომ მათში მუსიკალური აზროვნების საერთო პრინციპები ვლინდება. შეიძლება ვილაპარაკოთ გურულ სიმღერებში პოლიფონიური საწყისების განასაუბრებელ მნიშვნელობაზე. ქართლ-კახური სიმღერების ამოშებულად რჩეიტატურულ თუ მეგრულ სიმღერის კონტრასტულ ხასიათზე. მაგრამ პოლიფონიური თუ პარმინიული პრინციპები, ინტონაციური ბუნება ამ სიმღერებში საერთოა. ამიტომაც ვახდა შესაძლებელი სხვადასხვა კუთხის მუსიკალური მასალის ერთ ნაწარმოებში გამოყენება. და ამიტომაც არ იწვევს ეს ხერხი ნაწარმოების სტილისტურ თუ ინტონაციურ სიჭრელეს. მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ინტონაციური გაერთიანება, რაც ნიშანდობლივი თვისებაა მთლიანად ახალი ქართული მუსიკისა, თითქოს ერთი რომელიმე კუთხური კულტურის საფუძველზე ხდებოდა, თითქოს, მაგალითად, გურული სიმღერა განიცდის ქართლ-კახურის ასიმილაციას, ანდა პირიქით. მე სავსებით ვიზარებ ა. წულუკიძის არსს, რომ ანალიზი ლიტერატურული ენის შექმნასთან კუმპარირებას ვერ გავგარკვევინებს.

ქართლ-კახურ სალაპარაკო ენასთან შედარებით დანარჩენები დიდიგეტებად და კილოკაებად გვევლინებიან, ხოლო სხვადასხვა კუთხის მუსიკალური ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური განუმეორებელი თვისებები კი ნაირფეროვნების შესანიშნავი პირობაა და თვით კომპოზიტორისაგანა დამოკიდებული ამა თუ იმ შემთხვევაში რომელ მასალას მისცემს უპირატესობას. „ლიტერა“ ისევე რჩება „დაისნი“ გურულ სიმღერად, როგორც „ქართული ხელი ხმალს იკარ“ ქართულად. „აბესალომ და თერზი“ და ორვე — ქართული მუსიკის შესანიშნავი ნიმუშია. ცხადვე უცხადესია, რომ ენაში სპეციფიკურად კუთხურის გამოყენება ეწინააღმდეგება ლიტერატურული ენის წარმოებას, მუსიკაში კი დამატებით შესაძლებლობებს ქნის სახის თვითონდადობისათვის და მუსიკალური ენის გამიღვრებისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტად გვაქვს საქმე ენის ინტონაციასთან, რომელიც სპეციფიკურად არც ერთ კუთხეს არ მიეკუთვნება და ამავე დროს ქართულია თავისი კილოური, რიტმული, მელოდური ბუნებით. ეს ინტონაცია პირობითად ზოგად ქართულად მიგვაჩინა. ვეფერი ელემენტის სიჭრებე შვედიძის მთელ რიგ პარტიტურებში სწლიად არ ეწინააღმდეგება მათ ზოგად ქართულ ხასიათს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ე. წ. „ზოგადქართული ინტონაცია“ უფრო მშინლი, ხშირად სხვადასხვა კუთხური თვისების გამაერთიანებელია და, ბოლოს, მისი შექმნისას კომპოზიტორები მეტ შემოქმედებით ინიციატივას ამაღლებენ. სწორედ ასეთ ინტონაციასთან გვაქვს საქმე ახალი ქართული მუსიკის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებებში, იქნება ეს ბალტი, სიმფონია, თუ კამერული ინსტრუმენტული ნაწარმოები.

ბალანჩივიძის შემოქმედებაში მკვეთრად გამოვლინდა ამ ზოგად ქართული ინტონაციის შექმნისადმი მისწრაფება.

სიმფონიური აზროვნების მესამე სპეციფიკური მხარე ის არის, რომ ახალი სიმფონიური პრინციპები წარმოიქმ-

ნებიან მხოლოდ თანადროულობის უმეადრესი პრობლემების გადაწყვეტისას. მხოლოდ თანამედროვე ცხოვრების არის მხატვრული განზოგადების ცდამ შეიძლება წარმოშვას ახალი სიმფონიური პრინციპები. ასეთია მიკაბრისა და ბეთოვენის, ჩაიკოვსკისა და შოსტაკოვიჩის სიმფონიონი. ამიტომაც არის, რომ დიდი სოციალური პრობლემები, ეთიკური იდეები, სიმფონიური აზროვნების გამოთქმაში მხარეა; არ არსებობს სიმფონიონი მათ ვარგულ. ინტელექტური საწყისი მუსიკაში, პირველყოფისა, სიმფონიონის მეშვეობით ვლინდება.

ველისა და ახლის, პროგრესულისა და რეაქციულის, შემთხვევითისა და არსებითის, კუმპარირებად ეთიკურისა და შენიღბული სიყალბის ჭიდილი განაპირობებს შემოქმედის წინაშე მდგარი ამოცანების განადიოზობას. მხადრი კონფლიქტი ამ კატეგორიებს შორის, მათი შეურავებული წინააღმდეგობანი, განსაზღვრავენ, მაგალითად, შოსტაკოვიჩის სიმფონიონის უნეგრესალურ ხასიათს. — შოსტაკოვიჩი კონფლიქტის თავისი შემოქმედებით პასუხი გაცეს ემოქის ყველაზე რთულ და გადაუღებელ ამოცანებს. შოსტაკოვიჩის მუსიკა უძარღვი და სისხლნაგლები იქნებოდა, რომ მას ვერად ეხება ხელოვნების მთავარი მისიისათვის: პრობლემატიკის პერიფერიაზე არასოდეს არ შექმნილა სიმფონიონი. მე სრულეობითაც არ ვცდილობ ქართულ მუსიკას თავს მოვაგვიო შოსტაკოვიჩის პრობლემატიკა და ამ კომპოზიტორის მხატვრული ხედვა. საზოგადოდ, ეს შემოქმედელიცაა. ცხოვრება იმდენად მრავალფეროვანია, რომ იგი თავის თავშივე შეიცავს დაუსრულებელ შესაძლებლობებს თავისებური მხატვრული პოზიციის შექმნისათვის (გვიხსენებთ თუნდაც რუსულ საბჭოთა მუსიკაში მეორე გიგანტის — პროკოფიევის შემოქმედება, თავისი პრინციპებით, სახეობით თემატიკური შინაარსით, პოლარულად დაპირისპირებული შოსტაკოვიჩის სამყაროსადმი). მაგრამ მე მწამს, რომ ეროვნულ შემოქმედებაში მხოლოდ ინტელექტური საწყისის და თანადროულობის გამაძარბებელი განცდის სინთეზის უფრო მაღალ დონე, ვიდრე ეს ჩვენს მუსიკაში ოდესმე ყოფილა, მოგვეცეს ზოგად საკაცობრიო მნიშვნელობის ახალ ეროვნულ სიმფონიურ კულტურას.

რასაკერავეია, ქართული მუსიკის თანამედროვე ეტაპზე უმარტებულო იქნებოდა მისთვის ესოდენ დიდი ამოცანა დავეყვისრებნა და ამის მიხედვით გვაქვდა მიგვეკვლია ახლისათვის ქართულ მუსიკაში. ქართული სიმფონიური მუსიკა ახალზრდა კულტურაა, მას ახლა უხდება ეროვნულისა და ზოგად კაცობრიულის სინთეზის გზების ძიება, ახალი ინტონაციური ფონდის შექმნა, ნაციონალური სინამდვილის მხატვრული განზოგადება. მაგრამ ახალი სიმალეებისაკენ შეუნელებელი სწრაფვა წარმოუდგენელია თანამედროვეობის სულ უფრო და უფრო რთული ამოცანების გადაჭრის გარეშე. ყოველ ნაწარმოებში ახალი პრობლემების გადაწყვეტის სიღრმე და ხარისხი ჩვენთვის კრიტერიუმი უნდა ვახდეს ნაწარმოების მნიშვნელობის განსაზღვრისას. ამ თვალსაზრისით ვიხილავთ ჩვენ ა. ბალანჩივიძის მეორე სიმფონიონს.

ჩვენმა ახალმა საბჭოთა სინამდვილემ ა. ბალანჩივიძის შემოქმედებაშიც გამოავსახა. თანამედროვეობის გმირი რელიეფურად გამოხატული მის ორსველ სიმფონიაში. თავის გმირს კომპოზიტორი ვიციყენებს უფრო მეტად მოქ-

მედლებსა და მოძრაობაში მყოფს, ვიდრე განცდებში ჩა-  
ძირულს. ბალანჩივადის გმირისათვის უცხო არაა ვაკე-  
ურ-პროლოგი მისწრაფებები. მის სულიერ სამყაროს  
წინასწორება ახასიათებს, ლირიკას — თავდაპერილობა  
და სიწრფელო. ამ მხრივ ორივე სიმფონიის ჩანაფიქრს  
შორის დიდ ერთიანობა იგრძნობა. მაგრამ ანალოგია  
მარტო ამით როდი ამოიწურება.

ორივე სიმფონიაში სახე ვითარდება სკერცოზულ-ლი-  
რიკული განწყობიდან დრამატული ექსპრესიით აღებული  
საწყისამდე. თითქოს წინააღმდეგობანი, რომელიც ვადა-  
ლახვა გმირს უძღვება (ეს მოტივი კი საზოგადოდ მთავა-  
რია სიმფონიურ კონცეფციებში). იწვევენ დიდ ძაბვებს  
თვით გმირის სულიერ ცხოვრებაში, განცდების ეტერეუმ-  
ვა-გაძლიერებას. მოვლენების უშუალო აღქმას, ლალ  
სწრაფვას ენაცვლება მიზანდასახული ბრძოლა, სულიერ  
ძალთა შობილობაცია, მაქსიმალური ენერჯის გამოვლენა.  
პირველ სიმფონიაში ამ საკვანძო მომენტებს გმირის სახის  
განვითარებაში ვაძლიერებენ პირველი ნაწილის დამუშა-  
ვების კულმინაცია და მეოთხე ნაწილს: მეორეში — მთლი-  
ანად მესამე ნაწილს. ორსვე სიმფონიაში სახის დრამა-  
ტიზაცია არ იწვევს გარე ფსიქოლოგიზმს, ავადმყოფურ  
ემოციებს. პირიქით, გმირის შინაგანი სამყაროს მთლი-  
ანობა საზოგადოდ დამახასიათებელია ა. ბალანჩივადის  
დრამატული კონცეფციებისათვის.

მისი სიმფონიების გმირის სწრაფვა იდეალისაკენ წი-  
ნაღმდეგობებს აწყვდება ა იწვიან მომენტებში ტრაგი-  
კულ ხასიათს იღებს. ხალხურისა და ინდივიდუალური  
საწყისების ერთიანობა არა მარტო სიმფონიის იდეაშია  
გამოხატული, არამედ თვით მასალის ხასიათში, რომელიც  
ქვემარტო ხალხურობით გამოირჩევა. ა. ბალანჩივადის  
სიმფონიების ინტონაცია არსებითად ხალხურ წყაროებს  
უკავშირდება არა მარტო გენეტიკურად, არამედ განწყო-  
ბისა და ესთეტიკური იერის თვალსაზრისითაც. რა თქმა  
ცა უნდა გამოხატოს კომპოზიტორმა, იგი მუდამ მშობლი-  
ური მუსიკის სტიქიასა მინდობილი და მისი მეშვეობით  
უკავაჯს გზას თანამედროვეობას მუსიკალურ სახეებში.

მოქმედებაში გმირის ჩვენებისაკენ მისწრაფება აპიო-  
ბებს კომპოზიტორის არჩევანს თემატიკურ მასალის შერ-  
ჩევნისა: კომპოზიტორი ხშირად იყენებს მარშისებურ თე-  
მებს, შეძახვით ინტონაციებს, სამწყობრს, ლაშქრული  
სიმღერების რიტმებსა და მელიოდურ მიმოქცევებს. ე. ი.  
აქტიურ მუსიკალურ სახეებს, რომლებიც დაკავშირებული  
არიან მოძრაობასთან, დამატებითად ვაძლიერებენ ემო-  
ციურ დინამიკას. როგორც ქვემარტო სიმფონიები, ან-  
დრია ბალანჩივადე თვით თემების სახეცვლილებაში ვკვი-  
რვებებს მხატვრული სახის განვითარებას. მხატვრული სა-  
ხეები მუდმივ მოძრაობაში არიან მოცემული მის დრამა-  
ტულ კონცეფციებში. ორივე სიმფონიის მანძილზე ან-  
დრია ბალანჩივადე სახეთა იმდენად რადიკალურ ტრანს-  
ფორმაციას ახდენს, რომ სკერცოზულ-ლირიკული საწყისი  
გმირულ-ვაკუტურის სახით გვევლინება პირველ სიმფო-  
ნიაში, ხოლო მეორეში კი პათეტიკურ-დრამატულ ხასიათს  
იღებს. ამ ორ უაღრესად ორიგინალურ ნაწარმოებს თით-  
ქონ ერთი გმირი ჰყავს სხვადასხვა ასპექტში, დრამატულ  
კონცეფციებში წაყენებული. მაგრამ მთელი რიგი ფაქტორების  
თანადამთხვევის მიუხედავად, რასაკვირველია, შეუძლებელ-  
ია ორი სიმფონიის შორის იჯივობის ნიშანი დასვით.

მეორე სიმფონიის მთელი რიგი თავისებურებანი გააჩნია/  
რომ არაფერი ვთქვათ ინტონაციურ მასალაზე. მისი უაღ-  
რესეს განხილვა და განვითარების პრინციპებს უსრულეს მანა-  
წილის შიგნით (უკვე ეს საკმარისი პირობა იყო თავისე-  
ბური სიმფონიური ნაწარმოების შექმნისათვის), თვით  
ციკლის კომპოზიცია, მისი ცალკეული დრამატურგიული  
ფუნქცია მხატვრული ამოცანის გადაწყვეტისათვის სრუ-  
ლიად ახალ მიდგომას ამკადანებს.

როგორც უკვე ცნობილია, პირველ სიმფონიაში ციკლის  
კომპოზიცია ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. სიმფონი-  
ას თითქოს ორი ცენტრი გააჩნია — პირველი და მეოთხე  
ნაწილი. პირველი ნაწილი მთლიანად მოძრაობაზეა აკე-  
ბული, მეოთხე კი დიდებულად ფრესკაა. მხოლოდ ინტონა-  
ციური ძაფები, როგორც ერთი ორგანიზმის სისხლის ძარ-  
ღვები, აკავშირებენ ამ ორ პოლუსს. პირველ სიმფონიაში  
სიმძიმის ცენტრი ორივე ნაწილზე თანაბრად ვადაწილე-  
ბული. მეორე სიმფონიაში კი იგი მთლიანად მესამე ნა-  
წილზეა გადატანილი. პირველი ორი ნაწილი თავისებური  
მისაღვრობა მესამე, ცენტრალური ნაწილისადმი. ხოლო  
ფინალი კი პატარა ეპილოგს, თავისებურად დანასტავს წარ-  
მოადგენს. მდორე ტემპისა და ჰიმნურ-სადღესასწაულ-  
ხასიათის მიუხედავად, იგი განსხვავდება პირველი სიმ-  
ფონიის ფინალისაგან არა მარტო მასშტაბით, არამედ  
დრამატურგიული ფუნქციითაც. პირველ სიმფონიაში ფი-  
ნალი ინტონაციური მასალის საბოლოო და ყველაზე უფ-  
რო მაღალი სინთეზის სფეროა, აქ კი ეს ფუნქცია დაკის-  
რებულია აქვს მესამე ნაწილს. მეორე სიმფონიის ერთ-ერთი  
თავისებურებაა აგრეთვე ლეიტმომის გატარება მთელი  
სიმფონიის მანძილზე, ლეიტმომტივად კომპოზიტორმა კა-  
ხური საფერხულის „სათამაშოს“ მელიოდა გამოიყენა.

ლეიტმომის, როგორც, ცნობილია, პროგრესული ჩანა-  
ფიქრის შედეგს წარმოადგენს და წმინდა ინსტრუმენტულ  
მუსიკაში ვარკველად იღვის ადექტად ვევირვებს. მე-  
ორე სიმფონიაში ა. ბალანჩივადე მთელი ციკლის მანძი-  
ზე თანმიმდევრულად იყენებს ლეიტმომტივს. მე არ ვიტ-  
ყვდი, რომ აქ იგი რომანტიული მუსიკის ტრადიციებს  
მისდევს. მისი ნაწარმოების ლეიტმომტივი არ წარმოად-  
გენს მთავარ თემატიკურ ბირთვს. ყოველ ნაწილში კომპო-  
ზიტორი იყენებს განსხვავებულ ინტონაციურ მასალას,  
ხოლო ამ მასალას კი, როგორც წესი, განვითარების კულ-  
მინაციურ მნიშვნელოვან ჩაერთვას ლეიტმომტივი, რაც თითქოს  
მთელი თემატიკური განვითარების საბოლოო მიზანია. ამ-  
რიგად ლეიტმომტივის ინტონაციაში გამოხატული იდეა  
დომინირებულ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ რამდენადღე  
ციკლის ყოველ ტემპზე თვით ლეიტმომტივი სახეცვლილ-  
ებას განიცდის, ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში  
იგი სხვადასხვა შარს გამოხატავს. პირველ ნაწილში, მა-  
კადანად, ლეიტმომტივი ლირიკულ საწყისს ამკვიდრებს  
და უპირისპირდება სკერცოზულ მარშისებური მთავარი  
თემიდან მომდინარე აქტიურ ქმედით საწყისს. მეორე ნა-  
წილში იგი ჩნდება თემა-სტვის კულმინაციურ წერტილში  
და მის ხასიათს ანეითარებს. მესამე ნაწილში იგი უპირის-  
პირდება ექსპოზიციის ორსვე თემს და ვარდატება შე-  
აქვს კულმინაციაში. მეოთხეში კი ჰიმნურ სადღესასწაულ-  
ურ შეხაზილში ორგანულადაა ჩაქსოვილი. ლეიტმომტივი,  
ვარკველად თვალსაზრისით სიმფონიის ფსიქოლოგიური  
მოტივია, მახის მიზანსწრაფვის შედეგია. მისი უფრო ტემ-



„შვილკატა“ (მლადტი)

რ. თარნან-ჭიჭუაძე



ბრულ-ტემპური, ვიდრე ინტონაციურ-პარამონიული სახე-  
ცვლილების მეშვეობით, კომპოზიტორი გვიჩვენებს გმირის  
მისწრაფებას, სულიერი ცხოვრების გარდაქმნას უშუალო  
ადრე აღძვრის, მშვენიერად ტკბობიდან — ცხოვრების  
დრამატუზმის შვერდნებამდე.

მხატვართა სხვის ინტენსიური განვითარება მეორე  
სიმფონიაში ნაწარმოების პირველივე ტაქტებიდანვე  
იგრძნობა. Allegro-ში სახეთა კალენდრისკომპოზიციური ცვა-  
ლებადობა კანონიერი ხასიათს იძენს. კომპოზიტორი  
ცილილოდ ურთიერად საწინააღმდეგო ვანწყობილებების  
გაერთიანებას. სილამადა და სასიხარულო შეპასობებს  
ცვლის ჰერეტიკით ვანწყობილება, სერიოზულ რეჩიტა-  
ტივს — სინორჩის მჩქეფარებას. ასეთია ჰუმბოლდტის მსოფ-  
ლდებმა: რეკვირებზე მოელი თავისი სისასით მრავალფერ-  
ოვან ტექსტების იწვევს. გმირი მისწრაფებს ერთიანად  
აღიქვას იგი, ვულწრფელად განიცდის და ეტრფის სილა-  
მასზე, რომელიც მალავარდ შვარხნებს მის ღირსიულ  
განძრებებს. პირველ ნაწილში ყოველ მოძრაობა უშუა-  
ლობითა გამსჭვალული და გამბედავი სიტუაციის დამახა-  
სიათებელია. მომღვწეო ნაწილი Andante quasi adagio  
ახალ ეტას აღნიშნავს გმირი სხვის განვითარებაში. მეტი  
გამიზნულებითაა აღბეჭდილი მისი ყოველი მოძრაობა. წუ-  
თიერი ჩაფიქრება შესანიშნავადა გადმოცემული მთავარი  
თემის პირველ გატარებაში — იგი თითქოს დაძაბულ ინ-  
ტელექტურ ძიებებზე მივითითებს, ბუბელასთან აღარ  
გადარბის მოვლენიდან მოვლენამდე, აღარ ფანტავს ძა-  
ლებს. მის ხასიათში შეუბუფარი მიზანსწრაფვა შემოქმენა.  
ლექტორტივი ახალ აზრს იძენს და უფრო სულიერ სიმ-  
ღიდრებს გამოხატავს, ვიდრე ნათელი ლირიკის პირველ  
სიხეს. დამაჯერებლად და ვანწყობილება გადმოცემული  
მეორე ნაწილის მთელ მანძილზე თემა-სიღის თანდათა-  
ნობითი განვითარებით: თითქოს ახალი სიმადლებებისკენ  
სწრაფვა წინააღმდეგობებს აწყვდება და ზამზარა თანდა-  
თანობით იკუმშება. სახეთა გამამფრებელი მუხლა ძალთა  
უკიდურეს დაძაბვას იწვევს მესამე ნაწილის პირქმულ დრა-  
მატუზმში. მასში მოვლენათა განვითარების კულმინაციური  
წერტილი აღიქმება, როგორც დრმა ტრაგედია. წინა-  
აღმდეგობის დაძლევა ამავე დროს სულიერ ძალთა ყვე-  
ლაზე დიდი გამოცდაა. თვით მუსიკის, მისი მართობის ძა-  
ლამ უნდა დაგვარწმუნოს იმ ამოცანების სიდიადეში,  
რომლებიც გმირის წინაშე დგას. ბალანჩივასი მეორე  
სიმფონიის მესამე ნაწილის კულმინაცია ამ ხასიათისაა —  
როგორც მძლავრი ფოკუსი, ისი მიზნულად იგი ინტონაცი-  
ური მასალის მთელ დრამატულ ენერჯის. მის ტრაგედი-  
ულ გარდასახვაში მთელი სიყოცხლითა ჩანს გმირის გან-  
ცდათა სიღრმე. იდეალის განხორციელებებისკენ მისწრა-  
ფების ძალა. მესამე ნაწილი პირამიდის უმადლესი წერ-  
ტილია. ამიტომ საესებით ბუნებრივად მიმართა, რომ  
მეორე სიმფონიის ხასიათი განსაზღვრული იქნას როგორც  
დრამატული, რადგან დრამატული გამამფრება სხვის გან-  
ვითარების მთავარი მომენტე აღმოჩნდა და რადგანაც  
გამამფრების პირობებში სიმფონიის ლექტურთა გამო-  
სახველობად და გმირის სულიერი საშაყრის გადრამატი-  
მისქიმუშს აღწევს. ამან განაპირობა ფინალის თავისებუ-  
რებანი, მისი ხასიათი, თითქოს დაძაბული ბრძოლის შემ-  
დეში გასწრაფავს, ამომავალ მუხეს ხვედრება ადამიანი. სა-  
დღეო ეპიფანოლ-ნაწილთა ეს დღე. კომპოზიტორი მუსიკა

ადამიანური საწყისის გამარჯვების, რეალობად ქმნილი  
ოცნების ხობტაა. სიმფონიის იდეის განზოგადება ტრადი-  
ციული მონუმენტური ფინალის საშუალებით უადვილი  
იქნებოდა მეორე სიმფონიაში, რადგანაც მესამე ნაწილის  
კულმინაციის შემდეგ ახალი დინამიური ტალღა საფრთხეს  
შეუქმნდა კომპოზიციის მილიანობას. კომპოზიტორმა  
დაუპირისპირა ფინალის ჰერეტიკით ხასიათი წინა ნაწი-  
ლების დინამიკას, და ეს კონტრასტიკ საესებით გამართლ-  
ბულია. ეს ჰერეტიკა, მომავლის ხილვა იმ სიმადლებიდან  
ხდება, რომელთაც გმირი მესამე ნაწილში აღწევს.

მიცემული ინტონაციური მასალის უსტაბილური განვი-  
თარება ა. ბალანჩივასის მუსიკალური სტილის ერთ-  
ერთი ძლიერი მხარეა, რომელიც მეორე სიმფონიაში საე-  
სებით გამოვლენდა. სწორედ ეს აძლევს კომპოზიტორის  
საშუალებას დამაჯერებელი კონცეფცია და მწუხრიბი ფორ-  
მა შექმნას. ამიტომაცაა, რომ მეორე სიმფონიაში განსა-  
კუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს არა ექსპოზიციური,  
არამედ დამუშავებითი ნაწილები. ცხადია, განვითარების  
შესაძლებლობანი ექსპოზიციური კონცეფციით ვაფრთე შეზ-  
ღულდულია, ვიდრე დამუშავებაში. მეორე სიმფონიაში  
შეიმჩნევა დამახასიათებელი ტენდენცია: ექსპოზიციური  
ნაწილები ლაკონური ხდება, დამუშავება კი პირიქით —  
გრანდიოზული მასშტაბებით გამოირჩევა, ხოლო რებრი-  
ზები იმდენად შეკუმშულია, რომ ისინი პატარა კოდა-  
დასკენის შთაბეჭდილებას სტოვებენ. ეს საესებით კანონ-  
ზომიერი მოვლენა, რადგანაც სხვის გარდასახვის პროცეს-  
სი კომპოზიტორისათვის მთავარია. ამასთან ერთად განვი-  
თარების ზერხების არსნალი კომპოზიტორის ფრიალ დიდი  
აქვს. მაინც უპირატესობა ენიჭება ისეთ ზერხს, რომელსაც  
პირობითად ვარიაციულ-დამუშავებითი შეიძლება ვუწო-  
დოთ. დამუშავებაში ექსპოზიციის მთელი მასალა რღებს  
მისწრაფილებას. აქ აშკარადვეა თემაზე შორის ფარული  
წინააღმდეგობანი, რომლებიც ექსპოზიციური უსტატურად  
იყო დაფარული. ასე, მაგალითად, მეორე ნაწილში ფლეი-  
ტის ორნამენტებიდან თანდათან გამოიკვირება სხარტი,  
ენერჯული მოტივები, რომლებიც, მთავარი თემის ინტო-  
ნაციასთან დაპირისპირებისას, დინამიკას აძლიერებენ.  
ასევე მესამე ნაწილის დამუშავებაში მძაფრდება უნიფი-  
მდევობა ექსპოზიციის ორი თემის შორის: ერთი შეხედვით  
უნიფიკაციულ ფაქტორებზე — მოგრეზარისხივანი თემატიკური  
მასალა დამუშავებაში აშკარავეს აქტურ დრამატურგი-  
ულ ფუნქციას (ასეთია, მაგალითად, სამგვერდანი ფანფა-  
რული მოტივი მესამე ნაწილში, რომელიც განვითარების  
პროცესში მეორეხარისხივანი ელემენტებიან მრისხანე  
შეპასობად გარდაქმნება).

ა. ბალანჩივასი საშუალოდ უპირატესობას აძლევს  
სხარტ, პატარა თემებს, ეს კი მათი მთელი ზომით გამო-  
ყვეების საშუალებას ქმნის. თუმცა რაც შემხებვევებში თე-  
მებიდან ცალკეული დამახასიათებელი ინტონაციებიც გა-  
მოიყოფანი, რაც ხელს უწყობს თემატიკური ენერჯის კონ-  
ცენტრაციას (ამ მოვლენას უფრო ხშირად კულმინაციის  
წინა ეტაპებზე ვხვდებით ხოლმე. ამიტომაც კულმინაციის  
თემის გატარება ახალი ინოვაციის შთაბეჭდილებას სტო-  
ვებს, მით უმეტეს, რომ თანმზღები ფონი მეტი პარამონ-  
ული სისასიით და ქლერადობის სიძლიერით გამოირჩევა).  
მეორე სიმფონიის ორკესტრული ენა ფრიალ დამახასია-  
თებელია ა. ბალანჩივასის სტილისათვის. კომპოზიტორის



ინსტრუმენტობა სასოციალურ ძლიერ შთაბეჭდილებას სტრუქტურა. კოლონიალური ეფექტებისადმი სწრაფვა ბალანსირებას ნაკლებად ახასიათებს. ამ პრინციპს მან არ გადაუხვია თვით ისეთ პიესაჯურ ოპუსებშიც კი, როგორც არის „როქს ტბა“, „დენარი“, „თბილისის ზღაპრები“. კომპოზიტორი მეორე სიმფონიამაც მომიზინებ იყენებს ტემბრალურ საღებავებს, აქცენტი თემატიკურ ვაშლავზე გადატანული და საორკესტრო ფერების განაწილებისას ამქვეყნის უტყუარ დრამატურადღე აღლოს.

ყოველი ნაწილი ინდივიდუალური საორკესტრო კოლორიტით გამოირჩევა. პირველ ნაწილში განწყობილობათა კალეიდოსკოპორობა შესაბამისად აირკლებს საორკესტრო ფერების კაბრიულ ცვლაში. მთლიანად კოლორიტი ღიაა, კაშკაშა. კომპოზიტორი იშვიათად იყენებს ლითონის ჯგუფის ქლრდაღობის დინამიკას. ინახავს მას გენერალური კულმინაციისათვის მესამე ნაწილში. ჯგუფების ნებისმიერი დაბირისპირებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ხის ჯგუფის სოლოებს; ფაქტურ ორნამენტები კოლორისტული საწყისის გაძლიერების თავისებურ საშუალებებს წარმოადგენს. მეორე ნაწილში ტემბრალი დინამიკა აღმავალი ხაზით ვითარდება. მესამე ნაწილი, ორკესტრული გადწყვეტის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო რთულია. მე ფიქრობ, რომ რამდენადმე ეპიკანთრული მისაღვამი კულმინაციასთან ანელებს საორკესტრო გამოხისხვლობასაც. თვით კულმინაცია კი უფერალობის სიმპლავრის მიხედვით უაღრესად შთაბეჭდილია. პირველი სიმფონიის სონატური allegro-ს კულმინაციის მსგავსად, კომპოზიტორი აძილებს ორკესტრის თავის შესაძლებლობის მაქსიმალურ ვიკლოს. ლითონის ელვარება და გამკვეთი ხმა სიმფონიის ლეიტმოტივს ამკვიდრებს მაშინ, როდესაც მისი ცალკეული მიმოქცევისისაგან ნაქსოვი ფიგურაცია სიმბიანებში და ხის ჯგუფში დაძაბულ დინამიურ ფონს ქმნის. კარგადაა მოხაზული ამავე ნაწილში პირველი თემის ტემბრული გარდასხვავებრება — სიმბიანთა იღუმალი ბიციკატეობიდან ლითონის მრისხნე რეპლიკებამდე. ოსტატურადაა გაორკესტრებული მეოთხე ნაწილი. ინტიმურს განცდის და ჰიმნურ-საზეიმო განწყობილობის სინთეზი აქ ტემბრული განვითარების ლოჯიკათა განაპირობებული, რომელსაც ერთგვარად ვაგერის „ლოფერანტი“ შესავალს შევადარებდი: შორს იღუმალ ლავერდში ციმციმს იწყებს მომავალი დღის პირველი სხივი — სიმბიანთა ტრემოლოზე ფეფერების მელოდა; ასევე იკარგება, იფერფლება ჰიმნის უფანასნელი პანგები: სიმბიანთა მაღალ რეჟისტრში — თითქოს თანდათან ვმორღებთ მოქმედების არე-არს — ვანგლებს ეხოლ ვეგსმის...

მეორე სიმფონიაში ა. ბალანჩივაძემ ერთხელ კიდევ დადასტურა თავისი პოზიციების შეერყევილობა პარმონიული აზროვნების სფეროშიც. მე ვერ ვიტყვი, რომ თანამედროვე ქართულ მუსიკაში პარმონიული აზროვნების პრინციპებს მონოლოთურება ახასიათებდა. საეკლესიოშია, რომ სხვადასხვა კომპოზიტორების ნაწარმოებთა პარმონიული სტრუქტურის შედარებისას განსაკუთრებით მკვეთრად გამოკვეთა თვალში მუსიკალური ენის ტრადიციულობა, თუ პირველი — ახლებურება, რომელიმე თანამედროვე სტილისადმი მიდრეკილება. განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა შორის იჩენს თავს მისწრაფება

შოსტაკოვიჩის თუ პროკოფიევის, იმპრესიონისტების მიღწევათა გადმონერგვისათვის ერთგულ ნიადაგზე. მარცხსა და ლეკ, პარმონიული განვითარების რესურსები იმდენად მიმზიდველნი არიან და შთაბეჭდილნი, პარმონიის ისეთი გამოხატვები ძალა გაჩნია, რომ განსაკუთრებით იმპრესიონიზმის ეპოქიდან დაწყებული მუსიკალური ენის ელემენტებისგან იგი თითქმის ყველაზე უფრო უცილობელ პროგრესს განიცდის ორკესტრული აზროვნებასთან ერთად. დღეობისა და რადიოს, პროკოფიევის და ბარტოკის, ჰინდემიტისა და შოსტაკოვიჩის შემოქმედება ახალი ეტაპია პარმონიული აზროვნების განვითარებაში. მათი მიღწევების გაუთვალისწინებლობა უფრო ზღუდავს კომპოზიტორის ფანტაზიას, ვიდრე მის ორიგინალობას მოასწავებს. სამწუხაროდ, პარმონიული სიახლენი ხანდახან იმდენად მხატვრული ჩანადირის, ორიგინალური კონცეფციის ნაყოფი არ არის, რამდენადაც ნოვატორად ვაშჩენის ცარიელი სურვილის შედეგი. ამას აწაფერი კარგი არ შეიძლება მოჰყვეს პირადად კომპოზიტორისათვის, ვერად ეპიკონიზისა და ეკლექტიზმის, თუმცა როგორც ექსპერიმენტმა შეიძლება მისტიკურად დადგინდოს რომელი უფროსი, რადგანაც თვით მარცხიც არ ახლის ძიების გზაზე საეკლესიო ფაქტს უნდა წარმოადგინდეს.

მით უმეტეს სანატრესია ა. ბალანჩივაძის შემოქმედებით პასუხი იმ ფარულ დისკუსიაზე, რომელიც წარმოებს ქართულ კომპოზიტორთა შორის და ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოების გამოჩენისთანავე წვევავდა. თუმცა სუბიექტურად მე იმათ რიგებს ვეკუთვნე, რომელნიც პარმონიულად ერის რადიკალური განახლებისაკენ, გამდიდრებისაკენ მოუწოდებენ კომპოზიტორებს, მაინც არ შემიძლია არ აღვნიშნო მნიშვნელობა ა. ბალანჩივაძის მეორე სიმფონიისა, რომელშიაც ერთხელ კიდევ დამაჯერებლად იქნა დემონსტრირებული ქართული ხალხური სასიძლეო კულტურიდან მომდინარე კანონზომიერებათა შემოქმედებითად განვითარების დაუსრულებელი შესაძლებლობანი. მტკიცედ იცავს რა მაკორ-მინორის ფარვლებს, ვაუბრის რა აკორდიკაში ქრომატიკულ ჰიპერტროფიას, ა. ბალანჩივაძემ აღწევს პარმონიული სტრუქტურის დინამიკას, ე. ი. იმას, რაც ყველაზე უფრო ძვირფასი და სასუკავარი უნდა იყოს სიმფონისტისათვის. ცალკეულ აკორდებს თავის თავადი მწვენიერება უკან იხებს მათი ფუნქციონალური სინახილის წინაშე. სიმფონიის პარმონიული ენა რამდენადმე აკვებს კოლორისტის მხრივ, სამაკვიროდ მკავიონობა და სიცხადით გამოირჩევა. ასევე სიცხადე ახასიათებს სიმფონიის სტრუქტურას. კომპოზიტორი მიისწრაფვის მკაფიო გრადაციები შექმნას ფორმის ნაწილებს შორის. მუსიკის დენად ხასიათა, თემატიკური ურთიერი გადასვლები ხელს არ უშლის ფორმის სიმწყობრეს, მისი ნაწილების დრამატული ფუნქციების ვარკვევილობას. განსაკუთრებით ორიგინალურია მესამე ნაწილი, რომელიც კლასიკური სონატური ალერგოს თავისებური გადაწყვეტის შესანიშნავი ნიმუშია.

თავისებურია სიმფონიის პირველი ნაწილი. მისი ექსპოზიცია ორი თემის დაბირისპირებაზე აგებული. Tutti-ბრწყინვალე ხმოვანებაში მხიარულად ჟღერს მთავარი ლა-მაკორდიული თემა. მის ყოველ მიმოქცევაში სიცოცხლე ფუტქს: მუხუკური გზება-სიმფონიის პირველივე ტაქტებშიდან მკვიდრდება. მთავარი თემა თავისი ლალი სკერცო-



ზული ხასიათით ტიპიურია ა. ბალანიჩვიძისათვის: სხარტი და მონლი, იგი შესანიშნავ მასალას წარმოადგენს შემდგომ ინტენსიფიკაციისათვის. დამხარე პარტია უპირისპირდება მას ქვერეტილი ლირიკული დაწყობებით. კლარნეტის მელოდია ალტების, არფებისა და ფაგოტის ლო-დივისის საორღანო ბუნქტზე ინტონაციურად ემოციურ კონტრასტს უქმნის მთავარ თემას. ვიოლინოებში ამ თემის ახალი გატარებისას ხის ჯგუფში ინტონაციურად მასთან დაკავშირებული ახალი ფიგურაციები წარმოიქმნება. სასოფლოდ ა. ბალანიჩვიძისათვის დამახასიათებელია ფიგურაციული ელემენტის მეშვეობით თემატიკური მასალის განვითარება. ამ სიმფონიაშიც იგი ამ მეთოდს ხშირად იყენებს. ეს ვარეშობა ღლი სინდელზე ქმნის შემხრულელების წინაშე, რადგანაც ძნელია დაუსრულელები ორნამენტულ ხვეულებში ძირითადი არ დაკვარგოს, არ დაქუც-მოსი მთლიანი ნაკვობა, გასყვე სახეთა განვითარების მთავარ ხაზს. ორივე თემა სიმფონიის გვირს ახასიათებს, გვიჩვენებს მას მოქმედებაში და მის შინაგან სამყაროს. ექსპოზიციური ნაწილის ლაკონიურობის მიუხედავად, კომპოზიტორი ახერხებს თემების კილოურ-ტემბრულად გადსხვავებას, ამტკიცებს ძირითადი თემის ინტონაციას.

თემატიკური კონტრასტი არ ეწინააღმდეგება საერთო განწყობილების სილადეს, სკერცოზულ ხასიათს და თბილ ღირებას. ექსპოზიციას მხოლოდ ორ იმპულსს შეიცავს მიხედნული არაბეჭების შექმნისათვის დამუშავებაში, სადაც იხვეწება და დრამატიკა, უფრო რელიეფური ხდება ორი საწყისის კონტრასტი. სახის სწრაფი ევოლუცია ვარიაციებში აჯგუშა ფიქსირებულ.

თვითუღელ ვარიაციას ინდივიდუალური სახე და თემატიკური განვითარების საკუთარი მიმართულება აქვს. ხანდახან თემატიკური მასალა იმდენად განსხვავებულია უშუალო წინამორბედისაგან, მელოდიური განვითარება იმდენად ინტენსიურია, რომ უფრო სწორი იქნებოდა ამ ვარიაციებისათვის (მათი რიტმიკი და დამუშავებაში ექვსს აღწევს) დამუშავებითი ეპიზოდები გვეწოდებინა. პირველსავე ვარიაციაში ერთმანეთს უპირისპირდება სკერცოზული საწყისი (სიმებიანი ჯგუფი) და კლარნეტის რეიტატივი. მეორე ვარიაციის თემა ღლი, კეკლეცი ხასიათისაა. მისი მელოდია მთავარი თემის ტრანსფორმაციის შედეგადაა მიღებული. კომპოზიტორი თანდათან ანაწევრებს თემას და ცალკეულ მოტივებს ერთმანეთს უპირისპირებს. მესამე ვარიაციას საფუძვლად უდევს დამხარე პარტია. მისი მეშვეობით კვლავ ლირიკული ნაკაი იჭრება. მოძრაობა ნელა. კომპოზიტორი უპირატესად სიმებიანთა თბილ შეუღლები ხატებს იყენებს. მეოთხე ვარიაციაში ორივე თემა უპირისპირდება ერთმანეთს. პირველი თემის ენერგიული შეახალეები ვალტონებში, რიტმული აქცენტუაცია კვლავ აღადგენენ მთავარი პარტიის ენერგიულ ხასიათს. ბუნქტებში რიტმი მეტ სიმპიგლის აძლევს მას. მეორე თემა - ორგანულად ერწყმის პირველი თემის განვითარების ტალღას. მეორე თემის ტრანსფორმაციები ვიჩინებენ მხატვრული სახის განვითარების ახალ ეტაპს: თითქოს ჭაბუკურ სიხალისეს მოჰყავს უფრო სერიოზული განწყობა, წინააღმდეგობების გადალახვისაგან მისწრაფება, ახალი განცდები. იგი ვარდატეხა უფრო მეტყარადაა გადმოცემული მომდევნო ვარიაციაში, სადაც მთავარ როლს პირველი თემა თამაშობს. საყვარების ფიგურაციები

თემის ინტონაციებზე კრიმანულის შთაბეჭდილებას სწორედ დინამიური ტალღის დასვნით ნაწილში მათი სოლო ავერტიკების ჭაბუკური საწყისის გაშლენებს. ორივე საწყისის დამკვიდრებას მიეძღვნა მცირე რეპრიზა-კოდა (პირველი თემის მასალაზე), მხოლოდ მის უკანასკნელ ტაქტებში ვალტონებში წამიერად აკიაფდება მეორე ლირიკული თემის საწყისი ინტონაცია, ვისი მომავალი გამარჯვების მომასწავებელი.

თავისებურადაა გადაწყვეტილი მეორე ნაწილიც. Andante-ში გვირი თითქოს სტრიოზულ ამოცანების წინაშე დამდგარა. სიმფონიის ქმედითი ხაზი, როგორც უკვე აღვნიშნე, თავის კულმინაციას მესამე ნაწილში აღწევს. ამ მხრივ Andante მესამე ნაწილის ფართო მისადგომია. ზეადმავალი სელა, შეუნდლებელი სწრაფვა სულერი ძალთა დაძაბვას იწვევს. ეს კი, როგორც ყოველთვის, ამ სიმფონიაში ლეიტმოტივის გარდასახვაშია ნაჩვენები. იგი ორგანულად ერთვის Andante-ს მთავარ თემა-სელას. ლეიტმოტივის მელოდია თემის ბუნებრივ გაგრძელებად აღიქმება.

Andante-ში კომპოზიტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სელის თემის (ვიოლინო-სოლო) ინტონაციის დამკვიდრებაზე. მიუღი ნაწილი ძირითადად ერთ მასალაზეა აგებული. ტემბრული განვითარება (ფერების მთავარი განდღრება სიმებიანთა თბილი ქლერადობიდან ლითონის ელვარე ტემბრზე გადასვლით) მეორე ნაწილის დრამატურებაში ღლი როლს თამაშობს. ფლეიტის პაეორიანი და ორნამენტული მელოდია ახალ თემატიკურ ელემენტს ქმნის და ისე აღიქმება, როგორც მინიატურული ინტერმეცო. მისგან თანდათანობით გამიოქვევებიან პატარა მოტივები, რომელთა ტალღისებური მოძრაობის ფონზე კვლავ მთავარი თემა ვითარდება. დრამატუციის მიზნით კომპოზიტორს შემოჰყავს ჩელოებისა და კონტრაბასების, ზა-სკლარნეტის და ფაგოტების თანაზომიერი მოძრაობა ტრიოლებში; რეპრიზაში მთავარ თემას ორგანულად ერწყმის სიმფონიის ლეიტმოტივი. აქ იგი თემა-სელის ხასიათს ანვითარებს მეტ ემოციურ გამომსახველობას ანიჭებს. თემის გატარება რეპრიზაში ანდანტეს კულმინაციური წერტილია ქლერადობის სიძლიერის მიხედვითაც. სწორედ აქ იძენს თემა ისეთ ხასიათს, თითქოს წარმოებს მძაფრ შეტევა ყოველი ახალი სიმაღლის დაპყრობისათვის. უკანასკნელად ლითონის ჯგუფის საქმება ტემბრში სამ ფორტეზე თემის საწყისი ინტონაციის დამკვიდრება თითქოს მომავალ განაჩევებას გვაუწყებს. მე ვფიქრობ მანც, რომ Andante-ს პირველ კომ მოხაკვებს მასალის მეტი კონცენტრაცია სჭირდება.

მესამე ნაწილი სონატური ალგერის ფორმითაა დაწერილი. როგორც აღვნიშნე, კომპოზიტორმა იგი ორიგინალურად გადაწყვიტა. სანტრესუსა შემდეგი ვარეშობა: შოპენის B-flat სონატის შემდეგ, დრამატული სონატური ალგეროების კულმინაცია ხშირად მთავარი თემის პარმონიულ-ფაქტურულად გამძაბრებულ ვარიანტზეა აგებული (მაგალითად ჩაიოვისკის მეექვსე სიმფონია, შოსტაკოვიჩის მეხუთე და მეშვიდე სიმფონიები და სხვ.). აღნიშნულ ნაწარმოებებში თავისი ხასიათით და განწყობილებით კულმინაცია მიეკუთვნება დამუშავებას, ხოლო ფორმალური სტრუქტურულად უკვე რეპრიზის დასაწყისის მოასწავებს. ამის გამო ზოგიერთი მუსიკისმცოდნე ამ მაგალითების



ანალიზისას დასაკენის, რომ რეპერია მხოლოდ დამხმარე პარტიის მასალაზე აგებულია. ბალანჩივაძემ ორიგინალურს ხერხი იპოვა. კულმინაციის უმაღლესი წერტილის შემდეგ იმ დამუშავების ფარგლებში (კულმინაციის და ახალი ხაზის ერთიანობა ხაზგასმულია საერთო საორალაო პუნქტით) მოცემულია დამხმარე თემის რეპერია და მხოლოდ მისი გატარების შემდეგ ერთხელ კიდევ ტარდება მთავარი პარტია. შესანიშნავი მთავარი თემა (რემონდი) სამწილადი მარშია, მკაცრი და ენერგიული. პირქუშად ჟღერს იგი პირველი ტაქტივიდანვე ჩელოში, კონტრაბასებსა და ფაგოტებში. მათ შემტვე ინტონაციას უპირისპირდება მაღალ სიმებიანთა ნაღვლიანი მელოდია. განვავის განწყობილებას აძლიერებს მოკლე ფანფარული მოტივები ოსტინატური რიტმით, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ შემდგომშიც. მეორე თემა ინტონაციურად ახლის დვას მთავართან — აქ სვედანი სიმღერაში „გაფრინდი შავო მერცხლას“ ინტონაციები იგრანობა. იგი ჟღერს ვალტორნებში პირველი თემის tutti-ში გატარების შემდგომ და უპირისპირდება მის შემტვე ხასიათს ნაღვლიანი, კანტილენური მსოფლით. ექსპოზიციამ ორივე თემა ტონალურ კონტრასტს არ ქმნის. ეს კონტრასტი მხოლოდ დამუშავებაში შედარდება. დამუშავებაში ორმავე ვარიაციების ჯგუფში ჯერ მეორე თემა გადასხვავდება რადიკალურად. სასიმღერო ინტონაცია ხან მარშისებურ ხასიათს იღებს, ხან სკერცოზულ-საცეკაოს. ტრიოლურ მოტივებზე დაშლილი იგი თითქმის ითქვიფება ტოკატურ მოძრაობაში.

მე მინც მინდა ვუსაყვედრო კომპოზიტორს ერთგვარი მრავალსიტყვაობა თემის განვიცხვებაში. საზოგადოდ, თემების ვარიაციული გაშლა ა. ბალანჩივაძის საშუალებას აძლევს მთელი სისავსით გამოამყვანოს კომპოზიტორული ტექნიკა, მდიდარი გამომგონებლობითი ფანტაზია. მაგრამ ამავე დროს საფრთხეს უქმნის ლაკონიზმობასა და ფორმის სიმწყობრებს. ეპილოგის სიჭრელე რამდენადმე ანელებს დრამატულ ძაბვას. პირველი თემა დამუშავებაში უფრო პირქუშად და უხეშად ჟღერს. დაჭიმულებას ზრდის თემის კანონური გატარება ჯგუფებში. თემა საბრძოლოდ და მრისხანედ ჟღერს, თანდათან გადაიწველება ლითონის ჯგუფში, ტარდება აკორდულ ფაქტურაში. ორივე თემის დაპირისპირება კულმინაციის მისახველებთან (ვიოლინოებში და კლარინეტში ჟღერს ივეურაკები მეორე თემის მასალაზე, ხოლო ვალტორნებში კი პირველი თემის ინტონაციები) მაქსიმალურად ზრდის დრამატულ ძაბვას. სხვადასხვა თემატური ელემენტების ხანმოკლე, მაგრამ მწვევ ქილილი დინამიური კონტრასტის უმაღლესი ფაზა. სიმებიანთა და ხის ჯგუფის ფაგორაციები ე გადართვდება ტრემოლოში, რომლის ფონზედაც საყვირება და ტრემონებში ივეთქებს სიმფონიის ლეიტმოტივი. მძლავრ საორალაო პუნქტზე (დო) იგი ტრაგიკულად ჟღერს და სულეირ ძალთა უკიდურეს დამიწობობას გვიჩვენებს. სიმფონიის მთელი განვითარება ამ კულმინაციისაკენ მოისწრაფოდა, და ეს მისი უმაღლესი წერტი-

ლია. პირველი სიმფონიის პირველი ნაწილის მსგავსად აქვე კულმინაცია საკმაოდ დიდი სფეროა. ლითონის-სხვადასხვა ინსტრუმენტები ერთმანეთს ეცილობიან მელოდური ხაზის განვითარებაში სიმებიანთა და ხის ჯგუფის დინამიურ ფონზე. ლეიტმოტივის ფსიქოლოგიურად დამაბული ელემენტობა თითქმის გმირის შებრძოლებას მოასწავებს. ლეიტმოტივს ორგანულად ერთვს მეორე თემის ინტონაციები (მოდულიაციასთან ერთად ღო-ღან-რე მინორში). მეორე თემა მთლიანად სახეშეცვლილია. ტინანების სამელოდიო რეგულის ფონზე იგი ჟღერს ტრაგიკულად. დიდი სვედაა გადმოცემული სიმებიანთა ქორალში, რომელიც ამთავრებს კულმინაციის მთელ სფეროს. ეპილოგში (ფუნქციონირს იგი ენორ კოდა, ვიდრე რეპერია) აჩრდილის სახით გაივლის ჩელოებში და კონტრაბასებში პირველი თემა. მძლავრი აკორდი მინორულ დიზონანტზე (ტონიკის ნაცვლად) დაუმთავრებლობის შთაბეჭდილებას ტარებს.

თენდება... ფლეიტაში ნაზად ჟღერს მელოდია, თითქმის მწყემსი უღერის ამომავლ მზეს... ვიოლინო-სოლის და სიმებიანთა რბილი ქორალი ენოსავით გამოხატულებიან მას... კომპოზიტორმა უარი თქვა დრამატული სიმფონიებისათვის დამახასიათებელ გრანდიოზულ ფინალზე, სადაც ნაწარმოების იდეა განზოგადებული იქნებოდა განვითარების ახალ ტალღაში; მან არ გამოიყენა ფინალებისათვის ესოდენ დამახასიათებელი რინდო-ოსნატური ფორმები, სადაც ხალხური მელიოდური რიტმული და ქანრული მასალის არსებობა გმირის და ხალხის ერთიანობაზე მივივითთებს და სახალხო ზემო-მხიარულებს პრეცივენალებით იძლევა დრამატული კონფლიქტის დაღაწყვეტას. მეორე სიმფონიის ფინალი ლაკონიზმის აქ უკვე აბარ არის მოქმედება, ძალთა ჭილილი, საპირისპირო საწყისების შეხლა-შემოხლა. მთელი ფინალი გამსჭვალულია სათქველად, ლაღი განწყობილებით, შინაგანი წონასწორობით და სინათლისაღმი სწრაფვით. მეოთხე ნაწილი მოკლე ეპილოგია, სადაც განვილიის შეჯამება და ზეიმი კი არ არის, არამედ სანუკვარისა და იდეალის ქვრება, ახალი დღის პირველი შუქის ხედეა. ჭაბუკური ხედეა, რაც შესავალი ტაქტივიდან დაწყებული მთელ სიმფონიას მსჭვალავს. აქ ნათელი ღირიკის ხასიათს იღებს. ამან განაპირობა ფინლის ინტიმური ხასიათი.

ძირითად თემატურ მასალა ფინალში ორგანულად ექსოვება ლეიტთემა: აქ იგი საერთო განწყობილებების შესაბამისად სათითო ღირიზმითაა აღსავსე. უშუალოდ ჟღერს ლითონის ქორალი. თემის საყვირებში გატარების შემდგომ სიმებიანთა პასუხი საზეიმოა, თითქოს ახალ სიმაღლეს აღწევს შინაგანი ხედეა. ლითონის ნათელი ფერები, ჰიმნურად დიდებული სიმღერა ძლიერდება და კულმინაციას აღწევს. გეტურთა ფინლის დასასრული: ბეკრასაზე კულმინაციის შემდეგ თანდათან ითიშებიან ინსტრუმენტები, ელემენტების დივიზის ფონზე ვიოლინო-სოლის თემა ჟღერს როგორც შთამაგონებელი რეჩიტატივი. თითქოს ცის ლაყვარლში იკარგება ბგერები...



„შინარე მზეთუნახავის“ III მოქმედება. დაღმა ვახტანგ ჰაბუაიანისა

თბილისის ქორეოგრაფიული სტუდიის  
საანბარიშო კონცერტი

სცენა „შინარე მზეთუნახავიდან“. ავრორა — ი. ჯანდიერი  
პრინცი — შ. ლეკიაშვილი

მწვემსებების ცეკვა. დაღმა ა. თათარაძისა





ს. ცინცაძე. „პოლკა პიჩიკატო“. ასრულებენ პირველი კლასის  
მოსწავლეები

სასკოლო ბალეტი. ასრულებენ III კლასის მოსწავლეები



ცეკვა „სამაია“. ასრულებს ს. კონარიანი

ფოლკლორული ცეკვა. ასრულებენ III კლასის მოსწავლეები





ესპანური ცეკვა. ასრულებენ გ. კვაჭელაძე და ნ. ოსეი

წითელქუდა — ე. სვირინა



# ბერტოლტ ბრეჰტი და მისი „კავკასიური ცარცის წრე“

ბერტოლტ ბრეჰტი, რომლის მნიშვნელობა დიდი ხანია გაცდა გერმანიის ფარგლებს, მე-20 საუკუნის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ბრეჰტს ლიტერატურის ყველა ჟანრში უმუშავეს, მაგრამ განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება გერმანული და უფრო ფართოდ, ევროპული დრამატურგიის წინაშე. მისი სახელგანთქმული პიესებია: „სერჟანელი კეთილი კაცი“, „დედა კურაჩი და მისი შვილები“, „ქალბატონ კერარის თოფები“, „გალილეი“, „სამგროშინი ოპერა“, „ლუკულუსის დასჯა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „ბატონი ბუნტილა და მისი მსახური მათი“ და სხვ. ბრეჰტი ნოვატორად ითვლება დრამის დარგში: მან შეიქმნა ე. წ. „ეპიკური თეატრის“ თეორია, რომელიც უპირისპირდება არისტოტელესეულ დრამატურგიას. ბრეჰტი ცდილობს თავისი პიესებით ზეიმოქმედოს გონებაზე და არა გრძნობებზე: ის უარყოფს კათარზის, აფექტებსა და „ტრანსს“.

„კავკასიური ცარცის წრე“ ბრეჰტმა 1949 წ. დაწერა. თავის ამ პიესას სიუჟეტურ საფუძველად ერთი ჩინური თქმულება დაუდო. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მასზე რამდენიმე სტატია დაიწერა (მათ შორის ორი „საბჭოთა ხელოვნებაში“). სადავ გაანალიზებული იყო პიესა როგორც იდეურ-შინაარსობრივად, ასევე მხატვრულადუკ.

მართალია, „კავკასიურ ცარცის წრეში“ მოქმედების არე საქართველოა და პერსონაჟები ქართული სახელებისა და გვარების მატარებელი არიან, მაგრამ აქ არც ეთნოგრაფიაა ქართული და არც პერსონაჟები არიან ქართული ხა-

სიათები. ბრეჰტის „ეპიკური თეატრის“ თეორიის მიხედვით, საინტერესოა არა ლოკალურ-ეროვნული კოლორიტი, არამედ ზოგად-ადამიანური, ზოგადაკაობრიული, ის საერთო, რაც აქვთ როგორც გერმანელებს, ასევე ფრანგებს, ჩინელებსა და ქართველებს. ბრეჰტს არასოდეს არ შეუსწავილა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ეროვნული სპეციფიკა, მისი ეთნოგრაფია და ფსიქოლოგია. რადგან ბრეჰტის მიზანს არ შეადგენდა საერთოდ ეროვნულ-ლოკალური სპეციფიკის ასახვა და, კერძოდ, ქართული ისტორიული სულისა და ქართული ფსიქოლოგიის გადმოცემა. უფრო მეტიც: პიესაში აღწერილი ლანდშაფტები იაპონური, ჩინური და ზოგან რუსულია. სიმღერები, რომელთაც პიესაში მღერიან, ეყრდნობა ესტონურ პირველწყაროებს (ბრეჰტმა ისინი ფინეთში ყოფნისას გაიცნო). ბრეჰტის მიზანი არ იყო შექმნა ქართული ეროვნული პიესა. ქართული გეგრები მისთვის მხოლოდ ჩარჩო იყო, რომელშიაც მოათავსა გარკვეული იდეური შინაარსი, ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს შეგვიძლია მივეთითოთ საკმაოდ ვრცელი სპეციალური ლიტერატურიდან ზოგიერთი ნაშრომი: ჰანს-იოაჰიმ ბუნგე „დავა ელის გამო“, ბერტოლტ ბრეჰტის პიესის „კავკასიური ცარცის წრის“ შტუდია (მოთავსებულია „Theater der Zeit“-ის — დანართში № 11, 1956), აგრეთვე გერპარდ ცვერენცის, „არისტოტელესეული და ბრეჰტისეული დრამატურგია“ (გერმანულ ენაზე).

ნოდარ კაკაბაძე

## კავკასიური ცარცის წრე

თარგმანი გერმანულიდან ჯორჯანაშვილისა

### მოქმედნი პირნი

- გიორგი აბაშვილი — გუბერნატორი
- მისი მთელღე ნათელი
- მსუქანი თაველი — ქაზბეგი
- ორი ექიმო — ნიკო მიქაძე და შიხა ლოლაძე
- აღიუტანტი
- მგოსანი
- მუსიკოსები
- მომონ ხახავა — ჯარისკაცი
- გრუმე ვახნაძე — ჟურნალის მრეცხავი
- არქიტექტორები
- მარო — გაღია
- შხარეული
- მეჯინები
- ბერიკაცი
- ორი ბანოვანი
- მთელღე ნათელი
- მთელღე ნათელი

- ეფრეიტორი
- გლები და მისი ცოლი
- სამი ვაჭარი
- ლაკრეტი ვახანძე — გრუმეს ძმა
- მისი ცოლი ანკო
- გლეხის ქალი — რომელიც შემდგომ გრუმეს დედაშობილ ბუნება
- მისი ვაჟი იოსები
- ბერი
- ქარწილზე მოსული სტუმრები
- მისი — გუბერნატორის ვაჟი.
- ბავშვები
- სოფლის მწერალი აზდაცი
- პოლიციელი შაღვა
- დღის თავადი
- ბიურგან — ქაზბეგი — მსუქანი თაველის მისწული ექიმო
- ინვალის დი
- კოლი



გამორქალეული  
 უფუფნა—მეფუფნუას რაბლი  
 სანა მობოლა გლეხი  
 მხალეუბული დედეკაცი  
 უნაბი  
 მხარეული ქალი  
 მარი ვეკილი—ილი შუბლაფე და სანდრო იბოლიძე  
 მარხადა მოხუცებული ცოლქმარი  
 მახოვარნი და მხოხვიელები  
 ჯარისკაცები  
 ახალრსანნი  
 მახორნი  
 მახორიგის მონაწილენი

**პაროლში**

უცნობებისგან იავარქნელი კავსიურ სოფელში, ნანგრე-  
 ევების შორის, წყედ სხედან, ღვინის სვამენ და თამაჰის  
 უწყვიან ორი საკომეურნიე სოფლის დღეგაბები, მეტ-  
 წილად, გლეხები და ხანში შუგული კაცები; მაგარი არს რა-  
 დენიშე ჯარისკაცი. მათ შორისაა ვაგიფლე დღედაქლიდან  
 ჩამოსული, აღდგენილ სახლმათა სახელმწიფო კომისის წარ-  
 მადამდგელი.

მარცხნივ მგდლომ ბერაკი ქალი (ტრეგვილი): ვერ  
 იქ, ბორცვების შორის, ჩვენ ნახვებების სამი ტრეპი დავა-  
 ეთ. მაგარ ვაჟის ნარკვენი უცხე განავებრებული იყო.  
 მარცხნივ მგდლომი ბერაკი: ახლა ჩვენი სანაქეო  
 ჩდის ფრენა ნახეთ ნანგრევად არის ცეცხელი!

ახალ ვაზარ და ტრაქტორისტო ქალი: ეს მე წაუთად  
 ცეცხელი ფრენა, ახსავო.

ქარში მადგენელი: ახლა ოქმი მოვისინო: ნუქში ჩამოვიდა  
 მეცხვარების კომეურნიობის—„ახეთის“ დღეგავა. რო-  
 დესად პიტღერის ამიბები წინ მოიწოდენ, კომეურნიობამ,  
 ხელისუფლების ბრძანებით, თავისი ცხვრის ფრები აღმ-  
 სადუითი გარკვა. ამეამად იო იუ ვაჟ დაბარუნების საეთის  
 განხილვას. მისმა დღეგავებმა იხსულეს სოფელი და არგ-  
 ლისა მდებარე მამულები და დადგინეს, რომ წვრების მასშა-  
 ბები ძალზე დიდაა—(დღეგავები მარჯვნივ დასტურის  
 იმნიხად თან უნდენენ), მეზობელი მეზობლობის კომეურ-  
 ნობის—როგოა ლექსემბარის (მარჯვნივ მსხმეთი მიმარ-  
 თავს) წინადღება შემოაქვს, რომ კომეურნიობა „ახეთის“  
 აღმდელი საფრები, რომლებიც ხელშია და სახალხოდ  
